

“აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/PRES08/2-315). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს”.

პროექტის სახელწოდება: ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები ნაციონალიზმის კლასიკური თეორიების შუქზე.

“The designate project has been fulfilled by the support of Georgia National Science Foundation (Grant # GNSF/PRES08/2-315). Any idea in this publication is possessed by the author and may not represent the opinion of Georgia National Science Foundation”.

Project Title: The Cultural Roots of the Georgian Nationalism in the Light of Classical Theories of Nationalism.

ნაშრომი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საყურადღებო პერიოდში ნაციონალიზმის შესწავლის მცდელობას წარმოადგენს. კვლევა დასავლურ სამეცნიერო წრეებში პოპულარულ თეორიულ პარადიგმას, ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიას, ეფუძნება. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია 1860–იან წლებში შემუშავებული ქართული ნაციონალური პროექტის ახლებური გააზრება. ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია კვლევის ერთ-ერთი ყველაზე რელევანტური საშუალებაა. ნაციონალიზმი თანამედროვე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების პრიორიტეტული მიმართულებაა. ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ქართული ნაციონალიზმის სათავეებისადმი. შესაბამისად, მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი წარმოშობისა და განვითარების საფუძვლიანი ანალიზი.

The work presents an investigation of nationalism in one of the most important periods in the history of Georgia. The study is based on the Modernist Theory of nationalism. At the present stage an up to date analysis of the Georgian national project of 1860s deserves particular interests. In this respect, the Modernist Theory of nationalism seems to be the most appropriate theoretical framework of study. Nationalism Studies is the topical direction of the contemporary humanities and social sciences. An interest concerning origins of Georgian nationalism has significantly increased lately. Correspondingly, a clear-cut understanding of its beginning and development is rather essential.

რედაქტორი – ნინო ჩიქოვანი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი – ქეთევან კაკიტელაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

ირაკლი ჩხაიძე
Irakli Chkhaidze

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და
ქართული ნაციონალური პროექტი
(„თერგდალეულები“)

The Modernist Theory of Natioanlism and the
Georgian National Project
(“Tergdaleulebi”)

თბილისი - Tbilisi
2009

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	7
თავი I	
ნაციონალიზმის ძირითადი თეორიები – მოკლე მიმოხილვა	18
§ 1. მოდერნისტული თეორია.....	18
§ 2. ალტერნატიული თეორიები.....	23
პრიმორდიალიზმი	24
პერენიალიზმი.....	26
ეთნოსიმბოლიზმი	29
თავი II	
საქართველო XIX საუკუნეში – ისტორიული ვითარება.....	34
თავი III	
ნაციონალიზმის წინაპირობები ქართულ რომანტიზმში.....	54
თავი IV	
“თერგდალეულები” და ქართული ნაციონალური პროექტი	62
§ 1. ენის ფაქტორი	66
§ 2. საზოგადოების განათლება და კონსოლიდაცია	78
§ 3. თვითმმართველობა და ერთიანი ნაციონალური იდენტობა.....	87
§ 4. ქართული ნაციონალიზმის ევროპულთან მიმართების პრობლემა	97
დასკვნა.....	113
ბიბლიოგრაფია.....	123

შესავალი

ნაციონალიზმი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი წარმოშობისა და განვითარების მკაფიო გააზრება. ბოლო წლებში ნაციონალიზმის პრობლემისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. წარმოდგენა, რომ ნაციონალიზმის ეპოქა წარსულს ბარდება და გლობალიზაციის ეპოქაში მისი ადგილი აღარაა, საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა. 80-იანი წლებიდან ნაციონალიზმმა ახალი ძალით იჩინა თავი. აქედან გამომდინარე, ამ ფენომენის საფუძვლიან გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაციონალიზმის თანამედროვე ფორმები დიდწილად განაპირობებს დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესებს.

ნაციონალიზმის კვლევის მიმართულებით საქართველოში ბევრი რამ არის შესასწავლი და ხელახლა, განსხვავებულ ჭრილში გასააზრებელი. ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის თუ სხვა დარგების ფარგლებში კარგად ცნობილი და გაანალიზებული მოვლენების შესწავლამ ნაციონალიზმის კონტექსტში, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, შესაძლებელია, საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანოს, განსაკუთრებით, ემპირიული მასალის კონტექსტუალიზაციის თვალსაზრისით.

ნაციონალიზმის პრობლემათა სრულყოფილი კვლევა შეუძლებელია ერთი რომელიმე დისციპლინის საზღვრებში. იგი მხოლოდ ინტერდისციპლინური შეიძლება იყოს, რადგან ძალზე ფართო და კომპლექსურია კონკრეტული დარგის ფარგლებში კვლევისათვის. ნაციონალიზმის ფენომენის სირთულე მისი შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო დისციპლინათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას განაპირობებს. სოციოლოგია, ისტორია, ფილოლოგია, ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, გეოგრაფია – ეს იმ დარგების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ნაციონალიზმის ფენომენს იკვლევენ. ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ენტონი დ.

სმითი ნაციონალიზმის შემსწავლელ სამეცნიერო დისციპლინებს შორის ასევე ასახელებს პოლიტიკურ მეცნიერებებს, საერთაშორისო ურთიერთობებს, ანთროპოლოგიას. “ეს დისციპლინები უზრუნველგვყოფენ სათანადო ინსტრუმენტარიუმითა და კონცეპტუალური ჩარჩოთი იმის გამოსარკვევად, თუ “ვინ ვართ”, “როდის დავიწყეთ”, “როგორ ვიზრდებოდით” და “საით მივდივართ.” (სმითი 2004: 55). ნაციონალიზმი უნდა მივიჩნიოთ მრავალწახნაგოვან გლობალურ ფენომენად და მის ამოსახსნელად ვადიაროთ მისი ყოველი წახნაგის შესწავლის აუცილებლობა.

გასულ საუკუნეში, საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში, მსგავსი სახის კვლევების ჩატარება, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახლდათ, რაც, შეიძლება ითქვას, ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისათვის ერთადერთი შესაძლებელი მეთოდოლოგია ისტორიული მატერიალიზმი, მარქსის ფორმაციული თეორიის ლენინურ-საბჭოური ვერსია იყო. როგორც მარიამ ჩხარტიშვილი აღნიშნავს, დღეს მარქსიზმის გამოყენება აღარ არის ქართველი ისტორიკოსებისათვის ფატალური აუცილებლობა. სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, ამ მეთოდოლოგიას ალტერნატივა მოუძებნონ (ჩხარტიშვილი 2005: 228). მიუხედავად მარქსიზმის (უფრო სწორად, მისი საბჭოური ვარიანტის) კრახისა, თანამედროვე დასავლური თეორიული მიმდინარეობები, ფაქტობრივად, იშვიათად გამოიყენება ქართულ საისტორიო კვლევებში. თუ ისევ მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებას მოვიშველიებთ, ქართველი მკვლევრების დიდი ნაწილი გაუცნობიერებლად რჩება მარქსიზმის ტყვეობაში. მეცნიერი, ვფიქრობთ, სავსებით მართებულად საუბრობს მეთოდოლოგიური პრობლემების შესახებ: “მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალიან ბევრი კონკრეტული ხასიათის გამოკვლევა და დასკვნა, როგორც წესი, ისინი არ არიან სათანადოდ კონტექსტუალიზებული, არ ხდება მოპოვებული ფაქტების ზოგადსოციოლოგიური მიმართებების და განზომილებების ფიქსირება, არ არსებობს ისტორიული და კულტურული რეკონსტრუქციის არავითარი მეთოდოლოგიური კონცეფცია, არავითარი თეორიული

ჩარჩო. ამ მიზეზით ვერ პოულობს საქართველოს ისტორიის ფაქტები ასახვას კაცობრიობის ისტორიაში” (სმითი 2004: 5)¹. მკვლევარს ამის თვალსაჩინო მაგალითად ენტონი დ. სმითის წიგნი “ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია” მოყავს. ასევე შეგვიძლია დავასახელოთ ბენედიქტ ანდერსონის, ერნესტ გელნერის და სხვათა ფუნდამენტური ნაშრომები ნაციონალიზმის შესახებ, სადაც მრავალრიცხოვან ფაქტობრივ მასალაში არ ვხვდებით მონაცემებს საქართველოს შესახებ.

ქართველი მეცნიერების მათი დასავლელი კოლეგებისაგან ხანგრძლივი იზოლაციით გამოწვეულ პრობლემებზე საუბრობს თავად ენტონი დ. სმითი საკუთარი ნაშრომის ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში: “საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ყოველთვის იპყრობდა დასავლელი მეცნიერების ყურადღებას. თანამედროვე საქართველოც მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუმცა ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალზედ მწირია. თემები, რომელთა გარშემოც, ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი და განზოგადებანი, ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს, რადგან მათში არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სოციალური მეცნიერებების თეორიული მიღწევები. ყოველივე ეს ხელს უშლის ამ ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობის ღრმა წვდომას” (სმითი 2004: 15).

წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდში ნაციონალიზმის შესწავლის მცდელობაა, რომელიც დასავლურ სამეცნიერო წრეებში პოპულარულ თეორიულ პარადიგმებზეა დაფუძნებული. როგორც აღინიშნა, მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (ისევე როგორც სხვა პერიოდების) ახლებური გააზრება. XIX საუკუნის ეროვნულ

¹ მარიამ ჩხარტიშვილის მოსაზრებები იხ. ენტონი დ. სმითის წიგნის “ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია” მთარგმნელის წინასიტყვაობაში.

მოდრაობასთან მიმართებაში ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალებაა. კვლევის თეორიულ საფუძველზე დეტალურად მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ თავში ვისაუბრებთ. შესავალში მოკლედ შევხებით კონტექსტს, რომლიდანაც პრობლემა მომდინარეობს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულების თანახმად, თერგდალეულთა პერიოდის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები რუსი განმანათლებლების (რევოლუციონერ-დემოკრატების) ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ა. დობროლიუბოვის და სხვათა იდეებით იკვებებოდნენ (კიკვიძე 1977: 278; სურგულაძე 1980: 90-91; ბარამიძე 1979: 45; გაფრინდაშვილი 1987: 5; რატიანი 1962: 3). ასეთი მოსაზრების საფუძველი ქართველ მკვლევართა უმრავლესობის მიერ მომარჯვებული მარქსისტული მეთოდოლოგიის საბჭოური ინტერპრეტაცია გახლდათ. ვეთანხმებით რა ბატონ აკაკი ბაქრაძეს, მივიჩნევთ, რომ ქართველ ისტორიკოსთა ზემოაღნიშნული მოსაზრებები მართებული არ უნდა იყოს. ა. ბაქრაძის შეხედულებით, მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას ჩვენი მეცნიერება, არსებითად, იმ მოდელით სწავლობს, რითაც ამავე ეპოქის რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარება შეისწავლება. ეს არა მარტო შეცდომა იყო, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, განგებ დამახინჯებაც. მართალია, იმპერიის საზღვრებში რუსეთი და საქართველო ერთიანი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ოცნება, ფიქრი და მისწრაფება ძირეულად განსხვავებული იყო. თუ სოციალურ პრობლემათა თვალსაზრისით, დასაშვებია, რუსი და ქართველი მოღვაწეების შეხედულებები ზოგჯერ ერთმანეთს დამთხვეოდა, ეროვნული კუთხით, ნაკლებ მოსალოდნელია, მათ რაიმე მსგავსი და საერთო ჰქონოდათ (ბაქრაძე 1989: 221). საკითხზე უფრო მკაფიო წარმოდგენის შექმნისთვის, აქვე გავცნოთ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, “თერგდალეულთა” ერთ-ერთი ლიდერის, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებას.

ნიკოლაძეს ბელინსკი, ჩერნიშევსკი და სხვანი უტოპიურ

მოაზროვნებად მიაჩნდა. მას არ უყვარდა უტოპიური, ანუ, როგორც თავად უწოდებდა, მეტაფიზიკური აზროვნება. იგი პრაქტიკულად მოქმედი პიროვნება იყო და აზრსაც იმდენად აფასებდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო მისი პრაქტიკული განხორციელება. ნიკოლაძეს ქართველი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის ნაკლად მათი მეტაფიზიკური აზროვნება მიაჩნდა, რომელიც ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და სხვა უტოპიურად მოაზროვნე მწერლების გავლენის შედეგი იყო. “ამ სკოლის გავლენისაგან თავის დახსნა და თანამედროვე მეცნიერული ეკონომიკისა და პოლიტიკის შეთვისება მეტად ძნელია, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ გადაუთარგმნელია რუსულად ყველა ის თხზულებანი, რომელთა მეოხებით ეს ორი დისციპლინა ამ უკანასკნელ თხუთმეტი, ოცი წლის განმავლობაში მეცნიერულ მეთოდზე აშენდა” (ნიკოლაძე 1997: 295). მისი აზრით, მართალია, ევროპაშიც უხვად იყვნენ სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებათა მიმდევარნი, მაგრამ საქმიანი ევროპა მათ ყურს ნაკლებად უგდებდა, იგი შრომობდა, ნამდვილ ფასეულობებს ქმნიდა და “ნაკლებად დაბორილებდა აბსტრაქტულ იდეებში”. ევროპაში ყოველი ახალი აზრი და იდეა, თუკი მას პრაქტიკული ღირებულება აქვს, მაშინვე ახალი საქმის საფუძველია. ნიკოლაძე თვლიდა, რომ მისაბადი საზოგადოებრივი მოწყობის დასავლეთევროპული სისტემა იყო. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მისი შეხედულება ბიზანტიურ-რუსული და ევროპული მმართველობის სისტემის განსხვავებულობის შესახებ. ნიკოლაძის თვალსაზრისით, მმართველობის ამ ორ ფორმას ურთიერთსაპირისპირო ხასიათი ჰქონდა. თუ ბიზანტიურ-რუსულ მმართველობაში “მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და ტრიალი მარტო მეფის ან დესპოტის სურვილზე, ნებაზე და შეხედულებაზე იყო დამყარებული, ევროპაში არსებობდა სხვადასხვანაირი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერება”. თუ ბიზანტიურ-რუსულ მმართველობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის პიროვნებას, ევროპაში ხელმწიფის პიროვნება არსებით როლს არ ასრულებდა. მას მაგალითად მოჰყავდა ლუი

XIII, რომელსაც, მიუხედავად საკუთარი უსუსურობისა, საფრანგეთში არაფერი დაუქცევია, რაკი ქვეყანას “კანონ-სამართალი” განაგებდა.

ნიკოლაძის შეხედულებებს ბიზანტიურ-რუსული და ევროპული მმართველობის სისტემების შესახებ, დეტალურად შევხებით კვლევის ემპირიული საფუძვლის განხილვისას.

ასევე შესაძლებელია ილიას, აკაკის და სხვათა მოსაზრებების გაანალიზება მსგავსი კუთხით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

შესაძლებელია, ნაშრომში ჩამოყალიბებული მოსაზრებები ზედმეტად დეტერმინირებულია კონკრეტული თეორიული კონსტრუქციით, თუმცა, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკვლევრისათვის აუცილებელია მკაფიო თეორიული საფუძველი, რათა მოხერხდეს უზარმაზარ ემპირიულ მასალაში ორიენტაცია. აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევა წარმოადგენს სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებული კონკრეტული შემთხვევის კვლევის (case study) ერთ-ერთ ტიპს, კერძოდ, თეორიულ პარადიგმაზე დაფუძნებულ გამოკვლევას.

შესავალშივე აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია ქართული ნაციონალიზმის ძირეული შესწავლა და მისი ტიპოლოგიური რაობის დადგენა. როგორც უკვე ვთქვით, წარმოდგენილი კვლევა პრობლემის განსაზღვრულ ასპექტებს ეხება. ნაშრომის მიზანია ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების გააზრება და მისი შედარებითი ანალიზი, რა თქმა უნდა, კვლევითი პროექტის მასშტაბებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სამეცნიერო ტერმინების დაზუსტება. კვლევის ფარგლებში, დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ცნებები: *ნაციონალიზმი, კულტურა, ნაციონალური პროექტი, ერი (ნაცია).*

ნაციონალიზმის ცნება უაღრესად კომპლექსური და ამბივალენტური ხასიათისაა, აუცილებელია სამუშაო განსაზღვრების შემოტანა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობით ვიყენებთ ამ ტერმინს ჩვენს ნაშრომში.

მეთოდოლოგიური საფუძველიდან გამომდინარე, ნაციონალიზმის განმარტებისას მოდერნისტულ თეორიას დავეყრდნობით, თუმცა

გამოყენებული გვაქვს ენტონი დ. სმიტის მიერ ეთნოსიმბოლისტური მიდგომის ფარგლებში ჩამოყალიბებული შემდეგი სამუშაო განმარტება: “იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისათვის, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ განიხილება როგორც არსებული, ან პოტენციური “ნაცია” (სმიტი 2004: 31).

სამეცნიერო წრეებში მიღებული შეხედულების თანახმად, შესაძლოა არსებობდეს ზოგადი კონცეპტუალური სტრუქტურა, რომლის საზღვრებში მოთავსდება სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა. თუ ერებს და ნაციონალიზმს ახალი დროის, “მოდერნულ” ფენომენებად წარმოვიდგენთ და ამ მოსაზრებას ზოგად კონცეპტუალურ სტრუქტურად მივიჩნევთ, მაშინ ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიაცა და ეთნოსიმბოლიზმიც ამ სტრუქტურას შეესაბამება. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ მაქს ვებერი და მისი “იდეალური ტიპების” თეორია, რომელშიც ვებერი მკვლევართა მიერ სხვადასხვა თეორიული კონსტრუქციების სინთეზირებაზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიაა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ნაციონალიზმის ცნების განმარტებისას ცნობილი ეთნოსიმბოლისტის ენტონი სმიტის შეხედულება წარმოვადგინეთ. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი არ ცვლის მეთოდოლოგიური საფუძვლის არსს.

ნაციონალიზმი გულისხმობს კოლონიური შევიწროების უფლებათა დარღვევის და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიას და პროტესტის ფორმას, რომლის უნივერსალური პრინციპია ეროვნულის პრიმატი რელიგიურ, კლასობრივ თუ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. ნაციონალიზმი არის წარმოდგენა ნაციის, როგორც ზეისტორიული და ზეკლასობრივი ფორმის საზოგადოებრივი ერთობის შესახებ.

უკვე აღინიშნა, რომ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები. შესაბამისად, ტერმინი, რომელიც აუცილებლად საჭიროებს დაზუსტებას, გახლავთ

კულტურა.

ჩვეულებრივ ტერმინს *კულტურა* ხმარობენ კრებითი მნიშვნელობით, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, მეცნიერებას, რელიგიას და ა.შ. უფრო ფართო აზრით, ეს ცნება ხაზს უსვამს ადამიანის არსებობის განსხვავებულობას სიცოცხლის სხვა ბიოლოგიური ფორმებისაგან. სწორედ კულტურა განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა არსებისაგან. კულტურის ცნების უნივერსალურობა და მრავლისმომცველობა საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ იგი მრავალ ასპექტში: როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, სოციალური ინსტიტუტი, პიროვნების განვითარების დონის მახასიათებელი (კულტუროლოგია 2001: 22). ჩვენს შემთხვევაში, კულტურის ცნება გამოყენებულია როგორც თვითიდენტიფიკაციის კრიტერიუმი.

საკვლევ პერიოდში მიმდინარე პროცესების თუ ტენდენციების სრულყოფილად გაანალიზებისათვის საჭიროა განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს ტერმინი “ნაციონალური პროექტის”.

პოლიტოლოგ გია ნოდისა აზრით, *ეროვნული (ნაციონალური) პროექტი* წარმოადგენს ნორმატიულ იდეას, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ბუნებას გამოხატავს. მისი განსაზღვრა და დაცვა სახელმწიფო ინსტიტუტებს ევალება. იგი აგრეთვე ადგენს, თუ ვინ მართავს ზემოხსენებულ ინსტიტუტებს. ის, რასაც ჩვეულებრივ *ეროვნულ ინტერესებს* უწოდებენ, სწორედ ამ პროექტის გარკვეული გაგებიდან გამომდინარეობს.

ეროვნული პროექტი გამოხატავს სხვადასხვა ადამიანის (ან მათი სახელით მოქმედი ელიტების) წარმოდგენებს, ისევე როგორც საზოგადოებაში ან მის რომელიღაც ნაწილში გავრცელებულ ღირებულებებს, იდეოლოგიებსა და ორიენტაციებს. ადამიანებს, შეიძლება, იმგვარი სახელმწიფოს შექმნა უნდოდეთ, რომელიც ცდილობს აქტიური გავლენა მოახდინოს მათი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ სამყაროზე, ან, შეიძლება, მათ ერჩივნოს საერთაშორისო წესრიგის, როგორც ერთგვარი ფასეულობის, პასიური მომხმარებლები იყვნენ. შესაძლოა, მათ სურდეთ შექმნან “ეროვნული სახელმწიფო” გარკვეული ხალხისთვის (ანუ ერისთვის), ან

სახელმწიფოს ამოცანად სხვადასხვა ერის გაერთიანებას სახავდნენ. შეიძლება, სურდეთ, რომ მათი სახელმწიფო ლიბერალურ-დემოკრატიულ, პატრიარქალურ, კომუნისტარულ ან რომელიმე სხვა ღირებულებებზე იყოს დაფუძნებული. არჩევანიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს და მათ ქვემდებარე საზოგადოებებს მეტად განსხვავებული პრობლემები ექმნებათ უსაფრთხოების დარგში: გარკვეული ფაქტორები, რომლებსაც ესა თუ ის ერი ეროვნულ საფრთხედ აღიქვამს, ასეთად, იქნებ, არც ჩათვლილიყო, ეროვნული პროექტი სხვაგვარად რომ იყოს ფორმულირებული. მაგალითად, თუ ადამიანთა ჯგუფის მიზანი ეთნიკური თვითგადარჩენა, ანუ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაა, სულაც არაა აუცილებელი, მას იგივე პრიორიტეტები ქონდეს, რაც სხვა მხრივ მსგავს ჯგუფს, რომლის სურვილიც სრულფასოვანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნაა. ამიტომ მას საფრთხეებისა და გამოწვევების სხვა ერთობლიობა ექმნება (ნოღია 2006: 56).

ზოგადად რომ ვთქვათ, *ნაციონალური პროექტი* არის ხელისუფლების მიერ ნაციონალური ინტერესის და მისი რეალიზების პერსპექტივის ხედვა, რომელსაც იზიარებს ან არ იზიარებს მოსახლეობის უმრავლესობა. საკვლევ პერიოდში საქართველო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, *ნაციონალურ პროექტში* იგულისხმება საზოგადოების ლიდერების (ამ შემთხვევაში - “თერგდალეულების”) მიერ ჩამოყალიბებული ქვეყნის განვითარების ხედვა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში თერგდალეულთა “ეროვნული პროგრამის” სახელით არის ცნობილი.

ნაშრომში ვხვდებით როგორც ტერმინ *ერს*, ასევე *ნაციას*. ეს ცნებები ჩვენს მიერ ამჯერად იდენტური მნიშვნელობებით გამოიყენება. ერის ცნება ერთ-ერთი რთული და სადისკუსიო საკითხია საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. საყოველთაოდ აღიარებული და ყველასათვის მისაღები პასუხი კითხვაზე - “რა არის ერი?” - არ არსებობს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, საერთოდ შეუძლებელია ერის მეცნიერული განმარტება არსებობდეს, რადგან

ყოველი ერი იმდენად უნიკალურია ელემენტების კომბინაციით, რომ ამ ელემენტების განზოგადება და ერის ნიშნებად მათი მიჩნევა წარმოდგენელია (დავითაშვილი 2003: 10). არ ხერხდება ობიექტური კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ნაციის არსებობა. მიუხედავად ამისა, მკვლევართა უმეტესობა ორ საკითხში მაინც თანხმდება: ნაცია არ არის სახელმწიფო და ის არ არის ეთნიკური ერთობა.

ენტონი დ. სმითი ერს მიიჩნევს თვითდასახელების მქონე ერთობად, რომლის ძირითადი ატრიბუტია საერთო საჯარო კულტურის არსებობა, ასევე ერთიანი ეკონომიკა, საზიარო ისტორია და მითები, სამშობლო მიწა, ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი (სმითი 2004: 34).

ემპირიული მასალის განხილვისას ნათლად გამოჩნდება, რომ XIX საუკუნის 70-80 წლებში მოღვაწე ქართველ ინტელექტუალთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ერთიანი საჯარო კულტურის ჩამოყალიბება, ასევე ერთობის ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობების განსაზღვრა. განსაკუთრებით აღინიშნებოდა საზიარო ისტორიის მნიშვნელობა, ერთიანი ეკონომიკის შექმნის აუცილებლობა. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში ყველაზე მეტად გამოსადეგია “პოტენციური ნაციის” ცნება. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში არ თავსდება იმის განსაზღვრა, მიიღო თუ არა ჩამოყალიბებული ნაციის ფორმა ქართველმა ერმა, შესაბამისად, საუბარი უკვე ფორმირებულ ერზე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს სმითისეულ კრიტერიუმებს, განსახილველ ეპოქაში ნაადრევია. ამიტომ “პოტენციური ნაციის” ცნება ყველაზე მეტად ესადაგება კვლევის სპეციფიკას და XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოსთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინის - *ერის (ან ნაციის)* ქვეშ ყოველთვის იგულისხმება “პოტენციური ნაცია”² - კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - სმითისეულ კრიტერიუმებთან

² აქ, რასაკვირველია, არ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ეს ტერმინი გამოყენებულია რომელიმე კონკრეტული ავტორის ციტირებისას.

მიმართებაში.

გამოკვლევის თეორიული ნაწილი ეყრდნობა კლასიკურ ნაშრომებს ნაციონალიზმის კვლევებში. შევეცადეთ, კომპლექსური სახით წარმოგვედგინა ნაციონალიზმის ძირითადი თეორიული მიმდინარეობები და მათ შორის არსებული განსხვავებები. რა თქმა უნდა, ნაშრომის ფარგლებში, შეუძლებელია ისეთ ამბივალენტურ და მრავალმხრივ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული თეორიების სრულყოფილი მიმოხილვა, როგორც ნაციონალიზმი. ეს არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს. გამოკვლევის თეორიული ნაწილი ემპირიული მასალის ნათლად გააზრებისთვის არის ჩამოყალიბებული.

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში არსებულ უზარმაზარ ფაქტობრივ მასალაში მკაფიო ორიენტაციის საშუალებას იძლევა.

ემპირიული მასალის განხილვისას წარმოგიდგენთ ჩვენთვის საინტერესო ეპოქის ისტორიულ ფაქტებს. ისინი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ამჯერად ეს ფაქტები განხილულია ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ჭრილში რაც, ვფიქრობთ, მათი ახლებურად გააზრების შესაძლებლობას გვაძლევს. ასევე მოდერნისტული თეორიის ფარგლებში განვიხილავთ ქართველ ინტელექტუალთა თეორიულ მოსაზრებებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნათლად გვიჩვენებენ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულების არამართებულობას. ქართველ ინტელექტუალთა ნააზრევი, ძირითადად, პუბლიცისტური ხასიათის წერილების და ლიტერატურული ნიმუშების საფუძველზე არის გაანალიზებული.

თავი I

ნაციონალიზმის ძირითადი თეორიები – მოკლე მიმოხილვა

§ 1. მოდერნისტული თეორია

ჩვენი კვლევის ძირითად თეორიულ საყრდენს, როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია ამ პარადიგმის არსის განხილვა, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია, გადმოვცეთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულება “ნაციონალიზმის ისტორიის” შესახებ, რომელიც ნაციონალიზმს ისტორიულ პრიზმაში წარმოგვიდგენს.

ენტონი დ. სმითის აზრით, არსებობს ფართოდ გაზიარებული “ნაციონალიზმის ისტორია” და იგი, უდაოდ, მოდერნისტულია. ის იწყება XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, პოლონეთის დაყოფითა და ამერიკის რევოლუციით და, საფრანგეთის რევოლუციის გავლით, აღწევს რეაქციამდე, ნაპოლეონის მიერ პრუსიის, რუსეთისა და ესპანეთის დაპყრობამდე. ამ თვალსაზრისის თანახმად, ნაციონალიზმი ამ ორმოცი წლის განმავლობაში წარმოიშვა. მოგვიანებით, XIX საუკუნის 10-20-იან წლებში იგი ვრცელდება ევროპის სხვადასხვა ნაწილში – სერბეთში, საბერძნეთში, პოლონეთში (კვლავ), ისევე როგორც ლათინური ამერიკის კრეოლურ ელიტებს შორის. ნაციონალიზმის პირველმა დიდმა ტალღამ ევროპას 1848 წლის რევოლუციების დროს – ე.წ. “ხალხების გაზაფხულზე” გადაუარა, რაც, პირველ რიგში, გერმანიისა და იტალიის გაერთიანებასა და ჰაბსბურგთა იმპერიაში უნგრეთის აღზევებაში გამოიხატა. XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში ნაციონალიზმის მეორე ტალღა აგორდა: ეს იყო ჩეხური, სლოვაკური, რუმინული, ბულგარული, ლიტვური, ფინური, ნორვეგიული ნაციონალიზმები, ევროპის გარეთა რამდენიმე ნაციონალიზმთან ერთად. XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ამ ტალღას შეუერთდა სხვადასხვა ეთნიკური ნაციონალიზმი აზიაში – თურქული, არაბული, სპარსული, ბირმული, იავური, ფილიპინური,

ვიეტნამური და ჩინური, აგრეთვე ნაციონალიზმის პირველი გამოვლინებანი აფრიკაში (ნიგერიაში, განასა და სამხრეთ აფრიკაში). XX საუკუნის 30-40-იანი წლებისათვის დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიძებნებოდა კუთხე, რომელსაც ნაციონალიზმის მძლავრი შეტევა არ შეხებოდა. იგივე პერიოდი ევროპაში ნაციონალიზმის აპოგეით (რომელმაც კულმინაციას მიაღწია ნაციზმსა და მეორე მსოფლიო ომისდროინდელ გენოციდში), ხოლო აფრიკასა და აზიაში პოსტკოლონიური, “გამათავისუფლებელი” ნაციონალიზმებით აღინიშნა.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა ბევრს ნაციონალიზმის ძალა ამოწურულად მიაჩნდა, შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი კიდევ ერთხელ გაცოცხლდა მოძრაობებში ეთნიკური ავტონომიის მოთხოვნით - კატალონიაში, შოტლანდიაში, უელსში, კვებეკში და ა.შ. ოთხმოციან წლებში ნაციონალიზმი, თითქოს, კვლავ ჩაცხრა და შემდეგ კვლავ აღორძინდა, როცა 1988 წლიდან *პერესტროიკა* დაიწყო ნაციონალიზმების წახალისება საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში. ამან თავისი წვლილი შეიტანა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლაში.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, მოლოდინის თავბრუდამხვევ ატმოსფეროში, ეთნიკური ნაციონალიზმით გამოწვეული ახალი ტრაგედიების მოწმენი გავხდით ინდოეთის ნახევარკუნძულზე, შუა აღმოსავლეთში, აფრიკაში, იუგოსლავიასა და კავკასიაში (სმითი 2004: 130-131), მათი შედეგები ჯერ კიდევ გაურკვეველია, რაც, ნაციონალიზმის კვლევის განსაკუთრებულ აქტუალურობას განაპირობებს.

ნაციონალიზმის ისტორიის “მოდერნულობის” იდეას ბევრი მკვლევარი იზიარებს, შესაბამისად, მოდერნისტული თეორია აღიარებულია სამეცნიერო წრეებში.

თეორიულ მიმდინარეობებს შორის მოდერნიზმი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიაა. თავისი კლასიკური სახით, იგი XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. მოდერნიზმის არსი გამოიხატება თეზისით, რომ ნაციონალიზმი

ახალი ფენომენია და მისი ისტორია უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება და ამ ეპოქის ისეთივე პროდუქტია, როგორც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, სეკულარიზმი და ა.შ. ცნობილი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი მიიჩნევს, რომ, ნაციონალიზმი წინ უსწრებს ერებს, ერები კი არ ქმნიან სახელმწიფოებსა და ნაციონალიზმს, არამედ პირიქით. ეს მოსაზრება ძალიან კარგად გამოხატავს მოდერნისტული თეორიის არსს. ამ თეორიის ქვემიმდინარეობები სამი ნიშნის მიხედვით იყოფა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული (დავითაშვილი 2003: 101). ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ის ფაქტორები, რომლებიც ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელად მიიჩნევა. ჩვენი ინტერესის საგანს უკანასკნელი (სოციალურ-კულტურული) მიმდინარეობა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მოკლედ მიმოვიხილოთ ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებები.

მოდერნიზმის ეკონომიკური მიმართულების წარმომადგენლები, ძირითადად, ნეომარქსისტები არიან, რომლებიც ნაციონალიზმის წარმოშობას ეკონომიკურ ფაქტორებს და კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ დონეს უკავშირებენ. ზურაბ დავითაშვილი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის 60-70-იან წლებში გარკვეული პრობლემები შეიქმნა ნაციონალიზმის კლასიკურ მარქსისტულ გაგებაში. კერძოდ, ანტიკოლონიურმა და ანტიიმპერიალისტურმა ნაციონალიზმმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და მემარცხენე შეხედულებების ინტელექტუალებისათვის პროგრესულ იდეოლოგიად და მოძრაობად იქცა, რომელიც სიმპათიას და მხარდაჭერას იწვევდა (დავითაშვილი 2003: 101). დამკვიდრდა აზრი, რომ ნეოიმპერიალიზმის, ეკონომიკური იმპერიალიზმისა და საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური ბრძოლა იყო. ამ მიმართულების წარმომადგენელთაგან საყურადღებოა ტომ ნაირნისა და მაიკლ ჰეტჩერის გამოკვლევები. ამ უკანასკნელის ცნობილი ნაშრომი “ნაციონალიზმის შეჩერება” ქართულ ენაზეც არსებობს, რაც, უდაოდ, წინგადადმული ნაბიჯია საქართველოში

ნაციონალიზმის კვლევების განვითარებისთვის.

მოდერნიზმის მეორე მიმართულებად უნდა ჩაითვალოს მიმდინარეობა, რომელიც ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზად პოლიტიკის ბუნების ტრანსფორმაციას მიიჩნევს. კერძოდ, ავტორთა ნაწილი მის წარმოქმნას თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებას უკავშირებს. ზოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებას ანიჭებს. არის სხვა პოლიტიკური მოვლენებიც, რომლებიც ნაციონალიზმის ჩამოყალიბების და გავრცელების განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევა სხვადასხვა მკვლევრის მიერ (დავითაშვილი 2003: 107). ამ მიმართულების წარმომადგენელთაგან საყურადღებოა ინგლისელი მეცნიერის ჯონ ბროილის მოსაზრებები, რომელთა გარკვეულ ნაწილს ემპირიული მასალის წარმოდგენისას შეეხებოდა. ამ მიმართულების წარმომადგენლად ითვლება ჩვენს მიერ უკვე ნახსენები ინგლისელი მეცნიერი ერიკ ჰობსბაუმი.

ნაციონალიზმის მოდერნიზტული თეორიის მესამე მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს ანიჭებს. იგი საინტერესო ინსტრუმენტია იმ პროცესების გასაზრებლად, რომლებიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარდა საქართველოში, და მათ შესაძარებლად დასავლეთ ევროპაში თითქმის იმავე ეპოქაში მიმდინარე მოვლენებთან. მისი ავტორები არიან ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ბენედიქტ ანდერსონი და ინგლისში მოღვაწე ჩეხურ-ებრაული წარმოშობის მკვლევარი ერნესტ გელნერი. ამ მიმართულების ცნობილი წარმომადგენელია ასევე ჩეხი მეცნიერი მიროსლავ ჰროჩ³ (Hroch).

საჭიროდ მიგვაჩნია, ამ ავტორთა კონკრეტული თეორიული დებულებები ფაქტობრივი მასალის განხილვისას წარმოვადგინოთ, რათა გაადვილდეს თეორიისა და მისი ემპირიული საფუძვლის მკაფიო აღქმა.

³ ზოგჯერ მისი გვარი მოხსენიებულია *ჰროჩის* ფორმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ენტონი დ. სმითი ასევე გამოყოფს იდეოლოგიურ და კონსტრუქციონისტულ მიმართულებებს. იდეოლოგიური მიმართულების ყურადღების ცენტრშია ნაციონალური იდეოლოგიის ევროპული წარმომავლობა, მისი კვაზირელიგიური ძალა და როლი იმპერიების მსხვერველსა და ნაციების შექმნაში იქ, სადაც ამგვარი რამ არ არსებობდა. იგი ნაციონალისტური იდეოლოგიების კვალს განმანათლებლობასა და თვითგამორკვევის კანტისეულ იდეებში, საბოლოო ჯამში კი შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ დოქტრინებში პოულობს. ელი კედური აღნიშნავდა ამ იდეოლოგიების გავლენას არაევროპელ ხალხებზე, როდესაც უკმაყოფილო ინტელიგენციამ მშობლიურ ეთნიკურ და რელიგიურ ტრადიციებთან ამ ევროპული დოქტრინების ადაპტაცია მოახდინა (სმითი 2004. 80).

სმითი კონსტრუქციონისტულ მიმართულებას მოდერნიზმის თავისებურ ფორმად მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც ყურადღების ცენტრშია მოდერნულად მიჩნეული ნაციებისა და ნაციონალიზმის სოციალურად კონსტრუირებადობა. ერიკ ჰობსბაუმის მიხედვით, ახლად განთავისუფლებული მასების ენერჯის სათანადოდ მიმართვას მმართველი ელიტის ინტერესების გასატარებლად ნაციები სოციალური ინჟინერიის პროდუქტს – “გამოგონილ ტრადიციებს” უნდა უმადლოდნენ (სმითი 2004: 80-81).

მიუხადავად მიმართულებათა მრავალფეროვნებისა, მათ შორის ბევრი მსგავსებაა. უმთავრესი, რაც მათ აერთიანებთ, არის ნაციონალიზმისა და ნაციების მოდერნულობა.

§ 2. ალტერნატიული თეორიები

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და როგორც სოციალური მოვლენა, XVIII საუკუნის ბოლოდან არსებობს, რადგან თანამედროვე ერებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ევროპაში მხოლოდ საფრანგეთის დიდ რევოლუციის შემდეგ დაიწყო. რაც შეეხება ნაციონალიზმს, როგორც აკადემიური კვლევის სფეროს, ამ მხრივ პირველი ნაბიჯები მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში გადაიდგა და მას დაახლოებით ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს. შესაბამისად, სოციალური მეცნიერებების კვლევის სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ნაციონალიზმი შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. როგორც ბენედიქტ ანდერსონი შენიშნავს, ყველა სხვა “იზმთან” შედარებით, ნაციონალიზმს არ შემოუქმნია დიდი მოაზროვნეები, არ ჰყოლია თავისი ჰობსი, ტოკვილი, მარქსი თუ ვებერი. პირველ მსოფლიო ომამდე ნაციონალიზმს უფრო ფილოსოფიური და ეთიკური კუთხით უყურებდნენ და ნაკლებად აინტერესებდათ მისი წარმოშობისა და გავრცელების მიზეზები თუ კანონზომიერებანი. ზურაბ დავითაშვილის სიტყვით, რომ მარქსისტებიც და ლიბერალებიც ნაციონალიზმს განიხილავდნენ როგორც წარმავალ, დროებით ფენომენს, რომლის ადგილიც მომავალ მშვიდობიან საერთაშორისო წესრიგში აღარ იქნებოდა. ალბათ, ამიტომაც არ ყოფილა მცდელობა შექმნილიყო ზოგადი თეორია, რომელიც მისადაგებული იქნებოდა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებთან (დავითაშვილი 2003: 88).

ნაციონალიზმის ფენომენის წარმოშობა და განვითარება ურთულესი პრობლემაა და მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებებიდან გამომდინარე, გამოიყოფა ოთხი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა: პრიმორდიალიზმი, პერენიალიზმი, ეთნოსიმბოლიზმი და მოდერნიზმი (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი პერენიალიზმს პრიმორდიალიზმის ფარგლებში ათავსებს და სამ მიმდინარეობას გამოყოფს). ზოგადად

მიმოვიხილოთ ეს მიმდინარებები.

პრიმორდიალიზმი. პრიმორდიალიზმის მიხედვით ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობდა და მას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თავად კაცობრიობას. პრიმორდიალისტების აზრით, ეროვნულობა ადამიანთა არსებობის ბუნებრივი ფორმაა. პრიმორდიალიზმი არ წარმოადგენს ერთიან, მონოლითურ თეორიას. მისი კრიტიკული განხილვისას შესაძლებელია სხვადასხვა მიმდინარეობის გამოყოფა. მკვლევრები ნაციონალიზმის პრიმორდიალისტურ თეორიაში ნატურალისტურ, სოციობიოლოგიურ და კულტურულ მიდგომებს გამოყოფენ (დავითაშვილი 2003: 90).

ნატურალისტური მიდგომა პრიმორდიალიზმის ყველაზე უკიდურესი ფორმაა. იგი ამტკიცებს, რომ ეროვნული კუთვნილება ისეთივე ბუნებრივი ფენომენია, როგორც ლაპარაკი ან სმენა. ადამიანს ისევე აქვს ეროვნება, როგორც ცხვირი და ყურები, ხოლო ერთი, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი მიეკუთვნება, წინასწარ განსაზღვრული და ბუნებრივად ფიქსირებულია. “ნატურალისტური” მიდგომის წარმომადგენლები ვერ ხედავენ განსხვავებას ერსა და ეთნოსს შორის, ხოლო ნაციონალიზმს მიიჩნევენ კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენად. აღნიშნული შეხედულება, ხშირ შემთხვევაში, რადიკალი ნაციონალისტების მიერ არის გაზიარებული. ერის უკვდავების იდეის, მისი გმირული წარსულის, უძველესი ეპოქიდანვე ძლიერი ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის რწმენა არის ის აუცილებელი საფუძველი, რასაც უნდა ეყრდნობოდეს მთელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ჩეხური ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ფრანტიშეკ პალაცკის აზრით, ერთი მუდამ არსებული ერთობაა, რომელიც გამოირჩევა ყველა სხვა მსგავსი ერთობისაგან ცხოვრების განსაკუთრებული გზით, მისი “მიჯაჭვულობით” ტერიტორიულ სამშობლოსთან და მისწრაფებით პოლიტიკური განცალკევებისაკენ. წარსული თვითრეალიზაციისთვის მუდმივი ბრძოლის ისტორიაა. სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია თურქი ნაციონალისტის

თეჟინ ალფის მოსაზრებები, სადაც იგი გადაჭრით და სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ თურქი ერი არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 12 ათასი წლის წინ, რომ მათ თავიანთი ისტორიის მანძილზე, სელჯუკთა და ოსმალეთის იმპერიების გარდა, რამდენიმე უძლიერესი იმპერია შექმნეს და თურქი ერი ჯერ კიდევ მაშინ იყო მაღალი კულტურის, როცა ევროპა ველური ტომებით იყო დასახლებული და სრულ უმცერებაში ცხოვრობდა. ასევე, თურქული კულტურა მთელი თავით მაღლა დგას მუსლიმურ კულტურაზე, რომელთან შედარებითაც იგი გაცილებით ძველია, და თუმცა თურქეთმა გარკვეული დაკნინება და დაცემა განიცადა, გამოჩნდა ხელმძღვანელი, ეროვნული გმირი და წინამძღოლი - ქემალ ათა-თურქი, რომელიც თურქეთს ძველ დიდებას დაუბრუნებს. მსგავსი გამონათქვამებისა და რწმენის არსებობის გამომხატველი მოსაზრებების პოვნა ნებისმიერი ერის (მათ შორის საქართველოს) ნაციონალისტი მოღვაწეების ნააზრევში შეიძლება.

ნაციონალიზმის ფენომენის სოციოპოლოგიური კუთხით ახსნა სცადა პიერ ვან დენ ბერგემ. იგი შეეცადა, პასუხი გაეცა კითხვისათვის - “არიან თუ არა ცხოველები სოციალური არსებანი და რატომ მოქმედებენ ერთობლივად (ჯგუფურად)?” მისი აზრით, “ცხოველები არიან სოციალური არსებანი იმდენად, რამდენადაც ერთობლივი ქმედება სასარგებლოა მათთვის”. ზუსტად ასევე გვაროვნული შერჩევა ანუ ნათესავებთან ერთ საზოგადოებაში ყოფნა არის ადამიანთა სოციალიზაციის არსებითი ფაქტორი. ეთნოსიც (ეთნიკურობა) და რასაც (ანთროპოლოგიური ტიპი) გვარის გაფართოებული ცნებაა. შესაბამისად, ეთნიკური და რასობრივი გრძნობები გასაგები ხდება გვაროვნულ-ნათესაური გრძნობების საფუძველზე. ეს კი ადამიანს თავიდანვე მოცემული აქვს და, შესაბამისად, ეთნიციზმი, რასიზმი თუ ნაციონალიზმი ბუნებრივი, ბიოლოგიურ-გენეტიკური მოვლენაა (დავითაშვილი 2003: 93).

“კულტურული პრიმორდიალიზმის” წარმომადგენლებად მიჩნეული არიან ედუარდ შილსი (Shils) და კლიფორდ გირცი (Geertz). ამ ავტორების წარმოდგენები პრიმორდიალიზმის შესახებ

სამ მთავარ იდეამდე დაიყვანება:

1. ეროვნული იდენტობა პრიმორდიალურია და აპრიორულად არის მოცემული. პრიმორდიალური კუთვნილება ბუნებრივი და სულიერია, და არა სოციალური.

2. პრიმორდიალური გრძნობები გამოუხატავი და იძულებითია. თუ ინდივიდი მიეკუთვნება რომელიმე ჯგუფს, ის გარდაუვლად გრძნობს ამ ჯგუფისადმი კუთვნილებას და მის გავლენას.

3. პრიმორდიალიზმი, არსებითად, ემოციისა და ზემოქმედების საკითხია. კულტურული პრიმორდიალიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც მიდგომა, რომელიც ემყარება თვით ინდივიდების შექმნილ ღირებულებათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ ცნობიერებას (დავითაშვილი 2003: 94).

ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაზე პრიმორდიალურ შეხედულებას უპირისპირდებიან არა მარტო მოდერნისტები, არამედ ეთნოსიმბოლისტებიც. ენტონი დ. სმითი ამტკიცებს, რომ უძველესი პერიოდიდან არსებობდნენ ეთნოპოლიტიკური ერთობები, რომლებიც ძველი და შუა საუკუნეების სახელმწიფოების საფუძველს შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, იგი არ თვლის ასეთ ერთობებს ერებად და უარყოფს ერების და ნაციონალიზმის არსებობას XVIII საუკუნემდე.

ნაციონალიზმისადმი პრიმორდიალურ მიდგომას ცოტა მიმდევარი ჰყავს. იგი არ არის სამეცნიერო წრეებში მიღებული თეორია. მკვლევართა დიდი ნაწილის დასკვნით, პრიმორდიალიზმი ნაციონალიზმის თეორიაში ნაკლებად დასაბუთებული მიმდინარეობაა და, ფაქტობრივად, მთლიანად უარსაყოფია. თუმცა, სხვები თვლიან, რომ ასეთი კატეგორიული დასკვნის გაზიარება, ალბათ, არ იქნება გამართლებული, რადგან პრიმორდიალიზმი, მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, უდაოდ შეიცავს რაციონალურ მარცვლებს, ბევრი მისი დებულება საყურადღებო და მისაღებია.

პერენიალიზმი. ნაციონალიზმის მეორე მნიშვნელოვანი თეორიული მიმართულებაა. სახელწოდება მოდის სიტყვიდან “პერენიალ”, რაც

მრავალწლიანს, წლების მანძილზე მიმდინარეს ნიშნავს. მეორე მსოფლიო ომამდე ბევრი მეცნიერი იზიარებდა შეხედულებას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაციონალიზმი ბიოლოგიური დედალი მოვლენაა, თავად ნაციები ყოველთვის, ისტორიის ყველა პერიოდში არსებობდნენ. პერენიალისტებად მიიჩნევენ მკვლევრებს, რომლებიც თვლიან, რომ ერები უძველეს დროშიც არსებობდნენ, მაგრამ უარყოფენ ერის მუდმივ, ბუნებრივად არსებულ ხასიათს. პერენიალისტები თვლიან, რომ თანამედროვე ერები არიან თავიანთი შუა საუკუნეების “ორეულების” შთამომავლები. ანუ, თუმცა დღევანდელი ინგლისელი ერი არ არის იგივე, რაც შუა საუკუნეების ინგლისელი ერი (რასაც, მაგალითად ამტკიცებენ პრიმორდიალიზმის ნატურალისტური მიდგომის წარმომადგენლები), მაგრამ შუა საუკუნეების ინგლისელები უდაოდ იყო ერი და ის დღევანდელი ინგლისელების “ორეულად” უნდა მივიჩნიოთ. ამგვარად, ერები არსებობდნენ შუა საუკუნეებშიც და ანტიკურ პერიოდშიც, თუმცა განსხვავდებოდნენ დღევანდელი ერებისაგან. მაგრამ ის, რომ ისინი ერები იყვნენ, პერენიალისტების აზრით, სადაო არ უნდა იყოს (დავითაშვილი 2003: 91-92).

აღბათ, სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ საზოგადოების ბევრი წევრი დღესაც პერენიალისტურ თვალსაზრისზე დგას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მათ საკუთარ ნაციას ეხება. XIX საუკუნეში და XX საუკუნის 40-იან წლებამდე პერენიალიზმის ამა თუ იმ ვარიანტს ბევრი მეცნიერი იზიარებდა. ამგვარი ვითარების შექმნას, ნაწილობრივ, “რასისა” და “ნაციის” გათანაბრების ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა უწყობდა ხელს. ტერმინი “რასა” უფრო ხშირად შთამომავლობითი ჯგუფის განცალკევებულ კულტურას აღნიშნავდა, ვიდრე მემკვიდრეობით უცვლელ ბიოლოგიურ ნიშნებსა და გენებს (დღეს იგი შეგვეძლო ჩაგვენაცვლებინა ტერმინით *ეთნიკურობა*). პერენიალიზმს აგრეთვე ხელი ეწყობოდა სოციალური ევოლუციის იდეით, რომელიც მახვილს პროგრესის საფეხურებზე, სოციალურ და კულტურულ კუმულაციაზე აკეთებდა. ნაციებში კოლექტიური გრადუალიზმის, განვითარებისა და კუმულაციის ელემენტების მქონე ერთობების დანახვა ადვილიც

იყო და ბუნებრივიც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ორგანული ანალოგია იზიდავდა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ნაციონალისტური კონცეფციებით ნასაზრდოები ნაციონალური ისტორიოგრაფიისა და არქეოლოგიის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს დისციპლინები ხელს უწყობენ ამგვარ კონცეფციებს თავიანთი “ურყევი მონაცემებით” და შორეული მატერიალური კულტურის ხელშესახები ნაშთებით (სმითი 2004 81-82).

ენტონი სმიტის აზრით, პერენიალიზმი ნაციის (და, შესაბამისად, ნაციონალიზმის) ნატურალისტურ კონცეფციაში არ უნდა ავურიოთ, რაც პრიმორდიალიზმის საფუძველია. პერენიალისტებს შეუძლიათ, გაიზიარონ ან არ გაიზიარონ ნაციის პრიმორდიალისტური კონცეფცია. “ის, რაც აუცილებელია პერენიალიზმისათვის, არის რიგ ემპირიულ დაკვირვებებზე დაფუძნებული რწმენა, რომ ნაციები ყოველ შემთხვევაში, ზოგი ნაცია მაინც, რაღაც მიზეზების გამო, დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში არსებობს. სულაც არაა სავალდებულო, რომ პერენიალისტები ნაციებს ნატურალისტურად, ორგანულად ან პრიმორდიალურად მიიჩნევენ... პერენიალისტებს არც სჭირდებათ, რომ იყვნენ, და ხშირად არც არიან, პრიმორდიალისტები. ჩვენ კი მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მათ შორის არსებული ზღვარი” (სმითი 2004: 82).

პერენიალიზმი ორი ფორმით გვხვდება. პირველი მათგანია “განგრძობადი პერენიალიზმი”, ხოლო მეორე – “პერიოდული პერენიალიზმი”. განგრძობადი პერენიალიზმის მიხედვით, ნაციას გრძელი, განგრძობადი ისტორია აქვს და ამიტომ მისი წარმოშობის კვალს შუა საუკუნეებში, ან, უფრო იშვიათად, ანტიკურობაში შეიძლება მივაკვლიოთ. აქ აქცენტი განგრძობადობაზე კეთდება, თუმცა რღვევებისა და წყვეტების იგნორირება არ ხდება (სმითი 2004. 83).

პერიოდული პერენიალიზმი ბევრად მკაფიოდ გამოკვეთს დებულებას ნაციების ანტიკურ პერიოდში წარმოშობის შესახებ. იგი გვეუბნება, რომ დროთა განმავლობაში ნაციები იცვლებიან, მათ თავიანთი დასაწყისი და დასასრული აქვთ. მაგრამ ნაცია, როგორც

ასეთი, როგორც ადამიანური ასოციაციის კატეგორია, პერენიალური და ყველგან მყოფია. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ნაციები შეიძლება მოვიდნენ და წავიდნენ, ნაციადყოფნის იდეა, თავისთავად, ამოუძირკვავი ფენომენია და მრავალი კულტურული და პოლიტიკური ერთობის მიმართ შეიძლება იქნას გამოყენებული (სმითი 2004: 84). ენტონი სმითი პერენიალისტებად მიიჩნევს ჯონ არმსტრონგსა და ჯოზეფ ლობერას.

ზურაბ დავითაშვილი მიუთითებს სირთულეზე, რომელიც პერენიალიზმისა და ეთნოსიმბოლიზმის ურთიერთგამიჯვნასთან არის დაკავშირებული. ეთნოსიმბოლიზმზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ერთადერთი, რითაც შეიძლება პერენიალისტები და ეთნოსიმბოლისტები ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, არის ის, რომ ეთნოსიმბოლისტები, მოდერნისტების მსგავსად, ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის პერიოდად ახალ დროს (უკანასკნელ ორ საუკუნეს) მიიჩნევენ, თუმცა, მათი რწმენით, ერის ნიშნების მქონე ეთნოპოლიტიკური ერთობები მანამდეც (შუა საუკუნეები, ანტიკური დრო) არსებობდნენ. პერენიალისტები კი სწორედ ასეთ ერთობებს მიიჩნევენ ერებად და, ამდენად, ერების წარმოშობის თარიღი მათთვის განუსაზღვრელია. მათი აზრით, ერი შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ ისტორიულ პერიოდში, თუ ეთნოსი ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ერთობა, რის შედეგადაც იგი საკუთარ სახელმწიფოს შექმნის (დავითაშვილი 2003: 92).

ეთნოსიმბოლიზმი. ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა თვლის, რომ თანამედროვე ერები მათი შორეული "ორეულებისაგან" – ეთნოსებისაგან ჩამოყალიბდა (Smith 1993: 11). მას, გარკვეულწილად, შუალედური ადგილი უკავია პრიმორდიალიზმსა და მოდერნიზმს შორის. ეთნოსიმბოლისტებს მიუღებლად მიაჩნიათ ერების მთლიანად ახალი პერიოდის ფენომენად წარმოსახვა და ერის ისტორიაში გარკვეული ეთნიკური ერთობის როლის უგულებელყოფა. ეთნოსიმბოლიზმი მჭიდროდ აკავშირებს თანამედროვე ერებს მათ ეთნოსოციალურ წინაპრებთან.

ეთნოსიმბოლიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ენტონი სმითი, რომლის შრომები კლასიკურ ნაწარმოებებად ითვლება ნაციონალიზმის თეორიაში. სმითის მთავარი თეზისის მიხედვით, თანამედროვე ერების არსის გაგება შეუძლებელია მათი ეთნიკური წარსულისა და ისტორიის შესწავლის გარეშე. ნაციონალიზმის ფორმირების საფუძველი ის ეთნიკური ერთობაა, რომლის მითების, სიმბოლოების, ტრადიციებისა და მემკვიდრეობის საფუძველზე ხდება თანამედროვე ერის ჩამოყალიბება. მისი დაკვირვებით, დღევანდელ ერთა დიდი უმრავლესობა წარმოშობილია ერთი დომინანტი ეთნოსის გარშემო, რომელმაც მიიერთა და “შთანთქა” სხვა ეთნიკური ერთობები და რომლის სახელიც ვრცელდება მთელ ერსა და სახელმწიფოზე. სმითი ეთნიკური ერთობის ორ ტიპს გამოყოფს – “ლატერალურს” (არისტოკრატიულს) და “ვერტიკალურს” (დემოტიკურს). სწორედ ეს ორი ტიპი წარმოშობს თანამედროვე ერებს.

“ლატერალური” ეთნოსი სოციალურად მაღალ ფენებზეა “მიჯაჭვული” (არისტოკრატია, უმაღლესი სამღვდელთა). ეთნიკური ჯგუფი მოკლებულია სოციალურ სიღრმეს. მისი ერთად ჩამოყალიბება დამოკიდებულია კულტურულ ორბიტაში მოსახლეობის სხვა ფენების ჩართვაზე. ეს წარმატებით განხორციელდა დასავლეთ ევროპაში (ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი), სადაც დომინანტმა ეთნოსებმა შეძლეს პერიფერიების ჩართვა ელიტარულ კულტურაში.

რაც შეეხება “ვერტიკალურ” ეთნოსს, იგი უფრო “სახალხო” და კომპაქტურია. მისი კულტურა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში აღწევს. სოციალური დანაწილება არ არის გამოწვეული კულტურის განსხვავებულობით. ასეთ ეთნოსში ეთნიკური საზღვრები მყარია, ხოლო ინკორპორაციის ბარიერები – ბევრად რთული. ასეთი ეთნოსის ერთად ფორმირებას სმითი “ადგილობრივი მობილიზაციის” შედეგად მიიჩნევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თეორიული კონსტრუქცია, ჩვენთვის მნიშვნელოვანი პერიოდის ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში, საინტერესოდ ვლინდება, თუმცა არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის გამოყენება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ამ მიზეზებს მოკლედ პარადიგმის მიმოხილვისას შევჩებთ. ისინი თავად თეორიის არსში მდგომარეობს.

ეთნოსიმბოლიზმი გრძელვადიან ანალიზს უკავშირდება. “მხოლოდ რამდენიმე თაობის და საუკუნეების შესწავლით ძალუბთ მეცნიერებს გამოავლინონ წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის არსებული ურთიერთმიმართებანი და ადგილი გამოუნახონ ეთნიკებსა და ნაციებს ისტორიაში” (სმითი 2004: 92-93). ეთნოსიმბოლისტთა აზრით, ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ “რეტროსპექტული ნაციონალიზმის” ანაქრონიზმი. ეთნოსიმბოლისტური მიდგომა ყურადღებას იმ გზების ძიებაზე ამახვილებს (რამდენადაც ამის საშუალებას ისტორიულ ჩანაწერებში არსებული მრავალი რღვევა და წყვეტა იძლევა), რომლებითაც კოლექტიური იდენტობის ადრინდელმა ფორმებმა შეძლეს გავლენა მოეხდინათ ნაციების წარმოშობაზე. ეთნოსიმბოლისტური მიდგომა აუცილებლობად მიიჩნევს მოდერნული ნაციების წარმოშობის საკითხის ჩართვას პრემოდერნულ ეპოქებში არსებულ კოლექტიური კულტურული იდენტობების კონტექსტში, იმ ეთნიკური ერთობებისა, რომლებსაც სმითი *ეთნიკებს* უწოდებს და რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდნენ თანამედროვე ერები (სმითი 2004: 128).

დასაწყისში აღინიშნა, რომ ნაშრომი წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევის კვლევას (case study). შესაბამისად, მისი არეალი, გარკვეულწილად, შეზღუდულია. ამდენად, შეუძლებელია, მოცემული კვლევის ფარგლებში სრულყოფილად შევისწავლოთ პრემოდერნულ ეპოქაში არსებული კოლექტიური კულტურული იდენტობები თუ *ეთნიკები*. ეს შემდგომი კვლევის საქმეა. მოცემულ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანს XIX საუკუნის 70-80 წლებში მიმდინარე მოვლენები წარმოადგენს, რომელთა მოდერნიზმის ფარგლებში განხილვა საინტერესო შედეგებს იძლევა.

არსებობს ამგვარი არჩევანის კიდევ ერთი მიზეზი. ეთნოსიმბოლიზმი ცდილობს, თავი აარიდოს ექსკლუზიურად

ელიტაზე ორიენტირებულ ანალიზს, რაც მოდერნიზმისთვის არის დამახასიათებელი. წარმოდგენილ ნაშრომს აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი, ელიტაზე ორიენტირებული მიმართულება, რაც, შესაძლებელია, მის ხარვეზად ჩაითვალოს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ეთნოსიმბოლისტური ანალიზი საკითხის ფართო ისტორიულ ჭრილში განხილვას მოითხოვს, რაც მომავალი კვლევის საქმეა. ენტონი სმითის აზრით, მოდერნისტები მართალი არიან, როდესაც მოდერნულ მსოფლიოში აღმოჩენილ ნაციის ტიპსა და ადრეულ კულტურულ იდენტობებს შორის განსხვავების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. ამავე დროს, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა მეტიმეტად არ გავმიჯნოთ “პრემოდერნული ერთობები” და “მოდერნული ნაციები” და არც იმთავითვე გამოვრიცხოთ რაიმე სახის განგრძობადობის არსებობა პრემოდერნულ ერთობებსა და მოდერნულ ნაციებს შორის. ამგვარი უფსკრული მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა ყურადღებას მხოლოდ ზედა ფენაზე ვაჩქრებთ, რომელიც პრემოდერნულ ეპოქაში კოსმოპოლიტური და მულტიკულტურული იყო, მოდერნულ ეპოქაში კი მზარდად ნაციონალისტური გახდა. ამგვარი უფსკრული მაშინაც არსებობს, როცა ჩვენ მოდერნულ ეპოქას ერთიან “პრემოდერნულ” ხანას ვუპირისპირებთ, რომელიც თითქმის მონოლითურად მოგვაჩნია და, ამიტომაც, მოვლენების ასახსნელად ვქმნით მოვლენების მსვლელობის “უწინ-და-შემდგომ” ხელოვნურ მოდელს. ადრეული ანტიკურობის ისტორიულ კვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ კოლექტიური კულტურული იდენტობების განსხვავებული მოდელები და საფეხურები, წარმოვადგინოთ საიმედო, დეტალური და კომპლექსური თვალსაზრისი მათი განვითარების თაობაზე (სმითი 2004: 155-156).

ამრიგად, ეთნოსიმბოლიზმი რთული, მრავალწახნაგოვანი და უადრესად საინტერესო თეორიული კონსტრუქციაა, რომლის ფარგლებში კვლევამ, შესაძლებელია, მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანოს.

საფრთხეები, რომელიც კვლევის საფუძვლად ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის გამოყენებასთან არის დაკავშირებული და

რომელზეც ენტონი სმიტი მიუთითებს,რა თქმა უნდა,საყურადღებოა. მიუხედავად ამისა,საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოდერნიზმი ემპირიული მასალის სისტემატიზაციისა და კონტექსტუალიზების კარგი საშუალებაა. ჩვენი არჩევანი სწორედ ამ მიზეზის გამო შეჩერდა ნაციონალიზმის მოდერნისტულ თეორიაზე. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ არ ვაპირებთ, მეტისმეტად გავმიჯნოთ “პრემოდერნული ერთობები” და “მოდერნული ნაციები”, არც რაიმე სახის განგრძობადობის არსებობას გამოვრიცხავთ. ჩვენი კვლევა კონცენტრირებულია კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაზე და მისი მიზანიც კონკრეტულია – საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პერიოდის პროცესების განხილვა იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიაში დღემდე იშვიათად გამოიყენება.

თავი II

საქართველო XIX საუკუნეში – ისტორიული ვითარება

1801 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რამაც დიდი ხნით დაუსვა წერტილი სახელმწიფოებრიობის არსებობას საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის დებულება რუსეთთან ახლად შეერთებულ ქვეყანას საქართველოს უწოდებდა, სინამდვილეში იგი ფაქტობრივად არაფრით განსხვავდებოდა რუსეთის გუბერნიებისაგან. ისტორიკოს ალექსანდრე ბენდიანიშვილის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში შემოდებული მმართველობის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ მასში გარკვეული ადგილი დაუთმეს ქართულ ელემენტს, უცხო, გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის. რუსეთის მთავრობას და მის მიერ საქართველოში გამოგზავნილ მოხელეებს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ, ანგარიში გაეწიათ ქართველი ხალხის კულტურული და ყოფითი თავისებურებებისათვის. ისინი დაპყრობილი საზოგადოების ღირებულებებს საკუთარი ინტერესების პრიზმაში ხედავდნენ (ბენდიანიშვილი 1999: 10). რუსულ მმართველობას საქართველო კულტურულად და პოლიტიკურად დაყოფილი შეხვდა. დასავლეთ საქართველოში ოსმალეთი დომინირებდა, ხოლო აღმოსავლეთი ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მუდმივი შუღლი სამეფო-სამთავროებს შორის, განსხვავებები როგორც კუთხურ დონეზე, ასევე ბარსა და მთიანეთს შორის აფერხებდა საერთო ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას.

საქართველოში ცარიზმის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებამ საფუძველი ჩაუყარა საპროტესტო მოძრაობას, სხვადასხვა კუთხეში მასობრივ გამოსვლებს და აჯანყებებს, რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა.

რუსული მმართველობის დამყარებამ ქართული საზოგადოების ყველა ფენის უკმაყოფილება გამოიწვია. მეფობის გაუქმებამ და სამეფო ოჯახის წევრთა ქვეყნიდან გადასახლებამ, პირველ რიგში,

ბაგრატიონთა ინტერესები შელახა. საერთო საფრთხის შეგრძნებამ აქამდე ურთიერთმოქიშპე ტახტის მემკვიდრეები ერთმანეთთან დააზავა. ბატონიშვილები სახელმწიფოს აღდგენისთვის გზების და საშუალებების ძიებას შეუდგნენ.

ახალ წყობილებას მტრულად შეხვდა თავადაზნაურობაც. მეფის ნაცვლად უცხოელი მოხელის გაბატონება შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა მებატონეთათვის, მათ დაკარგეს სახელმწიფო სამსახური და შემოსავლიანი სამემკვიდრეო თანამდებობანი. სათავადოთა სისტემის თანდათანობითმა მოშლამ ქართველ მემამულეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს საფუძველი გამოაცალა.

შევიწროვდა ქართული სამღვდელოებაც, ხელისუფლებამ ეკლესიას ყმა-მამულის დიდი ნაწილი ჩამოართვა და მმართველობაში ხაზინას გადასცა.

დიდმა გადასახადებმა და მძიმე სოციალურმა პირობებმა ქართველი გლეხობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და რუსული მმართველობის წინააღმდეგ საპროტესტოდ განაწყო.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, ახალი ხელისუფლება ყველაზე უფრო მისაღები ვაჭართა წრისთვის აღმოჩნდა, რადგან ქართლ-კახეთის შიგნით ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო ვაჭრობის გააქტიურებას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან მიერთებამ იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან კავშირი გააიოლა. თუმცა, გადასახადების გამო უკმაყოფილებას ვაჭართა შორისაც ჰქონდა ადგილი (ჯანელიძე 2009: 5). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საზოგადოების ამ ფენაში არაქართული ეთნიკური ელემენტი მძლავრობდა.

საქმეს ქართული საზოგადოების ეთნიკური და სოციალური ჰეტეროგენულობა და ამოუცნობი ბუნებაც ართულებდა (ჯონსი 2007: 16). ბატონყმური ურთიერთობები არცთუ მკაცრად რეგულირდებოდა ვახტანგ VI-ის მიერ 1705-1708 წლებში შექმნილი კანონთა კრებულებით. ყველაზე მდიდარ და ძლიერ არისტოკრატებს (თავადებს) საკუთრებაში ჰყავდათ უფრო დაბალი რანგის არისტოკრატები (აზნაურები) და მღვდლები, ხოლო ეკლესიას,

თავის მხრივ - აზნაურები. საქართველოში არსებობდა ყმების, სულ ცოტა, ექვსი კატეგორია. რთულმა სოციალურმა სისტემამ დიდად განაპირობა კოლონიური რეჟიმისთვის წინააღმდეგობის გაწევა და გაართულა მასთან შეგუება (იქვე).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მოსახლეობის მასიური საპროტესტო გამოსვლებისა და ანტიცარისტული მოძრაობისათვის.

საქართველოში საოკუპაციო მმართველობის დამყარებიდან მცირე ხანში, 1802 წლის ივლისში, კახეთში პირველი საპროტესტო გამოსვლა დაიწყო. კახელ ფეოდალთა მღელვარების უმთავრესი მიზეზი იყო ხმების გავრცელება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობა ქართველი თავადაზნაურების რუსეთში გადასახლებას აპირებდა. ეს მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობის დასაწყისად არის მიჩნეული (ბენდიანიშვილი 1999: 11) და, ალბათ, არცთუ უმართებულოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტს, უმთავრესად, საზოგადოების ზედა ფენის წარმომადგენლები, თავადაზნაურები გამოხატავდნენ. თვითმპყრობელობამ, პირველ რიგში, ამ ფენის სამოხელეო უფლებები და წოდებრივი სიამაყე შეზღუდა. შეთქმულებას თბილისიდან ერეკლე მეფის ქვრივი დარეჯან დედოფალი ხელმძღვანელობდა. ავლაზრის სასახლე გამოსვლის თავისებურ შტაბს წარმოადგენდა. ამბოხებულებმა საქართველოს მმართველ კოვალენსკისა და კახეთში მდგომ რუსთა ჯარის სარდალს გენერალ გულიაკოვს წერილობით მიმართეს. ადგილობრივ ხელისუფლებას ბრალს სდებდნენ მანიფესტით აღთქმული პირობების შეუსრულებლობაში და ადრესატებს ხელმწიფესთან დასმენით ემუქრებოდნენ.

მმართველობამ გადამჭრელ ზომებს მიმართა და რუსული საჯარისო შენაერთები კახეთისკენ გაგზავნა. მან შეძლო გაეთიშა შეთქმულთა ძალები და საბოლოოდ ამბოხი ჩაახშო. საზოგადოების გათიშულობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ამბოხებულებს თავადაზნაურთა გარკვეული ნაწილიც დაუპირისპირდა,

განსაკუთრებით მათი სახით, ვისაც უკვე მოესწრო ახალი ხელისუფლების სამსახურში შესვლა (ჯანელიძე 2009: 7).

შემდეგი მასობრივი საპროტესტო გამოსვლა, რომელიც 1804 წელს ქართლის მთიანეთში მოეწყო, სოციალურ ნიადაგზე წარმოიშვა. ამ შემთხვევაში პროტესტმა, 1802 წლის ამბოხისგან განსხვავებით, საზოგადოების დაბალი ფენები მოიცვა. აღმოსავლეთ საქართველოში ახალი მმართველობის დაწესების შემდეგ სამეფო და საუფლისწულო გლეხები რუსეთის სახელმწიფო (სახაზინო) გლეხებად აქციეს. სახაზინო გლეხობა ნატურალურ და ფულად გადასახადს იხდიდა, მასვე ეკისრებოდა მძიმე სამხედრო და სამოქალაქო საჭიროებებისათვის შემოღებული სახელმწიფო-შრომითი ბეგარა-ვალდებულებანი: გამწევი ძალისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანა სურსათ-სანოვაგისა და საომარი აღჭურვილობის გადასატანად, გზებისა და ხიდების მშენებლობა და სხვა.

აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მთიულებსა და მოხვევებს თუშები და ფშავ-ხევსურებიც შეუერთდნენ. მღელვარება თრუსოს ხეობაში მცხოვრებ ოსური ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობაშიც გავრცელდა. საპროტესტო გამოსვლის იდეური წინამძღოლები სამეფო ოჯახის მემკვიდრე ბატონიშვილები იყვნენ. საზოგადოების ფენებს შორის გათიშულობამ აქაც იჩინა თავი. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ სტეფანწმინდის მფლობელი გაბრიელ ჩოფიკაშვილი, რომელიც ღიად დაუპირისპირდა აჯანყებულებს და იქ განლაგებულ ჯარის ნაწილთან ერთად ციხე-კოშკში გამაგრდა (ჯანელიძე 2009: 11). ასევე აჯანყების მოწინააღმდეგე ფეოდალთა ხელშეწყობით დააპატიმრეს იულონ ბატონიშვილი (ერეკლეს ძე).

საბოლოოდ ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ჩახშობა. გადამწყვეტი ბრძოლა 1804 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა, რომელშიც ამბოხებულები დამარცხდნენ, ხოლო მცირე ხანში ფარნაოზ ბატონიშვილიც შეიპყრეს.

მალევე აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობიდან რუსეთმა დასავლეთ საქართველოც მოაქცია საკუთარი მმართველობის ქვეშ. დასავლეთ საქართველო ამ პერიოდისთვის დიდი ხანია აღარ

წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს. იგი მოიცავდა იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროებს, რომლებიც ნომინალურად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ მაგრამ რეალურად არ ემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს და ხელს უშლიდნენ გაერთიანებისაკენ მიმართულ მის ძალისხმევას. ეს გარემოება კარგად გამოიყენა ცარისტულმა ხელისუფლებამ და სოლომონ II-ის შევიწროება სამეგრელოს მთავრის მხარდაჭერით დაიწყო. 1803 წლის 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო. სამეგრელო რუსეთის მფარველობაში შევიდა და მისი ქვეშევრდომი გახდა. სამეგრელოზე გავლენის მოპოვების შემდეგ მთავარმართებელმა ციციანოვმა ენერგიულად შეუტია იმერეთის სამეფოს და სოლომონი აიძულა, ხელი მოეწერა საქვეშევრდომო ტრაქტატზე. ხელშეკრულების ძალით, გურია იმერეთის განუყოფელ ნაწილად იქნა აღიარებული და, შესაბამისად, მასთან ერთად მიიღეს რუსეთის მფარველობაში. იმერეთის მეფე შემდგომში კვლავ დაუპირისპირდა რუსეთს და სცადა მისი გავლენისგან თავის განთავისუფლება, თუმცა უშედეგოდ. იმავე პერიოდში ცარიზმმა სვანეთის და აფხაზეთის სამთავროებიც მოაქცია საკუთარი პროტექტორატის ქვეშ.

1811 იმპერიულმა ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესია რუსეთის საეკლესიო საბჭოს – სინოდს დაუქვემდებარეს. დაწესდა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა, რომელიც უფლებრივად სინოდის წევრს გაუთანაბრდა. საქართველოს ეკლესიის სტრუქტურა მთლიანად გარდაიქმნა რუსულ ყაიდაზე. საეკლესიო ცვლილება შედარებით უმტკივნეულოდ გატარდა აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში კი მას სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა. ეკლესიის სისტემისა და სტრუქტურის შეცვლის გამო, 1819 წელს იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რომელიც მომდევნო წელს გურიასაც მოედო. ეს აჯანყება ცნობილია როგორც ბრძოლა საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ აჯანყება სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშო.

სოციალური შევიწროების ნიადაგზე მოეწყო 1812 წლის კახეთის

აჯანყება. რუსეთის ირანთან და ოსმალეთთან გაჭიანურებული ომების გამო საქართველოს მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, განსაკუთრებით აუტანელი იყო სატრანსპორტო ბეგარა და არმიის საკვებით უზრუნველყოფა. რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჯიუტად ითხოვდნენ გადასახადს და არად აგდებდნენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ ვითარებას. აჯანყება 1812 წლის იანვარში დაიწყო და მალე მთელ კახეთს მოედო. მთავარმართებლის ბრძანებით, ამბოხი ძალისმიერი მეთოდებით ჩაახშეს. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ სათავადაზნაურო ფენის წარმომადგენლები. კახეთში ბრძოლისას დაიჭრა ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, დაიღუპა პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი (ერეკლე მეფის სიმე) და სხვა. 1812 წლის ზაფხულში კახელებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლეს ძის) მეთაურობით, თუმცა უშედეგოდ.

აღწერილი მოვლენებიდან კარგად ჩანს ქართული საზოგადოების გათიშულობა, ერთიანი ნაციონალური ცნობიერების დეფიციტი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებას საქართველოში.

ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის კულმინაცია გახლდათ 1832 წლის შეთქმულება. 1832 წელი უმნიშვნელოვანესი თარიღია XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შეთქმულების მნიშვნელობა ცდება ამ საუკუნის ფარგლებს და მისი მარცხით გამოწვეული იმპულსები მოგვიანო პერიოდის საქართველოსაც წვდება. 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობაზე ქართული საზოგადოებისთვის უფრო დაწვრილებით შემდეგ თავში შევჭერდებით, ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ მისი არსი და მიზანი.

შეთქმულების იდეა პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა წიაღში წარმოიშვა. XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის სახალხო აჯანყებებთან შედარებით, 1832 წლის შეთქმულება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი

მოდრაობის გაცილებით მაღალ საფეხურს წარმოადგენდა. ხსენებული აჯანყებების მარცხმა შეთქმულების ორგანიზატორები დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ბრძოლის სხვა ფორმებისა და საშუალებების ძიება, ტაქტიკის შეცვლა. მართალია, მზადება, ამ შემთხვევაშიც, შეიარაღებული გამოსვლისთვის მიმდინარეობდა, მაგრამ ეს იყო გარკვეულ პროგრამაზე დამყარებული, დაგეგმილი, ორგანიზებული და მიზანმიმართული მოქმედების ცდა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის განახლებას ითვალისწინებდა. შეთქმულების მონაწილეებმა დაძლიეს სტიქიურ ამბოხებათა სულისკვეთება და მათი სააზროვნო მასშტაბი გასცდა საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ლოკალურ ფარგლებს (ჯანელიძე 2009: 26).

შეთქმულებას ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მათ კავშირი ქონდათ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლებთან, სამეგრელოს და აფხაზეთის მთავართა მემკვიდრეებთან. შეთქმულთა შორის არ იყო ერთსულოვნება საქართველოს მომავალი სახელმწიფო მოწყობის შესახებ განიხილებოდა მეფობის აღდგენის რესპუბლიკური წყობის პერსპექტივები, თუმცა უპირატესობა მაინც კონსტიტუციურ მონარქიას ენიჭებოდა. ორგანიზატორები ცდილობდნენ, თავიანთი მოქმედება იმხანად რუსეთის იმპერიასა და ევროპაში მიმდინარე მძაფრ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან, დაპყრობილ ერებში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობებთან შეესაბამებინათ. მართალია, შეთქმულებს ორგანიზაციული კავშირი არ ქონიათ არც პოლონეთში (1830-1831 წწ.) და არც რომელიმე სხვა ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლებთან, მაგრამ მათი დაპირისპირება ცარიზმთან ეხმიანებოდა საერთო სიტუაციას. აჯანყების თარიღი 1832 წლის 20 დეკემბერი იყო, თუმცა იგი რამდენიმე დღით ადრე გასცა მისმა ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა. შეთქმულების მოთავეები და მონაწილეები დააპატიმრეს.

მიუხედავად იმისა, რომ 1832 წლის შეთქმულება კარგად დაგეგმილ-ორგანიზებული იყო და მას საერთო-სახალხო ამბოხი უნდა გამოეწვია, იგი მაინც გამოკვეთილად “ელიტურ” ხასიათს ატარებდა

და მასში მხოლოდ წარჩინებული წოდების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ ეს იყო რიგით ბოლო გალაშქრება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ქართველო თავად-აზნაურები ედგნენ სათავეში. სწორედ მისი “ელიტურობა” არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იმისა, რომ იგი საერთო ნაციონალურ გამოსვლად მივიჩნით, ამ ცნების კლასიკური გაგებით. როგორც 1832 წლის შეთქმულება, ასევე ჩვენს მიერ აღწერილი წინა პერიოდის აჯანყებები, ვფიქრობთ, გამოკვეთილი ნაციონალური ცნობიერების არარსებობის მკაფიო მანიშნებელია, როგორც “ჰორიზონტალური” (სივრცითი), ასევე “ვერტიკალური” (სიღრმისეული) მიმართულებებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ “საგარეო მტრის” - ირან-ოსმალეთის - წინააღმდეგ ქართველები ირაზმებიან და ერთსულოვნად იბრძვიან რუსების მხარდამხარ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყირიმის ომი, სადაც ასეთმა სახალხო ლაშქარმა დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოში ბრძოლებისას. ეს, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული “მტრის ხატის”, საქართველოს მუდმივი მოწინააღმდეგის სტერეოტიპის გავლენას უნდა მივაწეროთ, რაც რუსეთის იმპერიის მიმართ იმ პერიოდში ნაკლებად იგრძნობოდა.

1832 წლის შეთქმულების შემდგომი პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში პესიმიზმის ეპოქადაა მოხსენიებული. მისმა მარცხმა დადი დაასვა ქართულ საზოგადოებას და, გარკვეული აზრით, მისი დროებითი “კაპიტულაცია” გამოიწვია. ეს კარგად ჩანს ქართველი რომანტიკოსების (განსაკუთრებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის) შემოქმედებაში. ნ. ბარათაშვილს, ქართული რომანტიზმის არსს და მის კავშირს ნაციონალიზმის ჩამოყალიბებასთან საქართველოში ქვემოთ შევხებით.

რუსეთის ხელისუფლებასთან შერიგებას და აქტიური საპროტესტო მოძრაობის ჩახშობას დიდად შეუწყო ხელი მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობამ (1844-1854). მან, კავკასიის სხვა ხელისუფალთაგან განსხვავებით, რომლებიც სამხედრო

ძალასა და უხეშ ადმინისტრირებას მიმართავდნენ, მართვის სადავეები ოდნავ მიუშვა. ტლანქი ძალმომრეობა ცივილიზებული მეთოდებით, ალერსისა და დაყვავების კურსით ჩაანაცვლა და, მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ქვეყნის კოლონიზაციის პროცესი შესამჩნევად დააჩქარა. ვორონცოვის მიმართველობის პერიოდში ქართველი თავადაზნაურობის ბევრი წარმომადგენელი ჩადგა იმპერიის სამსახურში და დიდი თანამდებობებიც დაიკავა. მან ქართული თავადაზნაურობისგან მეფის სამსახურში ჩამდგარი პრივილეგირებული არისტოკრატის ფენა შექმნა. როგორც სტივენ ჯონსი ამბობს, “...იტალიური ოპერა თუ ცეკვა “მაზურკა”, მოკირწყლული ქუჩები, თანამდებობები საიმპერიო არმიაში - ეს ყველაფერი რეალურად ქმედითი ინსტრუმენტი იყო ასიმილირებული ქართველი ელიტარული საზოგადოების შესაქმნელად და ნელ-ნელა აღწევდა კიდევ წარმატებას. ვორონცოვმა შეძლო ქართველებში ინტეგრაციის საწინააღმდეგო ჯერ კიდევ მოგიზგიზე ვნებები ჩაეცხრო” (ჯონსი 2007: 36). ისტორიული ხასიათის ლიტერატურაში ვორონცოვის პოლიტიკის დადებით ასპექტებსაც განიხილავენ, როგორებიცაა: ალებ-მიცემობის განვითარება საქართველოში, თბილისის მოდერნიზაცია, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს ხარჯზე ახალგაზრდობის გაგზავნა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში განათლების მისაღებად და სხვ. თუმცა, ასევე ნათელია მისი პოლიტიკის უარყოფითი შედეგები.

მიუხედავად აღნიშნულისა, მძიმე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები შემდგომ პერიოდშიც მოეწყო, კერძოდ, 1841 წელს გურიაში და 1856-1857 წლებში სამეგრელოში. ცარისტულმა რეჟიმმა ეს აჯანყებებიც ძალის გამოყენებით ჩაახშო. საკვლევ საკითხთან მიმართებაში, საინტერესოა სამეგრელოს აჯანყება, რომლის ჩასაქრობად გაგზავნილი გენერალი კოლუბიაკინი მეფისნაცვალს წერდა, რომ ზოგიერთი იდეა, ხალხში გადასროლილი ზოგიერთი მოწოდება გლეხთა აჯანყებას ისეთ მიმართულებას ანიჭებს, რომ მის დასახასიათებლად დასავლეთში

არსებული რევოლუციური ცნებები უნდა გამოვიყენოთო (ბენდიანიშვილი 1999: 61). თავისთავად საყურადღებოა ევროპასთან პარალელი, ასევე, ვფიქრობთ, ამ პერიოდში უკვე მომზადებულია გარკვეული საფუძველი XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ნაციონალური მოძრაობისთვის, რომელიც თერგდალეულთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას უკავშირდება.

თერგდალეულთა მოძრაობის არსზე, რომელსაც ნაციონალიზმის ჩამოყალიბების კონტექსტში განვიხილავთ, შემდეგ თავებში ვისაუბრებთ. ამ შემთხვევაში მიმოვიხილოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული ძირითადი მოვლენები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს უკავშირდება.

დასავლეთ საქართველოში არსებული სამთავროები რუსეთს საქართველოს დაპყრობისთანავე არ გაუუქმებია, ისინი იმპერიის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდნენ. საქართველოში პოზიციების გამაგრების შემდეგ, თვითმპყრობელობისთვის სტატუს ქვოს შენარჩუნება მიუღებელი გახდა. ყველაზე ადრე, 1829 წელს, გურიის სამთავრო გაუქმდა, 1840 წლიდან კი ყოფილი სამთავრო გურიის მაზრად გამოაცხადეს და საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შეიყვანეს.

1856-57 წლების გლეხთა აჯანყება ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს გაუქმების მოტივად გამოიყენა და დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე პეტერბურგში გაიწვია. 1857 წლიდან შემოიღეს დროებითი მმართველობა, 1867 წლიდან კი ოფიციალურ მემკვიდრეს საბოლოოდ ააღებინეს ხელი მთავრის უფლებებზე. ამავე წელს გაუქმდა სვანეთის სამთავრო.

1864 წელს რუსეთის იმპერიამ წარმატებით დაასრულა ჩრდილოეთ და დასავლეთ კავკასიის ხალხების დასამორჩილებლად წარმოებული ხანგრძლივი ომი და საბოლოოდ განიმტკიცა ძალაუფლება კავკასიაში. 1864 წელსვე გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო.

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის იმპერია ბატონყმური ურთიერთობები კრიზისმა მოიცვა, რამაც ხელისუფლება სისტემის გარდაქმნაზე დააფიქრა. 1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორმა

ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საგლეხო რეფორმის შედეგად უპირატეს მდგომარეობაში მანაც ყოფილი მეზატონე ჩადგა და გლეხი, მისთვის განკუთვნილი მიწის (ნადელი) საბოლოოდ გამოსყიდვამდე, დროებით ვალდებულად ითვლებოდა, ეს მანაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. საქართველოში საგლეხო რეფორმის განხორციელება 1864 წლიდან დაიწყო. ამ წელს გაუქმდა ბატონყმობა თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში – 1865 წელს, სამეგრელოში – 1866, აფხაზეთში – 1870, ხოლო სვანეთში – 1871 წელს. მეტროპოლიისაგან განსხვავებით, საქართველოში საგლეხო რეფორმა არასრული ფორმით გატარდა. გლეხისათვის მიცემული ნადელის ზომა გაცილებით დაბალი იყო, წვრილი მეზატონეები საერთოდ გათავისუფლდნენ ნადელის გაცემის ვალდებულებისაგან. ასევე დიდად გაჭიანურდა დროებითი ვალდებულება. ყოველივე ამის გამო, ხშირი იყო საპროტესტო გამოსვლები: 1873-1876 წლებში - სამეგრელოში, 1875-1876 წლებში - სვანეთში.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, ბატონყმობის გაუქმებამ მანაც დიდად შეუწყო ხელი საზოგადოების კონსოლიდაციას (ვერტიკალურ დონეზე) და ფენებს შორის ზღვარის შემცირებას.

იმპერატორ ალექსანდრე მეორის სახელს რუსეთის იმპერიაში განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი გარდაქმნებიც უკავშირდება. რეფორმები გატარდა საეროებო, სასამართლო, სასოფლო და საქალაქო მმართველობის, სამხედრო, საფინანსო და სხვა სფეროებში. ხელისუფლებამ საქართველოში ზოგიერთი რეფორმის გატარებისგან თავი შეიკავა, რადგან არ სურდა, ხელი შეეწყო საზოგადოებრივი მოძრაობის გააქტიურებისთვის. საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას საეროებო რეფორმას ანიჭებდნენ (ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ნიკო ნიკოლაძის აქტიურობა). ერობის ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა გუბერნიების მასშტაბით წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებას შექმნას სამეურნეო საქმიანობისთვის. თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ ეს რეფორმა საზოგადოებაში სამოქალაქო პასუხისმგებლობას და სახელმწიფოებრივ აზროვნებას

განავითარებდა. იმპერიის ხელმძღვანელობამ ანგარიში არ გაუწია საზოგადოებრივ აზრს და საქართველო ერობის გარეშე დატოვა. მიუხედავად ამისა, საქართველოში გატარებულმა რეფორმებმა ობიექტური მასტიმულირებელი ფაქტორის როლი შეასრულა საზოგადოების კონსოლიდაციისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მიმართულებით.

მოკლედ მომივიხილოთ რეფორმების არსი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, 1865 წლიდან, საქართველოში ჩამოყალიბება დაიწყო სოფლის ადგილობრივი გამგებლობის ორგანოებმა, რომელსაც საზოგადოებრივი მმართველობა ეწოდებოდა. ამ ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა სოფლის სამეურნეო და და ადმინისტრაციული საქმეების წარმოება. გადასახადების აკრეფა, ჯანმრთელობის დაცვაზე, სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ახალ დაწესებულებას მხოლოდ გლეხთა ფენა ექვემდებარებოდა, სოფლის მცხოვრებთა სხვა ნაწილზე მისი ხელმძღვანელობა არ ვრცელდებოდა. საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანო სოფლის ყრილობა იყო. მართლმსაჯულების საწარმოებლად არჩევნების გზით საგლეხო სასამართლოები ყალიბდებოდა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, ახალ სისტემას დადებითი შედეგები მოყვა, ბევრგან გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, აფთიაქი, გაიყვანეს გზები. რეფორმამ ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ აქტიურობას (ჯანელიძე 2009: 37).

საყურადღებო მოვლენა იყო 1864 წელს გატარებული სასამართლო რეფორმა, რომლითაც მართლმსაჯულების ორგანოებს გარკვეული დამოუკიდებლობა მიეცათ. წოდებრივი სასამართლო გაუქმდა და ჩამოყალიბდა ყველა ფენისთვის საერთო სასამართლო დაწესებულება, შემოიღეს მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც არჩევითი იყო. სასამართლო რეფორმა საქართველოში შეკვეცილი სახით გატარდა 1868 წელს, აქ არ შემოუღიათ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპი, თუმცა სასამართლო რეფორმა მაინც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. მის მნიშვნელობას თერგდალეულებიც აცნობიერებდნენ, რისი მანიშნებელია ილია ჭავჭავაძის მუშაობა, დუშეთში, მომრიგებელ მოსამართლედ.

მნიშვნელოვანი იყო საქალაქო მმართველობის რეფორმა. 1865 წლის ამქართა აჯანყების შემდეგ, ხელისუფლებამ შეცვალა თბილისის მართვა-გამგეობის წესი. მოსახლეობის შეძლებულ ფენას ასი კაცისგან შემდგარი საქალაქო კრების არჩევის უფლება მიეცა, ქალაქის თავის წინამძღოლობით. 1870 წელს ხელი მოეწერა საქალაქო მმართველობის ახალ დებულებას, რომლის მიხედვით იმპერიის დიდ და საშუალო ქალაქებს თვითმმართველობა მიენიჭათ. საქალაქო მმართველობის ორგანოს სათათბირო წარმოადგენდა. არჩევნებში მონაწილეობა გადასახადის გადამხდელ ქალაქის ყველა მცხოვრებს შეეძლო. გაუქმდა წოდებრივი საარჩევნო სისტემა და ძალაში მხოლოდ ქონებრივი ცენზი დარჩა. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება საქართველოში 1874 წლიდან დაიწყო და პირველად თბილისში გატარდა. თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობაზე ზრუნვა, სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა და ა.შ.

1875-1876 წლებში საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები აირჩიეს ქუთაისში, გორში, ახალციხეში, 1882 წელს – ფოთში, ხოლო 1888 წელს ბათუმში. რეფორმა შეძლული ფორმით გატარდა ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში. საქალაქო თვითმმართველობების ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი, ეროვნული მოძრაობის ლიდერებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების საშუალება მიეცათ, რასაც გონივრულად ახმარდნენ ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სხვა სახის აქტივობებს. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ თბილისში დიმიტრი ყიფიანის, ფოთში კი ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა.

ვფიქრობთ რომ, მიუხედავად სერიოზული ხარვეზებისა და არასრული ხასიათისა, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან

საქართველოში იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო საზოგადოების კონსოლიდაციას, “არაარისტოკრატიული” ფენის აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე პროცესებში და ნაციონალური მოძრაობის გადასვლას თვისებრივად ახალ ეტაპზე, რომელიც, შესაძლებელია, საქართველოში ნაციონალიზმის დასაბამად მივიჩნიოთ.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი, რომელსაც აჭარის საქართველოსთვის შემოერთება მოყვა, მნიშვნელოვანი მოვლენაა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. საქართველოს მოსახლეობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით, ძალდაუტანებლად, საკუთარი ნებით მონაწილეობდა ამ ომში. თერგდალეულები (ნიკო ნიკოლაძე და სხვები) აქტიურად მოუწოდებდნენ საზოგადოებას ომში მონაწილეობისკენ. საზოგადოების განწყობაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: ქუთაისის გუბერნიაში ომში წამსვლელთა რიცხვი ორჯერ მეტი აღმოჩნდა გასაწვევ კონტინგენტთან შედარებით. გლახთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოხალისედ ეწერებოდა სიაში. საქართველოში მილიციონერთა ორმოცამდე ცხენოსანი და სამოცამდე ქვეითი ასეული ჩამოყალიბდა. ფრონტისპირა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ყველანაირ დახმარებას უწევდა არმიას მომარაგების კუთხით. ამ ომთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ცნობა, რომელსაც ნიკო ბერძენიშვილი გვაწვდის: “მოვიტან ორი ლოდის წარწერის შინაარსს (შემოქმედიდან და მაწევნიდან). თითოეული შეიცავს ცნობას ვაჟკაც-მეომრის დაღუპვის შესახებ თურქებთან ომში. ჭავჭავაძე დაღუპულია 1853 წელს გურიის ფრონტზე, საგინაშვილი კი დაღუპულია იმავე გურიის ფრონტზე, მაგრამ უფრო გვიან – 1877 წელს. პირველი გლოვობს თავის უცხოეთში დამარხულობას, მეორე ეპიტაფიაში კი ხაზგასმულია მეომრის დაღუპვა სამშობლოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში... და როგორ ნიშანდობლივ ეხმაურება ამ წარწერათა შინაარსი იმ ტეხილს, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში რომ ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ამ მონაკვეთში” (ბერძენიშვილი 360: 1964). ბერძენიშვილის ცნობით, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის

ომში დაღუპული კახელი ჯარისკაცის საფლავზე ეწერა, რომ იგი დაიღუპა ბრძოლაში უცხო მიწაზე, ხოლო 1877-1878 წლების ომში დაღუპული კახელი მეზრძოლის საფლავი კი გვამცნობს, რომ იგი სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა. ეს მცირე მოგონება, ვფიქრობთ, ნათლად გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქართული საზოგადოების ნაციონალური თვითშეგნების ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, თუნდაც, ამავე საუკუნის პირველ ნახევარში არსებულ ვითარებასთან შედარებით, რაც, დიდწილად, 60-იან წლებში დაწყებული მოძრაობის დამსახურებად მიგვაჩნია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. 1852 წელს განხორციალდა სოხუმი-ზუგდიდის გზის, ასევე თბილისიდან კახეთში მიმავალი ძველი სატრანსპორტო გზის რეაბილიტაცია. გაიყვანეს გზები, რომლებიც საგუბერნიო ცენტრებს სამაზრო ქალაქებთან და დაბა-სოფლებთან აკავშირებდა. ქვეყნის ცალკეული კუთხეების შეკავშირებას, სამეურნეო აღმავლობას, მრეწველობის მთელი რიგი დარგების აღმოცენებას დიდად შეუწყო ხელი სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობამ. რკინიგზის გაყვანაზე ზრუნვა 60-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო. 1872 წელს ფოთის პორტი სარკინიგზო მაგისტრალით თბილისს დაუკავშირდა. მალე გაიხსნა რკინიგზის ხაზები ქუთაისის, ტყიბულის. ბორჯომისა და სხვა მიმართულებებით. 1883 წლისთვის დასრულდა ბაქო-თბილისის და სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობა, რითაც რკინიგზის ხაზმა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორია მოიცვა. 1886-1890 წლებში გაიჭრა სურამის ოთხკილომეტრიანი გვირაბი ლიხის ქედზე, რომელმაც კიდევ უფრო გააადვილა სარკინიგზო მიმოსვლა. რკინიგზის მნიშვნელობაზე ცნობილი “თერგდალეული” სერგი მესხიც საუბრობდა. მისი აზრით, რკინიგზა მოშლიდა ჩაკეტილობებს და გაუგებრობებს თანამემამულეებს შორის, გააძლიერებდა ერთიანობის გრძნობას და გააღრმავებდა კავშირებს.

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარების კუთხით,

მნიშვნელოვანი იყო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. ტყიბულის ქვანახშირისა საბადოებისა და ჭიათურის მანგანუმის მოპოვების ამუშავება ნიკო ნიკოლაძისა და აკაკი წერეთლის სახელებს უკავშირდება. ნავთლულში, ელდარისა და შირაქის ველებზე ასევე მოიპოვებდნენ ნავთობს. უნდა აღინიშნოს კავშირგაბმულობის სისტემის გაუმჯობესება. თბილისი ტელეგრაფით დაუკავშირდა იმპერიის ცენტრს. 60-70-იან წლებში სატელეფონი კავშირი გაიბა თბილისს, ქუთაისს, ფოთს, თელავსა და სხვა სამაზრო ქალაქებს შორის. გაფართოვდა საფოსტო კავშირების ქსელიც, თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში ფოსტა კვირაში ერთხელ მოდიოდა, პეტერბურგიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია 25, ხოლო ევროპის დედაქალაქებიდან 50-55 დღეში აღწევდა, შემდგომ პერიოდში ეს დრო მნიშვნელოვნად შემცირდა. 1893 წელს მუშაობა დაიწყო ტელეფონმა, საუკუნის ბოლოსთვის კი თბილისს აბონენტთა რაოდენობის მიხედვით რუსეთის იმპერიაში მეხუთე ადგილი ეკავა პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის შემდეგ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით ირღვევა წოდებათა შორის ზღვარი, განმსაზღვრელი ხდება ქონებრივი ცენზი და საქმიანობის ხასიათი. იკვეთება კაპიტალიზმის ელემენტები, რაც, მოდერნისტული თეორიის მიხედვით, ნაციონალიზმის ფორმირების ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია. გაჩნდნენ, ერთი მხრივ, საწარმოო საშუალებათა მფლობელები. ე.წ. ბურჟუაზია, ხოლო, მეორეს მხრივ, ნებით დაქირავებული მუშები (ამ კატეგორიას, ძირითადად, სოფლიდან სარჩოს მოსაპოვებლად ქალაქში ჩასული გლეხები შეადგენდნენ). ჩამოყალიბდა საშუალო მეწარმეთა ფენა.

80-იანი წლებიდან იმპერიაში მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1881 წლის მარტში იმპერატორი ალექსანდრე II მოკლეს, რასაც ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური რეაქცია და პოლიციური რეჟიმის გაბატონება მოყვა. მოკლული მეფის შვილმა, ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ იმპერიაში მიმდინარე გარდაქმნების პროცესი “საბედისწერო შეცდომად” გამოაცხადა და გეზი თვითმპყრობელობის განმტკიცებისკენ აიღო.

შეიკვეცა პოლონეთის და ფინეთის გარკვეული სუვერენული უფლებები, ხმარებიდან ამოიღეს ცნებები უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, 1882 წელს გააუქმეს კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომია, მეფისნაცვლის თანამდებობის ნაცვლად, აღადგინეს მთავარმართებლობის ინსტიტუტი. მხარის მმართველობის სისტემა ძირეულად შეიცვალა, გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს. ასევე გამკაცრდა ცენზურა. ცარიზმი იმპერიის სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა. განსაკუთრებული სამიზნე ქართული ენა გახდა, სახალხო სკოლებში ქართულ ენაზე არა თუ სწავლა, ლაპარაკიც კი აიკრძალა და მის ნაცვლად რუსული ენა შემოიღეს. საქართველოს ნაციონალური მთლიანობის საზიანოდ, სამეგრელოში მეგრულკვანეთში სვანურ და აჭარაში თურქულ ენებზე სწავლების დანერგვა გადაწყვიტეს. პეტერბურგიდან სპეციალურად მოავლინეს პროფესორი გრენი, რომელსაც რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული ენის ანბანის შექმნა დაევალა. ასევე გადაწყვიტეს რელიგიური ლიტერატურის მეგრულად თარგმნა და ღვთისმსახურების ამ ენაზე გადაყვანა. ხელისუფლების წამოწყებებს ადგილობრივი ელიტის და საზოგადოების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. რუსულის ბაზაზე შექმნილი მეგრული და სვანური ანბანი და ამ ენებზე გამოცემული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ ეწვია სამეგრელოს, სადაც წარმოთქვა ცნობილი სიტყვები “სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე”-ო.

ცარიზმის პოლიტიკას მკვეთრად უპირისპირდებოდა ქართული პერიოდული პრესა, რასაც საპასუხო რეაქცია მოყვა კავკასიის ადმინისტრაციის მხრიდან. აიკრძალა რუსულენოვანი გაზეთის “ოზზორის” გამოცემა, მისი რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე კი საქართველოდან გადაასახლეს. ასევე დაიხურა ჟურნალი “იმედი”, გაზეთი “დროება” და სხვა.

იმპერიის რეაქციული პოლიტიკის და შეზღუდვების შედეგად, ნაციონალიზმის გამოვლინების არეალი საქართველოში

მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ამის გამო იგი, ზოგჯერ, სიმბოლურ აქტებში გამოიხატებოდა. ასეთი სიმბოლური გამოხატვის ადგილად უნდა მივიჩნიოთ ქართული თეატრი, სადაც უდიდესი წარმატებით იდგმებოდა პატრიოტულ თემაზე შექმნილი სპექტაკლები (“სამშობლო”, აკაკი წერეთლის “პატარა კახი” და სხვა.) უნდა გავიხსენოთ ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟის, ერეკლე ბაგრატიონის გარდაცვალება 1882 წელს, თბილისში. მის დაკრძალვაზე მცხეთაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ხოლო დაკრძალვის წინ ცხედრის საიდუმლო მეფედკურთხევაც კი გამართეს. გარდა ამისა, ნაციონალიზმის გამოვლინების სიმბოლურ აქტებად უნდა განვიხილოთ კრწანისის ბრძოლისა და ერეკლე II-ის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი ღონისძიებები.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მარქსისტული მოძღვრება, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია იწყებს გავრცელებას. ამ მიმართულების პირველი ჯგუფი საქართველოში, რომელშიც ცნობილი სოციალ-დემოკრატები ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვები შედიოდნენ, მწერალ ეგნატე ნინოშვილის გარშემო გაერთიანდა. ამ ჯგუფს “მესამე დასი” ეწოდა. 1892-1893 წლებში საქართველოში ოფიციალურად დაფუძნდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. ქართველი სოციალ-დემოკრატები საკუთარი იდეების პროპაგანდისთვის გაზეთ „კვალს“ იყენებდნენ, 1898 წლიდან კი ეს გაზეთი მთლიანად მარქსიზმის მიმდევართა საკუთრება გახდა. მესამე დასელები მკვეთრად დაუპირისპირდნენ თერგდალეულთა მსოფლმხედველობას, დაგმეს წოდებათა შერიგების იდეოლოგია და ერის განვითარების უმთავრეს საშუალებად კლასთა შორის ბრძოლა გამოაცხადეს. თავად ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძეს “ზნელეთის მოციქულს” უწოდებდა და აჟღერებდა მოწოდებებს იმ მიმართულების განადგურების შესახებ, რომელსაც ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. არანაკლებ კრიტიკული იყო ფილიპე მახარაძის პუბლიკაციები.

სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ ქართული საზოგადოების

მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმხრო, განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა წრეებიდან. მიუხედავად ნაციონალური (ეროვნული) საკითხის უგულვებელყოფისა, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მაინც მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს ქართული ნაციონალიზმის დინამიკაში განხილვის დროს, თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ სწორედ აღნიშნული მოძრაობის ლიდერთა მიერ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს.

არსებობს მოსაზრება და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლო, ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული ფესვების შესახებ. სტივენ ჯონსი მიიჩნევს, რომ თერგდალეულებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ქართული სოციალ-დემოკრატიის მიმართულების განსაზღვრაში და, მიუხედავად ინტერნაციონალიზმის ქადაგებისა, იგი მკაფიოდ გამოკვეთილ ნაციონალურ საფუძვლებს ემყარება. ქართველი სოციალ-დემოკრატები ხალხს პრობლემების მოგვარებას მაინც ეროვნულ საფუძველზე თავაზობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ნაციონალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ავსებდა. საქართველოში სოციალიზმი განსაკუთრებით მომხიბლავი იყო, რადგან იმედს იძლეოდა, რომ წერტილს დაუსვამდა კოლონიალიზმს, უცხოელი მესაკუთრეების მხრიდან ექსპლუატაციას, სოციალურ და კუთხურ დაყოფას (ჯონსი 2007: 44-47).

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობილი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც გიორგი წერეთელს ეკუთვნის, თერგდალეულები ე.წ. “პირველ” და “მეორე” დასებად იყოფიან. წერეთლის ამ ტიპოლოგიზაციას მოწინააღმდეგეები მისივე თანამედროვეებს შორისაც გამოუჩნდნენ და მან შემდგომ პერიოდშიც განიცადა ტრანსფორმაცია. მიუხედავად ამ ჯგუფებს შორის მკაფიო მიჯნის არარსებობისა, მათ შორის მაინც შეიმჩნევა ნიუანსური, თუმცა არაარსებითი განსხვავებები (გლეხებისთვის მიწის გადაცემის ფორმა, “სათავადაზნაურო” თუ “ინდუსტრიული” ბანკების დაარსება და ა.შ.), ორივე აღნიშნული მიმართულება, ისევე როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტები,

საინტერესოდ ვლინდება ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის მიხედვით. “პირველ” და “მეორე” დასებს, მათი წარმომადგენლების შეხედულებებს თუ საქმიანობას ნაციონალიზმის ფორმირების კონტექსტში ერთ მთლიანობაში განვიხილავთ. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებას, მისი კვლევა, მოცემულ ეტაპზე, მნიშვნელოვნად სცილდება ჩვენს მიზანს, ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

თავი III

ნაციონალიზმის წინაპირობები ქართულ რომანტიზმში

XIX საუკუნის პირველი ნახევარი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ევროპის ისტორიაში. საფრანგეთის რევოლუციამ დამისგან წამოსულმა იმპულსებმა დიდი ძვრები, პრემოდერნული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი სოციალური და მორალური ნორმების რღვევა გამოიწვია. ცნობილი მკვლევრის მიროსლავ ჰროშის მოსაზრების მიხედვით, ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულმა ომმა გამოიწვია რუსეთის იმპერიის სრულად ჩართვა ევროპულ კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებში (Hroch 2006: 6). შესაბამისად, რომანოვთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოც ამ პროცესების ნაწილი გახდა. ევროპაში განვითარებული კულტურული თუ პოლიტიკური მოვლენები ქართულ რეალობაში თავისებურად ვლინდებოდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა საზოგადოებრივ ყოფას.

წარმოდგენილ თავში ყურადღებას ევროპულ რომანტიზმზე და მის ქართულ გამოძახილზე გავამახვილებთ, რომელიც “ქართული რომანტიზმის” სახელით არის ცნობილი. ჩვენთვის საყურადღებოა ქართული რომანტიზმი, როგორც XIX საუკუნის 60-იან წლებში ნაციონალიზმის ფორმირების კულტურული საფუძველი საქართველოში. ჩვენი ინტერესის სფეროს, უმთავრესად, თერგდალეულთა ეპოქაში დაწყებული მოძრაობის ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან გააზრება წარმოადგენს. მოცემული საკითხის განხილვა ამ მიზმისკენ მიმავალი ერთ-ერთი ნაბიჯია და ეროვნული მოძრაობის კულტურული თუ იდეოლოგიური საფუძვლების დადგენას ემსახურება.

არ არსებობს რომანტიზმის ფართოდ აღიარებული, ყველასათვის მისაღები განსაზღვრება. ზოგისთვის იგი მხოლოდ ლიტერატურული მოვლენაა, ზოგისთვის - ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულება. ჩვენთვის ყველაზე მისაღებია მიროსლავ ჰროშის მიერ შემოთავაზებული ზოგადი დეფინიცია, რომლის მიხედვით,

რომანტიზმი არის ღირებულებათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრებისადმი და გარესამყაროსადმი დამოკიდებულებას (Hroch 2006: 7). ქართული რომანტიზმი უმთავრესად ლიტერატურაში, პოეტურ ქმნილებებში აისახა და იგი, თავისი არსით, ყოფისადმი და გარესამყაროსადმი დამოკიდებულებას გამოხატავდა. აქედან გამომდინარე, კვლევის ემპირიულ საყრდენს, ძირითადად, ლიტერატურული ნიმუშები წარმოადგენს.

ბუნებრივია, ჩვენი ინტერესის საგანი არ არის ქართული რომანტიზმი როგორც ლიტერატურული მოვლენა, მისი ფილოლოგიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტები. ეს მოვლენა ნაციონალური ცნობიერების, ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების კუთხით გვინტერესებს. ვფიქრობთ, რომ ქართულ სინამდვილეში რომანტიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების კვლევამ საყურადღებო დასკვნებამდე უნდა მიგვიყვანოს, განსაკუთრებით, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში დაწყებული ეროვნული მოძრაობის იდეური წინაპირობების დადგენის მიმართულებით. ნაშრომის ერთი კონკრეტული თავის ფარგლებში, რასაკვირველია, შეუძლებელია რომანტიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების სრულყოფილი ანალიზი, ამიტომ მიმოვიხილავ ცალკეულ ასპექტებს და, გარკვეულწილად, საკითხის დასმით შემოვიფარგლები.

ევროპული რომანტიზმის ფორმირება სოციალური და კულტურული ნორმების გაქრობას, ანუ, თანამედრო ტერმინოლოგიით რომ ვიმსჯელოთ, იდენტობის კრიზისს უკავშირდება. ჰრომის შეხედულებით, რომანტიზმი “ცხოვრების ახალი გზის”, ახალი ჯგუფური იდენტობის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებდა საზოგადოებას, რომლის მიხედვით, უმაღლესი ფასეულობა და სოციალური დაცვის ყველაზე მყარი მექანიზმი საკუთარი ერისადმი, საკუთარი ნაციონალური ერთობისადმი კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

საქართველოში კერძოდ, ქართულ ლიტერატურაში რომანტიკული მიმართულების ჩამოყალიბებას დროში მცირედით უსწრებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ამავე კონტექსტში უნდა ვახსენოთ 1832 წლის შეთქმულება და მისი მარცხით გამოწვეული მძიმე შედეგები (ამ შეთქმულებაზე ქვემოთ კიდევ გავამახვილებთ ყურადღებას). შესაბამისად, ქართული რომანტიზმის იდენტობის კრიზისთან დაკავშირება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ამერიკელი მეცნიერი რონალდ გრიგორ სუნი რომანტიკოსებს ქართული “ნაციონალური ინტელიგენციის” პირველ წარმომადგენლებს უწოდებს, რომელთა ეროვნული მისწრაფებები 1832 წლის შეთქმულების მარცხმა დაასამარა. ამ მოვლენის შემდეგ ისინი ბედს ურიგდებიან და იმპერიის სამსახურში გადადიან (Suny 1988. 124). ქართველი რომანტიკოსების მიერ შექმნილ ნაწარმოებებს ნათლად ახასიათებთ აწმყოსადმი უიმედო დამოკიდებულება, დაუცველობის შეგრძნება და ამ კრიზისიდან გამოსავლის ძიების სურვილი. ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში გამოხატული ტენდენციები, წარსულისადმი, აწმყოსადმი და მომავლისადმი დამოკიდებულება გამოკვლეულია ლიტერატურათმცოდნეების მიერ. ჩვენი ერთ-ერთი მიზანი უკვე დადგენილი ფაქტების, გამოთქმული მოსაზრებების თუ ჩამოყალიბებული დასკვნების ნაციონალიზმის ფორმირებასთან მიმართებაში გააზრებაა.

მიროსლავ ჰროში ნაციონალიზმის და რომანტიზმის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საყურადღებო თეორიულ მოსაზრებებს აყალიბებს სტატიაში “ნაციონალური რომანტიზმი” (National Romanticism). საინტერესოა ქართული რომანტიზმის გაანალიზება ამ თეორიული ჩარჩოს საფუძველზე.

ზოგადად, რომანტიზმს მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათი აქვს და იგი კონკრეტული ნაციონალური ერთობის ფარგლებში თავისებურად ვლინდება, თუმცა არსებობს ზოგადი მახასიათებლები, რომელთა კვლევაც ნამდვილად გვაძლევს ემპირიული მასალის კონტექსტუალიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოში ნაციონალიზმის და რომანტიზმის ურთიერთმიმართების პრობლემას, ძირითადად, ქართული რომანტიზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის ნოკოლოზ

ბარათაშვილის შემოქმედების და ილია ჭავჭავაძესთან მისი იდეური კავშირის საფუძველზე წარმოვადგენთ. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია რომანტიკული მიმართულების გვირგვინად განიხილება ლიტერატურათმცოდნეების მიერ. თავის მხრივ, ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ეროვნული მოძრაობის ფუძემდებელი და სულისჩამდგმელია. ბევრი ნიშანი არსებობს იმისა, რომ ნაციისა და ნაციონალიზმის ფორმირების საფუძველები საქართველოში, ამ ცნებების კლასიკური გაგებით, ამ პერიოდში უნდა ვეძებოთ.

ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი გურამ ასათიანი მიიჩნევს, რომ 1832 წლის შეთქმულების დამარცხება იყო XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მიჯნა. მას მოყვა ადამიანთა ცნობიერების, წარმოდგენების, განწყობილებების უღრმესი გარდატეხა. “ეს იყო ნამდვილი უღელტეხილი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მისი საბედისწერო მიზანი ათეული წლების მანძილზე წარუხოცელ დაღად გაჰყვა ეროვნულ თვითშეგნებას, ხოლო ისეთი სულიერი წყობის ადამიანს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, დამარცხების სიმწარემ მარტოდენ სევდიანი განცდები როდი მოუტანა.

ახალგაზრდა, თითქმის ყრმა, მაგრამ შინაგანად სავსებით მომწიფებული პოეტის თვალში ეს იყო არა მხოლოდ მორიგი წარუმატებელი ცდა საქართველოს ბედის შემობრუნებისა, არამედ უფრო ღრმა, პრინციპული მნიშვნელობის მარცხიც.

1832 წელს სასტიკად დამარცხდა თვით მასულდგმულებელი იდეა ეროვნული მოძრაობისა, შეიმუსრა ის, რაც თაობათა გონებრივი ძიების და ღვწის, მათი საუკუნოვანი უწყვეტი ფიქრის მთავარ საგანს შეადგენდა. გონების სამსჯავრო, მისი ფხიზელი სამართლიანი განაჩენი ერთი ხელის მოსმით გაუქმებულ იქნა სინამდვილის სასტიკი მსჯავრით. აზრის სინათლე, ფხიზელი განსჯის მაღალი ნიჭი, შორსმჭვრეტელობა, განათლებულ ადამიანთა საბრძოლოდ გაწვრთნილი ნებისყოფა, დაუნდობლად გათელა უცხო მანქანის

ბორბლებით ამოქმედებულმა ძალმომრეობამ.

ასეთი იყო ისტორიის უგონო აქტი

1832 წელს, როგორც განკითხვის დღეს, საბოლოოდ განადგურდა განათლებულ მამულიშვილთა მოწინავე იდეებით ნაკვები რწმენა, ხანგრძლივი ძიების შედეგად შემუშავებული რაციონალისტური იდეალების, წარმოდგენების პრაქტიკული შეხედულებების მთელი სისტემა. საკვირველი არ არის, რომ გონების ამ საბედისწერო კრახმა გამოიწვია ღრმა დაეჭვება არა მხოლოდ მისი ისტორიულად განსაზღვრული შინაარსის ობიექტურ შესაძლებლობებში, არამედ, საერთოდ, არსებული რეალობის, მთელი სამყაროს მამოძრავებელი, უნივერსალური წესის გონიერებაში...” (ასათიანი 1982: 162-163).

ასეთი იყო განწყობილება, ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელზეც XIX საუკუნის ქართული რომანტიზმი და მისი ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება წარმოიშვა.

ნათელია, რომ ქართული რომანტიზმის, ისევე როგორც ევროპულის, გამომწვევი მიზეზი საზოგადოებრივი, სოციალური კრიზისია. ზემოთქმულიდან ასევე აშკარაა ამ კრიზისის ძირითადი ასპექტები, თუმცა, თუ ისევ გურამ ასათიანს დავესესხებით, 1832 წლის შემდეგ ქართველი ხალხის საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში დაიწყო ახალი მრწამსის, ახალ იდეურ ღირებულებათა ძიებისა და დადგენი უმძიმესი პერიოდი, რომელმაც 60-იან წლებამდე გასტანა. ეს იყო თავისებური გარდამავალი ეპოქა, ეჭვის, პესიმიზმის, უდროობის მტკივნეული განცდის, მძაფრი უკმაყოფილებისა და უსასოო ამბოხის დრო, მაგრამ სასოწარკვეთის ამ საერთო ატმოსფეროში, ქართული რომანტიზმის წიაღში იწრთობოდა ახალი იარაღი – არსებული სინამდვილის ძირფესვიანი გარდაქმნის იდეა, შეურიგებელი პროტესტანტული სულისკვეთება, იკვეთებოდა მოქმედების ახალი გეზი – უკომპრომისო მაქსიმალიზმი რომელსაც ღრმა ზემოქმედება უნდა მოეხდინა მომავალ თაობათა შეგნებაზე (ასათიანი 1982: 163-164)

ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიმართულებით კვლევა მიგვიყვანს

ნაციონალიზმის იდეურ წინაპირობებთან საქართველოში.

საინტერესოა იმის გარკვევა, თუ რა არის ნაციონალური ქართულ რომანტიზმში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დასტურდება ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საბაზისო წინაპირობა და, ჰრომის მიხედვით, ევროპული რომანტიკული მიმართულების უმთავრესი თეზა – ნაციონალურის პრიმატი რელიგიურზე. პოემაში “ზედი ქართლისა” ყურადღებას იქცევს მეფე ერეკლეს და მის მრჩეველს, სოლომონს შორის გამართული საუბარი და სოლომონის მიერ წარმოთქმული ცნობილი სიტყვები. ამ სიტყვები სხვადასხვა კონტექსტში იაზრებენ: საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების, პოლიტიკური ორიენტაციის და ა.შ. შევეცადოთ საკითხის დანახვას ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან.

“იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს”
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა

(ქართული მწერლობა 1992: 602).

თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, “ერის თვისება” შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ნაციონალური თავისებურება. აშკარაა, რომ ავტორი ერის უმთავრეს მახასიათებლად ნაციონალურ თავისებურებას მიიჩნევს და არა რელიგიურ მრწამსს. სოლომონის აზრით, ქვეყნის მომავლის განსაზღვრა საზოგადოების ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ილიას და ბარათაშვილის იდეურ კავშირთან მიმართებაში, საინტერესოა მათი შემოქმედების ცალკეული ასპექტების მიმოხილვა. ზოგადად ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც პოეტი, ჭავჭავაძემ აღმოაჩინა და ფართო საზოგადოებას გააცნო, თავისთავად მრავლისმეტყველია. ამ ორი შემოქმედის პოეტურ ქმნილებებს შორის საყურადღებო პარალელები ივლება ნაციონალიზმის კვლევის მიმართულებითაც.

XIX საუკუნის ევროპული ნაციონალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი იყო მოწოდება პიროვნებებისადმი - საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება საერო სამსახურში, საზოგადოებრივ ასპარეზზე მოეხდინათ. საკუთარი ნაციონალური ერთობა, მისადმი კუთვნილება და მის სამსახურში ყოფნა ადამიანის უმთავრესი ღირებულება უნდა ყოფილიყო. ამ კუთხით, საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი “ფიქრნი მტკვრის პირზედ”, კერძოდ მისი ბოლო სტროფი:

“მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!”

(ქართული მწერლობა 1992: 570).

ილია ჭავჭავაძე, ცნობილ პოემაში “განდეგილი”, მკითხველს საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურობისაკენ და საერო ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდებს. იგი გმობს განდეგილობას და ნათლად გვიჩვენებს მის უარყოფით მხარეებს.

რომანტიზმის ნაციონალური ხასიათზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით უკეთესი მომავლისკენ სწრაფვის იდეას რომელიც ევროპული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწოდება გახლდათ. უპრიანია ისევე გავიხსენოთ გურამ ასათიანის შეხედულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასთან და მის ცნობილ ლექს “მერანთან” დაკავშირებით:

“ბარათაშვილის ეპოქაში ფხიზელ აზრს მხოლოდ ურწმუნოებისა და ნიჰილიზმის მოტანა შეეძლო. გონების თვალი აწმყოში ყოველის მხრივ უსასოობის შავბედით ნიშნებს არჩევდა. ამის გამო პოეტმა თავის მერანს უპირველეს ყოვლისა “შავად მღელვარე ფიქრის” გაფანტვა უბრძანა და მთელი არსებით მომავლის თავდავიწყებულ რწმენას მიენდო. რომანტიკულმა მსოფლგაგებამ, რომელიც თავისი წმინდა, სრულქმნილი სახით “მერანის” ავტორის შემოქმედებაში გამოიხატა, მარადიული ბრძოლისა და განახლების საწინდარი – სამყაროს მამოძრავებელი ძალა – ადამიანის თანდაყოლილ, შეუპოვარ ვნებაში, ბედთან ჭიდილის დაუოკებელ წყურვილში, განწირულის სულისკვეთებაში დაინახა” (ასათიანი 1982: 164)

ამავე კონტექსტში უნდა გავიხსენოთ ფრაზა ილიას ცნობილი ლექსიდან “ქართველის დედას”: “მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს” (ჭავჭავაძე 1959: 7). იდეური კავშირი ამ ორი ლექსის (“მერანი” და “ქართველის დედას”) ავტორებს შორის ეჭვს არ იწვევს.

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ვარაუდი, რომ ქართული რომანტიზმი და, განსაკუთრებით, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება მნიშვნელოვან იდეურ წყაროს წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძისთვის და, ზოგადად, XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ნაციონალური მოძრაობისთვის. მიუხედავად მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც მკვეთრად განასხვავებს სამოციანელთა თაობას წინამორბედთაგან, ქართული რომანტიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების კვლევამ, შესაძლებელია, საყურადღებო დასკვნამდე მიგვიყვანოს, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების დადგენის კუთხით. სამოციანელთა მოძრაობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, მას მრავალფეროვანი კულტურული საფუძველი გააჩნდა და მასში ქართული რომანტიზმი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

თავი IV “თერგდალეულები” და ქართული ნაციონალური პროექტი

ისტორიულ კვლევებში ხშირია ისეთი ცნებების თუ მოვლენების აღრევა, როგორც არის ნაციონალიზმი და ეროვნული მოძრაობა. ბევრი მკვლევარი ნაციონალიზმს იმპერიის წინააღმდეგ კოლონიზებული ხალხის საპროტესტო გამოსვლებს უწოდებს და, როგორც ცნობილი ისტორიკოსი რონალდ გრიგორ სიუნი (Sunny) მიიჩნევს, ნაკლებად ცდილობს ამ ფენომენის საფუძვლიან ანალიზს (Sunny 1998: 113). უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული მოძრაობა, იმ გაგებით, რომლითაც ის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიყენება, ნაციონალიზმის მნიშვნელოვან, თუმცა, მაინც, ერთ-ერთ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ. ნაციონალიზმის წარმოქმნას გარკვეული წინაპირობები სჭირდება, რომლებიც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, XIX საუკუნის 60-იანი წლებში ყალიბდება, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე “თერგდალეულებად” წოდებული თაობა გამოდის. სიუნის სიტყვით, ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბება.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ ლიბერალური რეფორმების გატარება და “თერგდალეულთა” თაობის ასპარეზზე გამოსვლა დროში თანხვედება ერთმანეთს. რეფორმებმა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, წარმოქმნა ობიექტური წინაპირობები ნაციონალიზმის ჩამოსაყალიბებლად. ამას დაემატა ზოგადად იმპერიულ სივრცეში (თუ სივრცეებში) მიმდინარე პროცესები და “თერგდალეულთა” მიერ შემოთავაზებული, საზოგადოების განვითარების სრულიად ახლებური კონცეფცია, რომლის მიხედვით, ნაციონალური იდენტობა უნდა გამხდარიყო ლოიალობის უმთავრესი სუბიექტი რელიგიურ, რეგიონულ თუ სხვა სახის იდენტობებთან შედარებით. მოდერნული, სეკულარული ქართული ნაციონალური ცნობიერება მრავალფეროვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დინებების პროდუქტია. ნაციონალიზმის ფორმირება უფრო მეტია,

ვიდრე დანაწევრებული პოლიტიკური ორგანიზმის ხელახალი შეკავშირება, რასაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსული იმპერიული მმართველობის დროს მიაღწია საქართველომ. პროცესის დასაწყებად აუცილებელია ლიდერების მხრიდან მიზანმიმართული ინტელექტუალური მუშაობა, პოლიტიკური აქტივობა, საზოგადოების მობილიზაცია. მოძრაობის პირველი ეტაპი კულტურული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაა, ხოლო შემდგომში წინა პლანზე სახელმწიფოებრიობის საფუძვლებისა და პოლიტიკური ავტონომიის შექმნისკენ სწრაფვა იწევს. XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ნაციონალიზმის სახეობები არა ბუნებრივი მოცემულობა, არამედ გააზრებული ქმედების, ნაციონალური პროექტების რეალიზების შედეგია.

ეროვნულობის გადარჩენისა და კულტურის აღორძინებისთვის ზრუნვა თერგდალეულთა ფილოსოფიის ქვაკუთხედი გახლდათ. ეს ყველგან იგრძნობოდა და ნათლად ჩანდა. მათმა პრაქტიკულმა მუშაობამ, უშუალო მონაწილეობამ განათლების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში საფუძველი ჩაუყარა ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთიანობას. მიუხედავად განსხვავებული აქცენტებისა, ყველა თერგდალეული მოითხოვდა ეროვნულ თანხმობას და რეალურად მუშაობდა იმისთვის, რომ ქართველ ხალხში სამოქალაქო და ნაციონალური თვითშეგნება გაეღრმავებინა (ჯონსი 2007: 58-59)

მოროსლავ ჰროშის მოდელის მიხედვით, ნაციონალიზმი, ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგ ეტაპებს გადის: პირველი (A), ეს არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე (B) – “პატრიოტების” ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და მესამე (C) – საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია. ემპირიული მასალის განხილვისას გამოჩნდება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული მოძრაობა, შესაძლოა, გარკვეული

თავისებურებებით, მაგრამ მაინც მკაფიოდ თავსდება წარმოდგენილ მოდელში. “თერგდალეულების” ნაციონალური პროექტი სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური პროექტის მიმართულებები, უმთავრესად, ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა. 1881 წლის “შინაურ მიმოხილვაში”, რომელიც “ივერიაში” გამოქვეყნდა, წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, საზოგადოებრივი მოძრაობის ძირითადი პრიორიტეტები:

“დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან” (ბაქრაძე 2006: 37). ანუ ნაციონალური თვითგამორკვევა და უსაფრთხოების (შემლებისდაგვარად) უზრუნველყოფა. ილიას აზრით, ნებისმიერი სახის საქმიანობა ამ მიზნის მიღწევისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, იქნებოდა ეს ბანკის შექმნა, თეატრის თუ სკოლის დაარსება.

საზოგადოების განათლებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით - ახალგაზრდა თაობისა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მათი ორიენტირი ამ საქმეში ევროპა უნდა ყოფილიყო – ახალმა თაობამ ძირეულად უნდა შეისწავლოს “ევროპული მეცნიერება, წინ გამძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს” (ბაქრაძე 2006: 38).

მნიშვნელოვანია ლიტერატურის დანიშნულების ცვლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის სახელებს უკავშირდება. მათ პირველებმა დაამკვიდრეს რომანტიზმისაგან განსხვავებული, ნაკლებად რიტორიკული კრიტიკული რეალიზმი. ლიტერატურის ორიენტირის მკაფიოდ გამოკვეთა და მისი “ერის სამსახურში” ჩაყენება ნაციონალური პროექტის მნიშვნელოვანი ასპექტია.

ქვემოთ გამოვყოფთ საკვლევ პერიოდში ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური პროექტის (შესაბამისად, ქართული ნაციონალიზმის) ძირითად მიმართულებებს და ემპირიულ მასალას ამ კონტექსტში განვიხილავთ.

გადავიდეთ უშუალოდ საკითხის განხილვაზე და, გარკვეულ

ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შევეცადოთ ქართული ნაციონალიზმის ფენომენის ახსნას. კვლევისას გამოყენებულია კომპარატივისტული (შედარებითი) მეთოდი, რაც აუცილებელი წინაპირობაა პრობლემის სრულყოფილად გააზრებისათვის.

ემპირიული მასალის განხილვა მიზნად ისახავს, ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას ორ, ჩვენი აზრით, დღემდე მეტ-ნაკლებად ბუნდოვან საკითხზე. ესენია:

1. ქართული ნაციონალიზმის წყარო, ანუ რა კულტურულ საფუძვლებს ემყარებოდა XIX საუკუნის 60-70-იანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობა.

2. ქართული ნაციონალიზმის (ამ ცნების კლასიკური გაგებით) დასაბამი.

ისტორიულ ჭრილში ნაციონალიზმის კვლევის ტრადიციიდან გამომდინარე, ფაქტობრივი მასალა (პუბლიცისტური წერილები, პოეტური და პროზაული ნიმუშები და ა.შ.) ორიგინალურ ტექსტებთან მაქსიმალური მიახლოებით არის გაანალიზებული. მსგავსი მიდგომა დასავლურ სამეცნიერო წრეებში ფართოდ არის გავრცელებული, რადგან მკითხველს ემპირიული საფუძვლის უკეთ აღქმის შესაძლებლობას აძლევს.

§ 1. ენის ფაქტორი

მოდერნისტული თეორიის მიხედვით, ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნისა და განმტკიცების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ენა მიიჩნევა. კერძოდ, როდესაც ადგილობრივი სალაპარაკო ენა სტანდარტიზებულ, გაზეთებისა და წიგნების ენად იქცევა, ერის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, როდესაც იგი თავს კულტურულ ერთობად აცნობიერებს, ფაქტობრივად, დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მსგავსი პროცესები დასავლეთ ევროპაში რეფორმაციის ეპოქიდან იღებს სათავეს და საბოლოო სახით XIX საუკუნეში წარმოგვიდგება. რეფორმაციის პერიოდში კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს შორის მიმდინარე რელიგიური ომის დროს, პროტესტანტიზმი ყოველთვის იერიშზე გადასვლის პოლიტიკას ატარებდა, რადგან იცოდა, როგორ გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ მშობლიურ ენაზე შესრულებულ გამოცემათა გასაღების მზარდი ბაზარი, რომელსაც საფუძველს კაპიტალისტური სისტემა უყრიდა. საბოლოოდ, აბსოლუტურად შეირყა ლათინური ენის ავტორიტეტი, წინა პლანზე გამოვიდნენ ადგილობრივი ენები, მკვეთრად გამოვლინდა ლინგვისტური ნაციონალიზმი. ევროპამ გადაიდრო “თხელი საბანი”, რომელიც ლათინურის სახით ჰქონდა გადაფარებული მთელი ამ დროის განმავლობაში. ეს ენა მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატისათვის იყო ხელმისაწვდომი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენები აღნიშნულ პროცესებთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს. 1861 წელს პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ “ცისკრის” აპრილის ნომერში გამოქვეყნა წერილი “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვის შეშლილის თარგმანზედა” (ჭავჭავაძე 1981: 5-30), რაც გახდა დასაბამი თაობათა შორის ცნობილი დაპირისპირებისა. სტივენ ჯონსის შეხედულებით, ეს წერილი არ იყო მოწოდება მხოლოდ სალაპარაკო ენისა და მეტი რეალიზმის დამკვიდრებისკენ

ლიტერატურაში, სინამდვილეში ეს იყო თავდასხმა მთელ ქართულ სოციალურ სტრუქტურაზე, სადაც არისტოკრატია გაბატონებულიყო და მოწყვეტოდა უბრალო ხალხს უამრავი პრივილეგიისა და ენის გამოისობით. ილია ჭავჭავაძის წერილი უფრო სახელმწიფოებრიობის კონცეფციას წარმოადგენდა, რომელიც ხალხის უფლებებზე და კულტურის მისაწვდომობაზე უნდა დაფუძნებულიყო (ჯონსი 2007: 53). ილია გმობდა მწერლობას, რომელიც საეკლესიო, მძიმე, ხელოვნურ ენას ემყარებოდა. მისი მეთაურობით განხორციელდა ენის ცნობილი რეფორმა. ილია გახდა ახალი სალიტერატურო ენის შემომტანი და დამწერგავი. ანტონ კათალიკოსის “ანბანთ თეორეტიკაზე” დამყარებული საეკლესიო, მძიმე ენა (ლათინურის მსგავსად ევროპაში), შეიძლება ითქვას, “თხელი საბნის” სახით ქონდა გადაფარებული ქართულ საზოგადოებას, იგი მცირე ელიტარული ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი. ჩვენი აზრით, ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში, ევროპულის მსგავსად, უმნიშვნელოვანესი როლი ლინგვისტურმა მომენტმა ითამაშა. “ენის კანონმდებელი არის არა “ანბანთ თეორეტიკა”, არამედ ხალხი” (ჭავჭავაძე 1981: 47), – ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ნამდვილი ევროპული ნაციონალისტური ლოზუნგია.

მართებული იქნება, აქვე განვიხილოთ ვაჟა-ფშაველას მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, “მწერლობაზე” პრეტენზიის მქონე ყველა ადამიანს აუცილებლად უნდა ესმოდეს საერო ლიტერატურული ენის საჭიროება, აუცლებლად უნდა ზრუნავდეს ენის “გაუკეთესებასა და გაწმენდაზედ”. ავტორი ფიქრობს, რომ ლიტერატურული ენა ახალია და, შესაბამისად, ტერმინოლოგიურად სუსტი. ყველა საჭირო ფორმა და სიტყვა ხალხშია დამარხული და “ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს”. მწერლები და პუბლიცისტები მოვალენი არიან, ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა ან ფორმა ლიტერატურულ ენაში შემოიტანონ და დანერგონ, მთავარია, რომ ის ენის ხასიათს და ბუნებას შეესაბამებოდეს. “თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი ამითი

წახდება” (ვაჟა-ფშაველა 1986: 632-633).

ერნესტ გელნერის მტკიცებით, ნაციონალიზმი წარმოიშობა მაშინ, როცა ზოგადი სოციალური პირობები აყალიბებს სტანდარტიზებულ, ჰომოგენურ კულტურას, რომელიც მოიცავს არა მარტო ელიტარულ უმცირესობას, არამედ მთელ მოსახლეობას (გელნერი 2003: 119). ჰომოგენური კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება ერთიანი სალიტერატურო ენაა. გავიხსენოთ ერთი ფაქტი, რომელიც, მართალია, დროითი თვალსაზრისით ცდება საკვლევი პერიოდის ფარგლებს, მაგრამ საყურადღებოა ენის საკითხთან “თერგდალეულების” და, კონკრეტულად, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების თვალსაზრისით. ცხრაასიანი წლების დასაწყისში, ი. ჭავჭავაძის ინიციატივით, პირველად ითარგმნა ქართულად ყურანი, რომელიც მუსლიმი ქართველებისთვის იყო გამიზნული. ილიამ მოგვიანებით, მაგრამ მაინც განახორციელა ჩანაფიქრი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ქონდა საერთო ნაციონალური კონსოლიდაციისა და ინტეგრაციისთვის. ეს ფაქტი, ასევე, მიუთითებს “თერგდალეულათა” ნაციონალური პროექტის ინკლუზიურობაზე, იგი არ იყო შეზღუდული და რელიგიური ნიშნით დეტერმინირებული.

ენის როლი ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში უდიდესია. თერგდალეულები მართლწერისა და ანბანის “შემსუბუქებასა და გაადვილებას” საზოგადოების კონსოლიდაციის აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ. ისინი ნათლად მიუთითებდნენ დროის მოთხოვნასა და ცვლილებათა აუცილებლობაზე, რაც ქართული ნაციონალიზმის “მოდერნულობის” მკაფიო გამოხატულებაა. ილია თვლიდა, რომ ენა ადამიანის მსგავსად იზრდება, ვითარდება და ამ ზრდაში იცვლება კიდევ. ენობრივი ფორმები დროთა განმავლობაში მოძველებული და დრომოჭმული ხდება, ამიტომ უსაფუძვლოა მათი გამოყენების აუცილებლობის მტკიცება.

“თუ მიბრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო, - ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა

უნდა ისწავლოთ ხელოვნებისთვისაო... ეს ასოები, რომლების ხმაც გამოითქმება სხვა ასოებითაც, ეგ ასოები სულ ტყუილად არიან ჩვენს ანბანში, თუ სულ არა, უფროსთაგანი მაინც; ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, ამნელებენ მართლწერასა და სხვა არაფერს არ შეგვიძინებენ. თუ მართლა ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაიგდონ? შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, რატომ მაგ ასოების ხმარების კანონს არ ვეძებთ ენაში, ვისაც შინიდან ფეხი კარში გამოუდგამს და ანბანთ თეორეტიკის გარდა, სხვა რამეც უკითხავს, იმას, რასაკვირველია გაეგება, რომ ახლა მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისა და მართლწერისაც” (ჭავჭავაძე 1981: 44-45).

1873 წელს პარიზში, ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით, დაიწყო გაზეთ “დროშის” გამოცემა. აკაკი ბაქრაძეს განხილული აქვს ნიკოლაძის წერილი სიმონ ხუნდაძისადმი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს გაზეთის დაარსების მიზანი. გავეცნოთ წერილის მცირე ფრაგმენტს:

“იმ დროს მე ვმუშაობდი ქართული შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და მოუწყობ ანბანებს საშუალებას მისცემდა, მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპული აზრების ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ და კიდევ ავასრულეთ ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა “დროშასი”. გაზეთს ვბეჭდავდით ას-ას ცალს, მუქთად ვუგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურისხს, ჟენევაში, ვენაში და სხვაგან ... “ (ბაქრაძე 1989: 98).

ამჟამად, რომ “დროშა” ბეჭდვის ჰექტოგრაფიული წესის ასათვისებლად იცემოდა, თორემ მისი მესვეურები ათი ნომრის გამოცემით არ დაკმაყოფილდებოდნენ. ყურადღებას იქცევს გაზეთის გამოცემის მიზანი, რომელიც ახალი ევროპული აზრების ადგილობრივ ენაზე პროპაგანდას ითვალისწინებდა. აქ, ერთი მხრივ, საყურადღებოა

ინტერესი ევროპაში მიმდინარე პროცესებისადმი, ხოლო მეორე მხრივ, ამ კუთხით ქართული საზოგადოების ინფორმირება ადგილობრივი სტანდარტიზებული ენის მეშვეობით.

ეროვნული კულტურის განვითარება დამყარებულია განათლების, ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სფეროებში ადგილობრივი ენის გამოყენებაზე. ილია ჭავჭავაძე ყოველთვიურ საჟურნალო “შინაურ მიმოხილვაში”, რომელიც 1879 წელის თებერვალში გამოქვეყნდა, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მოსახლეობასა და სახელმწიფო მოხელეებს შორის არსებულ ენობრივ ბარიერს ასახელებდა. ილიას ეს მოსაზრებები კარგად თავსდება მოდერნიზმის ფარგლებში. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ იდეალურ ნიმუშად აქაც ევროპული სისტემა სახელდება. მისი სიტყვით, სახელმწიფო მოხელეების შერჩევის დროს ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს, სხვა შემთხვევაში, მოხელეს გაუჭირდება, ღირსეულად გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას. ეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის ევროპული მოდელია, სადაც სახელმწიფო სამსახურში ყოფნის ძირითადი საფუძველი ადგილობრივი ენის ცოდნაა. ილია ჭავჭავაძე ასახელებდა ინგლისისა და მისი კოლონიის, ინდოეთის მაგალითს და მიიჩნევდა, რომ საქართველოში, ამ კუთხით, რადიკალურად განსხვავებული ვითარება იყო. “ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდან. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი, - მაგალითებრ სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდანაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა”. ავტორი იმედოვნებდა, რომ ხელისუფლება ყურად იღებდა ამ პრობლემას და ეცდებოდა ხარვეზების აღმოფხვრას (ჭავჭავაძე 1984: 816-817).

ამავე წერილში ილია წუხდა ეგრეთ წოდებული “მაღალი საზოგადოების” მხრიდან საკუთარი ენისადმი უდიერად მოპყრობის გამო. მისი ეს მოსაზრება მკვეთრად ნაციონალისტურ ხასიათს

ატარებდა. ილია აღნიშნავდა, რომ ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, განსაკუთრებით ქალაქებში, თავილობდა მშობლიურ ენაზე საუბარს. “ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით”. არისტოკრატიულ ფენას არ ესმის ქართული სიტყვიერების სიმდიდრე და ყოველივე გადაავიწყდა, რაც ენის ღირსებას წარმოადგენს. “ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება” (ჭავჭავაძე 1984: 818).

უმნიშვნელოვანესია ქართული (ქართულენოვანი) თეატრის გარშემო მიმდინარე მოვლენები. ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ თეატრს და მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის დასტურია ილია ჭავჭავაძის ზემოთმოყვანილი წერილი. ამ პერიოდში, XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს, დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით, იწყება მოძრაობა ქართულენოვანი თეატრის ჩამოყალიბებისათვის (“სცენის გამართვისათვის”), სადაც დაიდგმებოდა შექსპირის, მოლიერის და სხვათა ნაწარმოებები. აქვე უნდა აღინიშნოს დიმიტრი ყიფიანის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. 1879 წელს ყალიბდება ქართულენოვანი თეატრის დასი. სწორედ ამ მოვლენებს ეხმაურება ილია ჭავჭავაძე. მისი აზრით, სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩაყენებული ქართული ენისათვის სცენა “სწორედ ცის ნამია დამქკნარის ყვავილისათვის”. ილია დიდ მადლობას უხდის იმ გულუხვ ქართველებს, რომლებიც ფინანსურად დაეხმარნენ აღნიშნულ საქმეს. იგი სცენას უდიდეს მნიშვნელობას ორი მიზეზის გამო ანიჭებს: “პირველი – რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც *ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა*” (ხაზი ჩვენია - ი. ჩ.). რუსული კოლონიალიზმის პირობებში ქართველ ხალხს საკუთარ ენაზე თვითგამოხატვის მწირი საშუალებები აქვს, ამიტომ ქართულ სცენას, ზემოთ აღნიშნული ორი მიზეზის გამო, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება (ჭავჭავაძე 1984: 818-820). როგორც

ზემოთ აღნიშნა, ნაციონალიზმი, კოლონიზებული საზოგადოების პირობებში, ხშირად სიმბოლური სახით ვლინდება. თეატრალური წარმოდგენები ნაციონალური გრძნობების სიმბოლურად გამოხატვის კარგ საშუალებას წარმოადგენდა.

1872 წელს გაზეთ “კავკაზის” დამატებად გამოქვეყნდა გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის ბროშურა, რომელშიც ავტორი წერდა, რომ ადამიანის ბუნებრივი და თანდაყოლილი თვისებაა ლტოლვა, მისწრაფება სულიერი და მატერიალური სრულყოფისაკენ. იარაღი, რითაც სულიერი და მატერიალური სრულყოფა მიიღწევა, არის ცოდნა-განათლება. მისი მიღების საშუალება კი ენაა. მაგრამ მცირერიცხოვანი ხალხების ენებს არა აქვთ უნარი, ძალა, ღონე, აითვისონ თანამედროვე ცოდნა. ისინი არ გამოდგებიან განათლების მიღების საშუალებად. თანამედროვე ცოდნას სრული სახით და მთლიანად ფლობს მხოლოდ მრავალრიცხოვანი ხალხების ენები, მხოლოდ ამ ენების საშუალებით შეუძლია ადამიანს ჭკმდარიტი განათლების მიღება, ცოდნის შეძენა (ევროპაში ასეთ ენებად მუხრანბატონს მიაჩნდა ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული, გერმანული). რაკი ასეა, მცირერიცხოვანი ხალხების ენებს სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა მრავალრიცხოვანი ხალხების ენებთან შერწყმისა და გაქრობისა. მართალია, ეს მტკივნეულია, მაგრამ აუცილებლობაა. გვინდა თუ არა, უნდა შევეგუოთ მას. თუ მცირერიცხოვანი ხალხები თავიანთ მშობლიურ ენებს ჩაებლაუჭებიან, არ დათმობენ, მაშინ მათ გარდაუვალი ჩამორჩენა ელით, რადგან ცოდნა-განათლებით ვერ გაუთანაბრდებიან მრავალრიცხოვან ხალხებს. მარადიული ჩამორჩენილობა, სულიერი და მატერიალური სიდუხჭირე გაცილებით უფრო დიდი და ხანგრძლივი ტანჯვაა, ვიდრე იმ ენის დაკარგვა, რომელიც არაფერში გარგიათ (ბაქრაძე 1989: 113-114).

მუხრანბატონის შეხედულებების გამოქვეყნებას “თერგდალეულების” მძაფრი რეაქცია მოყვა. ამა თუ იმ სახით, ბევრმა უპასუხა ავტორს. ასევე მკვეთრად დაისვა საკითხი, თუ სად უნდა ემუშავა ქართველ მოღვაწეს და რომელი ენით უნდა

ეწერა. მუხრანბატონის პასუხად, 1879 წლის 29 ოქტომბერს სერგი მესხმა გამოაქვეყნა წერილი “ჩვენი მეცნიერები”, რომელშიც მას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრინციპული პოზიცია ეკავა. ს. მესხს მიაჩნდა, რომ ყოველი ადამიანის უფლებაა, მისთვის სასურველი და სასიამოვნო საქმე აკეთოს, რომელიც მის ხასიათს შეესაბამება, თუმცა “მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველად თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომით ის უნდა მიაჩნდეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია. კერძოობით მიდრეკილება, საკუთარი პიროვნული სიამოვნება ხშირათ უნდა დაივიწყოს, თუ ეს საზოგადო სამშობლოს სარგებლობასთან არ თავსდება”. ყოველი განათლებული ადამიანი საკუთარ სამშობლოში უნდა მოღვაწეობდეს და საკუთარ ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის და მისი განვითარებისთვის. თუ საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა და უცხოეთში განაგრძო მოღვაწეობა, ეს დიდად დააზარალებს ქართულ საქმეს. “ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველი კაცი იქ უნდა ცხოვრობდეს, იქ უნდა მოქმედებდეს და მუშაობდეს, სადაც იმის მუშაობა უფრო სასარგებლო, უფრო ნაყოფიერი იქნება, და რადგანაც ყოველი კაცის მუშაობა იქ უფრო ნაყოფიერი და სასარგებლოა, სადაც ის დაბადებულა, სადაც ის ყველა გარემოებას იცნობს, ამის გამო ყველა თავის სამშობლოში უნდა მუშაობდეს” (ბაქრაძე 1989: 115-116).

ნათელია, რომ სერგი მესხის ეს მოსაზრება მკაფიოდ ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს და გარკვეულ შესაბამისობას ამჟღავნებს ნაციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად საბაზისო მტკიცებულებასთან, რომლის მიხედვით, იმისათვის, რომ თავისუფალი იყოს, ყოველი ინდივიდი ნაციას უნდა ეკუთვნოდეს. ასე მარტო სერგი მესხი არ ფიქრობდა. ეს თეგდალეულთა უმრავლესობის აზრი იყო, მათ შორის, ილიას და აკაკის.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ საკითხთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძის პოზიცია შედარებით განსხვავებულია, თუმცა მასში ნათლად არის გამოხატული ნაციონალისტური მისწრაფებები.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართველი ახალგაზრდობა ორ ნაწილად იყოფა. უმრავლესობას საკუთარი კერძო მიზანი და მისწრაფება აქვს და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. ასევე არსებობს მცირე ნაწილი, რომელიც პირველ ადგილზე საკუთარ საზოგადოებას და ქვეყანას აყენებს. ავტორი მიიჩნევს, რომ იმას, თუ სად ცხოვრობს უმრავლესობის წევრი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ქვეყანას მისგან სარგებელი არ ელოდება.

“ქვეყანასა და საზოგადოებას იმათგან არავითარი ხეირი არ მოელის, გინდ შორაპანში იცხოვრონ, გინდ პარიჟში. ყველგან და ყოველთვის ესენი მუქთა მჭამელები და უხეირო წევრები იქნებიან თავთავიანთი ქვეყნისათვის”. მაგრამ, ამავე დროს, სადაც არ უნდა იყოს მეორე, მცირე ნაწილის წარმომადგენელი, ყველგან დიდ სარგებლობას მოუტანს საკუთარ ქვეყანას, თუ სურვილის გარდა, ნიჭი, ცოდნა და ძალაც ხელს უწყობს. “სიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თფილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს და თან ვინმე მშრომელს და ხეირიან პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს მარტო იმისათვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოთ რატომ არ დადოლიალობსო სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურდეთ ისწავლეთ, რაც გინდათ ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოთ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმაცადინეთ”.

ნიკო ნიკოლაძისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება საქართველოს საერთაშორისო იმიჯი, განსაკუთრებით ევროპის თვალში, სადაც საქართველოზე არცთუ სახარბიელო წარმოდგენა აქვთ. ნ. ნიკოლაძე ხაზს უსვამს საქართველოში მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუმცა ქვეყნისთვის სასარგებლო მის ფარგლებს გარეთ საქმიანობაშიც ხედავს.

საქართველო რუსეთის იმპერიის კოლონიას წარმოადგენს, ნიკოლაძე ამ ობიექტური, სამწუხარო რეალობიდან გამოდის და თვლის, რომ საკუთარი ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

აუცილებელია ქართველები წერდნენ როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ენებზე, “აგებინებდნენ რუსეთს და ევროპას ჩვენს ხასიათს, ჩვენს მდგომარეობას, მიმართულებას, სურვილს, ლხინსა და დარდს ...” აქვე იგი ხაზს უსვამს ქართული ენის მნიშვნელობას ხალხის გასანათლებლად და მისი თვითშეგნების ასამაღლებლად, თუმცა საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. საქართველო ისეთ მდგომარეობაშია, რომ მხოლოდ ამგვარმა “ორმაგმა შრომამ” შეიძლება მოიტანოს სასურველი შედეგი. ნიკო ნიკოლაძე მაგალითისთვის ასახელებს ცალკეულ პიროვნებებს როგორც ქართული, ასევე მის ფარგლებს მიღმა სივრცეებიდან (ილია ჭავჭავაძე, ჯორჯ ვაშინგტონი), რომლებმაც, მიუხედავად უცხო ენაზე განათლების მიღებისა და ამ ენის ცოდნისა, დიდი სამსახური გაუწიეს საკუთარ ქვეყანას (ნიკოლაძე 1997: 166).

ნიკო ნიკოლაძე თავისი თეორიული მოსაზრებების შესაბამის პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი წერდა ქართულად, რუსულად, ფრანგულად, თანამშრომლობდა ქართულ, რუსულ, ევროპულ პრესაში, ეხმაურებოდა ყველაფერს, რაც მის დროს ხდებოდა.

ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, რომ ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები, განხილულ საკითხთან მიმართებაში, ზოგიერთი სხვა თერგდალეულის (მაგ. სერგი მესხის) მოსაზრებებისაგან განსხვავებულია, თუმცა ეს არ ცვლის მის ნაციონალისტურ ხასიათს. ამის დასტურად საჭიროდ მივიჩნევთ, მოვიტანოთ ამონარიდი ნიკო ნიკოლაძის ცნობილი პუბლიცისტური წერილიდან “სალამი”, რომელიც ავტორმა ევროპაში რამდენიმეწლიანი ცხოვრების შემდეგ გამოაქვეყნა:

“მას აქეთ, რაც ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არ მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია ... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გამსახურებოდი, ავით თუ კარგათ, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, როგორც ჩვენი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამულე და ძმა, როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი,

ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა. მე დამივილია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამღელვებელ და აღმტაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურლის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენივარ და არ მიუხიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდ გავლენის იმედს ... იმის მაგიერ, რომ იქაურს ცხოვრებას მივებირე და სხვებისავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა ... სხვაგან და ჩვენში მწერალი და გაჩუმებული ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი” (ნიკოლაძე 1997: 94).

ეს სიტყვები მკაფიოდ ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს და იგი მხოლოდ საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილ ლიდერს შეეძლო დაეწერა, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძე, ევროპული განათლებიდან და დასავლეთში ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, თერგდალეულთა ზოგიერთ წარმომადგენელთან შედარებით, რამდენადმე განსხვავებულად ხედავდა ქართველი ერის ეროვნული ინტერესების რეალიზების პერსპექტივას.

ზემოთქმულიდან ნათლად იკვეთება, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბებული ქართული ნაციონალური პროექტის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს ენის რეფორმირება, მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება და ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა წარმოადგენდა. კონკრეტულ საკითხებში “თერგდალეულთა” ცალკეული წარმომადგენლების გასხვავებული პოზიციების

მიუხედავად, ყველა მათგანი თანხმდებოდა საზოგადოების კონსოლიდაციისთვის ადგილობრივი ენის მნიშვნელობაზე.

§ 2. საზოგადოების განათლება და კონსოლიდაცია

ნაციონალიზმის ფორმირებაში ქათული ენის როლზე საუბრის შემდეგ, ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს საზოგადოების განათლებაზე და ეროვნული კონსოლიდაციისთვის მის მნიშვნელობაზე. განათლების დონის ამაღლება და ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლისთვის მისი ხელმისაწვდომობა განმსაზღვრელ როლს თამაშობს ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში. ამას კარგად აცნობიერებდნენ “თერგდალეულები” და მათი მოღვაწეობა იმთავითვე ამ მიზნის მიღწევისკენ იყო მიმართული. ისინი ცდილობდნენ, ჩამოეყალიბებინათ საქართველოს მოქალაქეთა თანამედროვე, განათლებული და ნასწავლი ფენა, რომელიც შეძლებდა ქვეყნის პოლიტიკურად და ეკონომიკურად მართვას (ჯონსი 2007: 60).

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კომერციული ხასიათის ჟურნალ-გაზეთების ჩამოყალიბება. საკვლევ პერიოდამდე საქართველოში ერთადერთ ბეჭდურ გამოცემას ჟურნალი “ცისკარი” წარმოადგენდა და ისიც მხოლოდ არისტოკრატიული ფენის ინტერესებს გამოხატავდა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, არსდება “საქართველოს მოამბე”, “ივერია”, “კრებული”, ასევე “დროება” და ა.შ. იწყება პრესის მასიური გავრცელება. ამ ფაქტის მნიშვნელობას თავად ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავდა. იგი ამბობდა, რომ 30-იან წლებში ხელახლა ფეხადგმული ქართული მწერლობა პირველ ხანებში “შინაური საქმე” იყო, ვიწრო წრეში ტრიალებდა და უფრო თავშესაქცევი საქმიანობა გახლდათ. ამ კუთხით, საკმარისია გავიხსენოთ პოეტური თუ პროზაული ქმნილებების ე.წ. “სალონური” კითხვა და განხილვა, რომელიც წარჩინებულთა ოჯახებში იმართებოდა. ილია ამის მიზეზად ჟურნალ-გაზეთებისა და ბეჭდვითი საქმიანობის არარსებობას ასახელებდა (ჭავჭავაძე 1984: 654).

განსაკუთრებული იყო გაზეთ “ივერიის” მნიშვნელობა და როლი, რომელიც 1877 წელს ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

1871 წელს ილია ჭავჭავაძემ და გიორგი წერეთელმა, იმპერატორ

ალექსანდრე II-ის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, წამოაყენეს თხოვნა უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ. ეს თხოვნაც კარგად თავსდება ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ფარგლებში, რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ნაბიჯია კულტურის ჰომოგენიზაციისაკენ მიმავალ გზაზე.

1879 წელს შეიქმნა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება*, რომლის პირველი თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი გახლდათ. საზოგადოების ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა “სამოციანელთა” ეროვნული მოძრაობის ისტორიაში. როგორც უ. კონორი აღნიშნავს, ნაციონალიზმი მასობრივი მოვლენაა. ის ფაქტი, რომ ელიტის წარმომადგენლები ავლენენ ნაციონალურ გრძნობებს, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება მომხდარ ფაქტად მივიჩნიოთ და მასების ღირებულებით სისტემად ჩავთვალოთ, მათი გაუნათლებლობისა და წერა-კითხვის უცოდინრობის პირობებში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობიდან უმთავრესი იყო სკოლების დაარსება და მათი დაფინანსება. ამ ორგანიზაციის მესვეურებს სხვადასხვა სახის პრობლემებთან უხდებოდათ გამკლავება, დაწყებული სკოლებში ელემენტარული პირობების უზრუნველყოფით და დამთავრებული რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლით. იმპერიული ხელისუფლება მტრულად განეწყო საზოგადოების მიმართ და მას “პანგრუზინიზმში” დასდო ბრალი, რაც გურიასა და სამეგრელოში სკოლების დაარსებასა და ქართული ენის გავრცელებაში გამოიხატებოდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლებში ქართულ ენას “დედაენის” საშუალებით ასწავლიდნენ, რომელიც 1876 წელს იაკობ გოგებაშვილის მიერ შეიქმნა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაციონალიზმის ფორმირებაში.

1875 წლიდან ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ყალიბდება თბილისის საადგილმამულო ბანკი. იდეა დიმიტრი ყიფიანს

ეკუთვნოდა. საადგილმამულო ბანკი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას ფინანსურად უზრუნველყოფდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტსაც მჭიდრო კავშირი აქვს ნაციონალიზმის ფორმირებასთან საქართველოში.

აშკარაა “თერგდალეულთა” მიზანმიმართული და თანმიმდევრული ქმედება ნაციონალური პროექტის განხორციელების გზაზე.

ილია ჭავჭავაძე წერილში “ისევ განათლების საკითხებზე” სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველობა ნაკლებად ეტანებოდა სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნის მისაღებად, იგი თითქმის ყველგან უმცირესობას წარმოადგენდა. ამის დასტურად მას მოჰყავდა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით, წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სჭარბობდნენ ქართველებს. ილიას სასიცოცხლო აუცილებლობად მიაჩნდა ამ მდგომარეობის გამოსწორება. იგი ქართველებს მოუწოდებდა, მიებაძათ სხვა ერებისთვის ცოდნისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მაგალითად ილია გერმნელებს ასახელებდა, რომლებიც, მისი აზრით, განათლებას უყურებენ როგორც აუცილებელ საჭიროებას და არა როგორც სამკაულს. ამიტომ მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, რათა შვილები განათლებით უზრუნველყოთ და ამისთვის ბევრ ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე ამბობდნენ უარს (ჭავჭავაძე 1984: 628).

ცოდნისა და განათლების დონის უდიდეს მნიშვნელობაზე საუბრობდა ილია სიტყვაში, რომლითაც მიმართა გლეხობას სოფელ წინამძღვრიანთ-კარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის დროს (ჭავჭავაძე 1984: 920-924).

ნაციონალიზმი, როგორც წესი, მოსახლეობის უფრო აქტიური და ორგანიზებული სექტორების ბევრად უფრო დიდ, უფრო პასიურ და დანაწევრებულ სეგმენტებთან დაკავშირებას ემსახურება (სმითი 2004: 28). ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები “ოთარაანთ ქვრივი” და მასში დაყენებული ცნობილი “ჩატეხილი ხიდის” პრობლემა. გავიხსენოთ არჩილის და კესოს საუბარი, როდესაც “გლეხკაცობაზე” განაწყენებულ კესოს არჩილი

ეუბნება:

“ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი. ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზე განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად მოეჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან... ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ მეთქი ... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე” (ჭავჭავაძე 1959: 129-130).

ნათელია, რომ ზემოთმოყვანილ პათოსში მოსახლეობის დანაწევრებული სეგმენტების არსებობით გამოწვეული წუხილია გაჟღერებული. ნაწარმოების დასკვნით ნაწილში ილია “ჩატეხილი ხიდის” აღდგენის აუცილებლობაზე მიუთითებს, რასაც მკვლევრები ნაციონალიზმის ერთ-ერთ მახასიათებლად მიიჩნევენ. ილიას მიზანი, მოგვიანებით გაბატონებული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისგან განსხვავებით, კლასთა შერიგება და მოსახლეობის ვერტიკალური კონსოლიდაცია იყო, ამისკენ გახლდათ მიმართული მისი პუბლიცისტური, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული საქმიანობა. ილიას, როგორც მარქსისტული იდეოლოგიის სათავეებთან მდგომი საზოგადო მოღვაწის სახე, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია გვთავაზობდა, აშკარად არამართებულია.

ამავე კონტექსტში კარგად თავსდება ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის შესახებ. მისი აზრით, მკითხველი საზოგადოების განათლებულობა და

შესაბამისი ესთეტიკური აღზრდა-განათლება აუცილებელი პირობა იყო. ნ. ნიკოლაძე სვამდა კითხვას – რატომ ვერ მოახდინა გავლენა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გრიგოლ ორბელიანის პოეზიამ, რომელსაც თავად დიდად აფასებდა? ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ ქართული საზოგადოება მოუმზადებელი იყო ორბელიანის პოეზიის მისაღებად და ეს პოეტი “სხვა საზოგადოებაში რომ გამოსულიყო უფრო სასარგებლო და გონიერ მიზანს გამოადგებოდა”. ნიკო ნიკოლაძის ამ შეხედულებიდან ცხადად ჩანს ძირითადი განსხვავება, რომელიც თერგდალეულებსა და მათ წინა თაობას შორის არსებობდა.

ნიკონიკოლაძე განიხილავდა საზოგადოების კონსოლიდაციისთვის განათლების მნიშვნელობას და თვლიდა, რომ საზოგადოების გათიშულობის და დაქსაქსულობის უმთავრესი მიზეზი განათლების დაბალი დონე იყო. განათლებული საზოგადოება ადვილად თანხმდება ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე, რადგან მას სრულად აქვს გაცნობიერებული ერთიანობის მნიშვნელობა. ნ. ნიკოლაძეს მაგალითად საფრანგეთი მოჰყავდა, სადაც, მიუხედავად სახელმწიფოებრივ პრობლემებზე ცხარე კამათისა, ყველაფერი მაინც ნაციონალური ინტერესების შესაბამისად წყდებოდა და ამით სარგებელს ხალხი ნახულობდა. იგი იქვე აღნიშნავდა, რომ მსგავსი მიდგომა არ არსებობდა აღმოსავლეთში, სადაც ყველაფერი მხოლოდ ერთი ადამიანის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული (ნიკოლაძე 1997: 175-181).

ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის მთავარ ნაკლად მის ჩაკეტილობას მიიჩნევდა. 60-იან წლებამდე ქართული პოეზია, ძირითადად, არისტოკრატიული ფენის იდეებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა და არ ინტერესდებოდა, თუ რა ხდებოდა მის მიღმა. სამოციანმა წლებმა კი “ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემომატვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა

და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა” (ჭავჭავაძე 1984: 675).

ილიას ასევე ნაკლად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ერთადერთი ჟანრი – პოეზია იყო გამეფებული. “სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა “მამული” მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა”. ამ პერიოდიდან ყველა, ვისაც მწერლობის თუ სხვა სახის შემოქმედებითი საქმიანობის ნიჭი ჰქონდა, საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩადგა. მათ განიზრახეს, რომ საკუთარი ხალხის გულში მიძინებული სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გაეღვიძებინათ. სიტყვამ “მამული”, 60-იან წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ მოღვაწეთა საშუალებით, კვლავ დაიჭირა საკუთარი კუთვნილი ადგილი, “ვითარცა მზემ, და სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას”. “აღდგენილმა მამულმა” დაბადა მამულის სიყვარული და ქართველ მოღვაწეებს მისი წარსულის, აწმყოსა და მომავლის კვლევა-ძიებისკენ უბიძგა. “ვინა ვართ და რანი ვართ” – ამ ზოგადი პრობლემის გარშემო გაერთიანდა მთელი ქართული მწერლობა და მთელი თავისი შესაძლებლობები მისი გარკვევისკენ მიმართა. პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური ნიმუშები მხოლოდ ერთი იდეის გარშემო იქმნებოდა. ილია თვლიდა, რომ სწორედ აღნიშნულის გამო იქნა “თერგდალეულთა” მოძრაობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას (ჭავჭავაძე 1984: 671-672).

ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ნათლად გვიჩვენებს ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლების XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ძიების მართებულობას. ზემოთქმულიდან ასევე ნათელია, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებიდან იწყება ერის თვითგამორკვევის პროცესი, რომელიც ნაციონალიზმის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად არის მიჩნეული.

მოდერნისტული თეორიის თანახმად, ნაციონალიზმის ერთ-

ერთ გამოვლინებად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობა და მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭების საკითხი სახელდება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი ფაქტი. 1873 წელს უცხოეთში განათლების მისაღებად პირველად გაემგზავრა ქართველ ქალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. მასში შედიოდნენ ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ წერეთელი, ოლა გურამიშვილი. ქართველი საზოგადო მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი აღტაცებული იყვნენ ამ ამბით. გამგზავრების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი კი ნიკო ნიკოლაძე იყო.

ილია ჭავჭავაძე წერილში “დედათა საქმე” მკაფიოდ გადმოსცემს საკუთარ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი ხაზს უსვამს ქალთა როლის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში. მდებრობითი სქესის წარმომადგენლები თანდათანობით კუთვნილ ადგილს იკავებდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნები, რომლებიც უფლებების გაზრდისკენ არის მიმართული, აღარ არის “ზმად მღალადებელად უდაბნოსა შინა”. ქალებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათაც აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება. დასავლურ სახელმწიფოებში ქალთა საკითხს სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა და ამ პრობლემის მნიშვნელობას ყველა აცნობიერებს, “ზრმათა და თვალახვეულთა” გარდა. ქალებმა სახელმწიფო სამსახურის ზოგიერთ სფეროში დასაქმების უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ, ამ მხრივ, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იმ უსამართლობას, რომელსაც აქამდე “ნახევარი კაცობრიობა” განიცდიდა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო, აღნიშნავდა ილია (ჭავჭავაძე 1984: 892).

ამავე წერილში ილია ეხმაურება ქალთა საარჩევნო უფლების პრობლემას და დაუფარავი სიმკათით საუბრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პროცესებზე: “ამ მხრით ამერიკამ ჯერ-ხანად ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო და იქ დღეს არამცთუ ვისმე ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელთა საარჩევნოდ მამაკაცებთან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ

თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკვირვებს და იოცებს”.

ილიას მაგალითად მოჰყავს ქალაქი ბოსტონისადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართა. მართალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებს საარჩევნო უფლება აღნიშნულ არჩევნებამდეც ქონდათ მინიჭებული, მაგრამ ავტორი გაცხადებულია მათი იმჟამინდელი აქტივობით, რაც წინა არჩევნებში ნაკლებად იყო. “ეხლა-კი, ამ ბოლოს არჩევნებში, თითქმის ყველანი მოსულან და დედათა კენჭის წყალობით დემოკრატები, რომელთაც აქამომდე ხელთ ეპყრათ გამგეობა ქალაქისა, დამარცხებულან და რესპუბლიკელებს გაუმარჯვნიათ...” მართალია, ევროპაში ქალთა უფლების მსგავსი პრაქტიკულად რეალიზებული მაგალითები არ არის, მაგრამ ყველაფერი იქეთკენ არის მიმართული, რომ იგივე პროცესები აქაც განვითარდეს.

ქართველი საზოგადო მოღვაწე აღნიშნული პრეცედენტების რუსეთის იმპერიაში გაჩენის სურვილს დაუფარავად გამოთქვამს. ამ გზით ქალები თავად მოახდენენ ზემოქმედებას მათ წინააღმდეგ მიმართულ კანონზე და შეძლებენ მის შეცვლას. ამავე დროს, ქვეყნის მართვაში მათი მონაწილეობა თავად ქვეყნისთვის არის სასარგებლო. (ჭავჭავაძე 1984: 892-894).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ილია ჭავჭავაძე ღრმად და დეტალურად იცნობს დასავლურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს და იყენებს მას საკუთარი შეხედულებების წყაროდ. აქედან გამომდინარე, “თერგდალეულთა” მიერ დაწყებული მოძრაობის იმპერიული სივრცის ფარგლებში განხილვა და მათი შეხედულებების მხოლოდ რუსულ საზოგადოებრივ აზრზე “მიბმა” კრიტიკას ვერ უძლებს.

ქალთა საზოგადოებრივ აქტიურობასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები ვაჟა-ფშაველამაც ჩამოაყალიბა წერილში “ქალთა შესახებ”. ვაჟა ფრიად ორიგინალურად წარმოგვიდგენს ქალის როლს საზოგადოებაში. იგი თვლის, რომ ქალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში, რადგან თავად

კაცობრიობა ცალკეული ერებისგან შედგება, ერები კი – ოჯახებისგან. თუ ოჯახი განვითარებულია, განვითარებულია ერი და, შესაბამისად, ამ ერებისგან შემდგარი კაცობრიობა. ოჯახში ქალს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება და იგი წარმართავს მის საქმიანობას, ზრდის შვილებს და ამიტომ მისი განათლებულობა აუცილებელია. “დედაკაცს უნდა ესმოდეს, შვილი როგორ აღზარდოს შინ, ოჯახში და გარედ საზოგადოებაში რა აზრები გაავრცელოს, რას ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლიან დაამხოს ერი და კიდევ ალადგინოს” (ვაჟა-ფშაველა 1986: 730-731).

ზოგადად, ქალთა საკითხით დაინტერესება და მასთან დაკავშირებული პრობლემების წინ წამოწევა ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანია. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ეპოქის ქართველი საზოგადო მოღვაწეები აქტიურად განიხილავდნენ ამ პრობლემებს და აუცილებლად მიიჩნევდნენ საზოგადოების ცხოვრებაში ქალის როლის განსაზღვრას. ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას განხილული პუბლიცისტური წერილები ამის ნათელი დასტურია.

ბენედიქტ ანდერსონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკეულ პიროვნებათა ძალისხმევას, რომელთაც, ძირითადად, განათლება მეტროპოლიათა ცენტრებში აქვთ მიღებული და რომელთა მისიაც ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაა. ავტორი ასეთ ადამიანებს პილიგრიმებს უწოდებს (ანდერსონი 2003: 98). მსგავს “პილიგრიმებად” შეგვიძლია მივიჩნიოთ XIX საუკუნის სამოციანელთა თაობის ცნობილი წარმომადგენლები. ხდება ერთიანი კულტურის, საერთო ბედის “წარმოსახვა” და განმტკიცება, რის საფუძველზეც იქმნება წარმოდგენა “ჩვენი ერთობის” შესახებ.

§ 3. თვითმმართველობა და ერთიანი ნაციონალური იდენტობა

მიროსლავ ჰროში აღნიშნავს, რომ ერთიანი ნაციონალური იდენტობის აუცილებელია პოლიტიკური თვითადმინისტრირების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა, ასევე მწარმოებელთა და ვაჭართა კლასის ფორმირება და ეროვნული კულტურის განვითარება და აღორძინება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ ენაზე. “თერგდალეულთა” მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტი ამ მიმართულებებით ვითარდება და აღნიშნულ ასპექტებს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს.

თვითმმართველობისა და ავტონომიურობისკენ სწრაფვის პირველ პრეცედენტს ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაბრუნებისას გამოქვეყნებულ “მგზავრის წერილებში” ვხვდებით. ყურადღებას იქცევს ერთ-ერთ პერსონაჟის ლელთ ღუნიას სიტყვები, როდესაც იგი წუხს დროების შეცვლის გამო: “ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით” (ჭავჭავაძე 1984: 27).

1871 წელს, როდესაც თბილისში იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლას ელოდნენ, ნიკო ნიკოლაძემ განაცხადა, რომ ხელმწიფისთვის ერობის შემოღება უნდა ეთხოვათ. 1871 წელს “კრებულში” გამოაქვეყნა წერილი – “ერობა, მისი დანიშნულება და წესდება.” ნ. ნიკოლაძე ერობას განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას თვითმმართველობის უფლების გამო ანიჭებდა.

“ერობის ყველაზე უფრო უძვირფასესი ღირსება ის არის, რომ ჩვენ საკუთარ საქმეს ჩვენვე გვაღვევინებს, ჩვენ პატრონათ ჩვენვე გვხდის და ეს გარემოება, მარტო ეს, – ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, – გვამაღლებს კაცების ხარისხზე, ადამიანის ღირსებას გვამღებს და გვაჩვენებს უმჯობეს, კაცურ ცხოვრებას... ერობა ქვეყნის განვითარების გარდაუვალი პირველი ნაბიჯია, პირველი საფეხურია,

რადგან მანამდე და უიმისოდ შეუძლებელია მიაღწიო ხალხის ყოფის რაიმე მყარ გაუმჯობესებას. არ შეიძლება ხალხი გაიზარდოს უგზებოდ, უსკოლებოდ, უექიმებოდ, უკრედიტოდ, ორგანიზაციის თვინიერ. ყველაფერ ამას კი ერობა იძლევა. ამასთან ერთად, ხალხს ასწავლის დისციპლინას, თანდათან აჩვევს თვითმმართველობას, დამოუკიდებლობას” (ნიკოლაძე 1997: 22).

ნ. ნიკოლაძეს ერობის შემოღება საზოგადოების სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიაჩნდა. თვითმმართველობის ჩამოყალიბება ხალხს საკუთარი პრობლემების მის მიერვე გადაწყვეტას ასწავლიდა. მისი აზრით, დრო იყო, პესიმისტურ განწყობილებებს ბოლო მოღებოდა, ყველას თავად ეზრუნა ქვეყნის განვითარებასა და ვითარების გაუმჯობესებაზე.

ვფიქრობთ, ნიკოლაძის ეს მოსაზრებები მიროსლავ ჰროშის თეორიის ნათელი ილუსტრაციაა და მას სწორედ ნაციონალისტური მისწრაფებები უდევს საფუძვლად. სამწუხაროდ, საქართველოში ერობის შემოღება არ მოხერხდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. “რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, – წერდა ილია 1881 წელს, – სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფული არიან ... ამიტომაც ერთ უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს სხვადასხვა რჯულის, თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან...” (ბენდიანიშვილი 1999: 114). რუსეთს, ილიას განცხადებით, არ ჰქონდა დადგენილი, თუ სად თავდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უფლება და სად იწყებოდა განაპირა ერებისა. როგორც ისტორიკოსი ალ. ბენდიანიშვილი აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის უნიტარული სახელმწიფოს აბსოლუტურ-მონარქიული წყობილების დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია.

ილია ჭავჭავაძე 1879 წლის მიმოხილვისას ამ წელს მომხდარ სამ ფაქტს ასახელებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის განვითარებისათვის. ესენია: თბილისში ქართული სკოლის დაარსება, სადაც სწავლის პროცესი დედა-ენაზე მიმდინარეობდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელსაც პირველდაწყებით სკოლებში დედა-ენაზე სწავლების უფლება მიენიჭა და ქართული თეატრის დასის ჩამოყალიბება. საინტერესოა მიზეზი, რომლის გამო ილია ჩამოთვლილ ფაქტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: “ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეს სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის *საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა*” (ხაზგასმა ავტორისეულია). ილია აღნიშნულ მოვლენებს წარსულთან მიმართებაში განიხილავს და თვლის, რომ, საკუთარი მნიშვნელობით, ბოლო ოთხმოცი წელს ეს ერთი წელიწადი გადასწონის. ეს იყო წელი, როცა “ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუარო” (ჭავჭავაძე 1984: 823).

შემდეგ ილია სვამს კითხვას, თუ რამ გამოაფხიზლა ქართველობა და რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალა. პასუხად გვთავაზობს ისტორიულ ექსკურსს, რომელიც უაღრესად საინტერესოა წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში. იგი ასევე მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ განხილულ საზოგადოების კონსოლიდაციის პრობლემას. ჩვენი აზრით, აქ მკაფიოდ ჩანს ადრეული ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბება XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. ავტორის შეხედულებით, საქართველოს უბედურება მისი სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ იწყება. ამ დროს დაირღვა არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ერთიანობაც. ეს იყო საქართველოს ისტორიის გარდამტეხი პერიოდი, როდესაც

“გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე”. ილია საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას უწოდებს უბედურებას, რომელიც ხრწნიდა ერს და ძირს უთხრიდა მის ერთიანობას. მიუხედავად საზოგადოების გარკვეული ნაწილის ძალისხმევისა, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ქვეყანას და სცადეს მისი ხელახალი გაერთიანება, საქართველო მაინც დანაწევრებული დარჩა. დროთა განმავლობაში შესუსტდა ქვეყნის გაერთიანებისკენ სწრაფვა. მართალია, საზოგადოების მცირე ნაწილში იმედი ისევ ცოცხლობდა, თუმცა მალე მათშიც პესიმიზმი გაბატონდა, ვერავინ ბედავდა, საკუთარი სურვილი ხმამაღლა განეცხადებინა. სწორედ ამ დროს გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე “თერგდალეულები”, საზოგადო მოღვაწეთა ახალი თაობა, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს საზოგადოების რეინტეგრაციაზე ზრუნვა და შეძლეს ხალხში ერთიანობის მისწრაფების გაცოცხლება. “თერგდალეულებმა” შეძლეს ერის მობილიზაცია და ამას მათ ვერავინ დაუკარგავს.

“ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილკაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩავგისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვადვიდა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღალადებელთა არ გაუცუდდათ ღალადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო” (ჭავჭავაძე 1984 : 824).

ილია ახალი თაობის მოღვაწეობით თვითკმაყოფილებას არ ეძლევა. იგი მიიჩნევს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია და სკოლით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით და ქართული თეატრით ყველაფერი არ მთავრდება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ “ერთიც, მეორეც, მესამეც ჩვენის საკუთარის თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო

გულისტკივილით შემზადებული (ხაზგასმა ავტორისეულია). ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულისტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, – ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით – წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა. ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად” (ჭავჭავაძე 1984: 823-825).

ერნესტ გელნერი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი, უმთავრესად, პოლიტიკური პრინციპია და მისი მიზანი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაა. თუმცა, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს კარგად ქონდათ გაცნობიერებული, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა საშიში და უაზრო ავანტიურა იქნებოდა. ნიკო ნიკოლაძის შეხედულების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება დღითიდღე უფრო და უფრო იმსჭვალებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით, ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას საქართველოს იმ სასაკლაოზე მიყვანა შეეძლო, სადაც “ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს”. თანაც მანამდე აუცილებელი იყო ენის რეფორმირება, წერა-კითხვის მაქსიმალურად გავრცელება და ა.შ. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა ადრეული ქართული ნაციონალიზმი. მაშასადამე, ქართული ნაციონალიზმი ფორმით კულტურულ ნაციონალიზმს წარმოადგენდა. “ერი–სახელმწიფოს” კონცეფციის მიხედვით, რომელიც გერმანელ ისტორიკოსს ფრიდრიხ მეინეკეს ეკუთვნის, ერი საწყის ეტაპზე ყალიბდება როგორც კულტურული ერთობა. შემდეგ ეროვნული თვითშეგნების ზრდა იწვევს “ეროვნული სახელმწიფოს” შექმნის აუცილებლობას და, ამდენად, იქმნება პოლიტიკური ერთობა. ამგვარი კულტურული ერთობა ყალიბდება XIX 60-70-იანი წლების საქართველოში.

დასავლურ სამეცნიერო წრეებში მიღებული შეხედულების თანახმად, ნაციონალიზმისათვის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური

მოდრაობისათვის, დამახასიათებელია ყურადღების გამახვილება კულტურის სიმწიფესა და მის წარმოჩინებაზე. ნაციონალიზმის იდეოლოგია ნაციის კულტურაში ჩაღრმავებას მოითხოვს – ისტორიის ხელახალ აღმოჩენას, ადგილობრივი ენის აღორძინებას, ლიტერატურის, განსაკუთრებით დრამისა და პოეზიის განვითარებას. ნაციონალისტურ მოძრაობებს ხშირად თან სდევს კულტურული რენესანსები და კულტურული აქტივობის ის მდიდარი მრავალფეროვნება, რომლის გამოწვევაც შეუძლია ნაციონალიზმს. ჩვეულებრივ, ნაციონალისტური მოძრაობა იწყება არა საპროტესტო შეკრებით, დეკლარაციით ან შეიარაღებული წინააღმდეგობით, არამედ ლიტერატურული საზოგადოებების შექმნით, კულტურული ჟურნალებით და ა.შ. (სმითი 2004: 28). ამ მოსაზრების მართებულობა, თუ მას ადრეულ ქართულ ნაციონალიზმთან მიმართებაში განვიხილავთ, აშკარაა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, იწყება ფოლკლორული მუსიკის და პოეზიის მეცნიერული შესწავლა. თავდაპირველი მცდელობები მოყვარულთა მიერ განხორციელდა და მხოლოდ შემდეგ ჩართნენ საქმეში პროფესიონალები. უკვე საუკუნის ბოლოსთვის ია კარეგარეთელი აქვეყნებს “ქართული ხალხური სიმღერების” სანოტო კრებულს. ხალხური სიმღერის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით აგრეთვე უნდა აღინიშნოს ლადო აღნიაშვილის წვლილი, რომელმაც 1885 წელს დაარსა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი პირველი გუნდი. ყოველივე ეს ევროპაში წამყვან ტენდენციას აირეკლავს – “დავუბრუნდეთ ფოლკლორს”. საქართველო, რუსეთთან შეერთების შემდეგ, აქტიურად ერთვება ევროპული მუსიკალური კულტურის ტენდენციებში. ანა პიოტროვსკა აღნიშნავს, რომ გასაოცარია მსგავსება ქართველების მცდელობას - უცვლელად შეინახონ ეროვნული მუსიკალური კულტურა და მის საფუძველზე დაამკვიდრონ პროფესიული მუსიკალური ენა - და, მაგალითად, პოლონელების ბრძოლას შორის იგივე მიზნის მისაღწევად (www.polyphony.ge/uploads/.../piotrovskia_identifikacia.pdf). ხშირად ვარაუდობენ,

რომ მუსიკას შეუძლია აქტიურად იმოქმედოს ესთეტიკური და დისკურსული წარმოდგენების ფორმებზე – მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელზეც იგი გავლენას ახდენს, არის ეროვნულობის (ნაციონალიზმის) კონცეფცია.

ისტორიის ხელახალ აღმოჩენასა და აღდგენასთან დაკავშირებით, საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი “ერი და ისტორია”, რომელიც ეძღვნება დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომს საქართველოს ისტორიის შესახებ. წერილში ილია ისტორიას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ერის ჩამოყალიბებისა და მისი სრულფასოვანი არსებობისათვის. “...ერის პირქვე დამხოზა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორციით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა”. წარსული, აწმყო და მომავალი ერთი მთლიანობაა და ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელი და ამოუცნობია. არსებობს ბევრი ერი, რომელსაც ისტორიული წარსული არ გააჩნია, წარსული რომელიც სრულად გამოსახავს ნაციის ვინაობას, მიზიდულობას, არსებობის საზრისს, მის ადგილს სამყაროში. ასეთ ხალხს ილია ადარებს უბინაო კაცს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ისტორიის ულმობელი კანონი ამისთანა ხალხს არ დაინდობს და სხვა უფრო ძლიერი ისტორიის მქონე ერთან ჭიდილში იგი, უთუოდ, დამარცხდება და განადგურდება. ამავე დროს, ერი, რომელიც საკუთარ ისტორიას ივიწყებს, მსგავს მდგომარეობაშია, მასაც არავითარი პერსპექტივა არ აქვს. იგი ვერც აწმყოში იპოვის საკუთარ ადგილს, რადგან არ იცის, რას დაეყრდნოს “ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადულებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-წამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად”.

ისტორია სახელოვანი გმირების მაგალითებით წვრთნის ერს.

თუ მას მართლა აქვს ერობაზე პრეტენზია, სწორედ ასეთი გმირების ცხოვრების მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს. ილია ქართველებს იმ ერების მიბაძვისკენ მოუწოდებს, სადაც, უპირველეს ყოვლისა, წარსული გააცოცხლეს. ეს არის პირველი ნაბიჯი ერთიანი ნაციის ჩამოყალიბების გზაზე და ამ გზით “ერის კეთილდღეობასა და ხელახლად აღორძინებას დღეს ბევრგან ჩვენის თვალთ ვხედავთ” (ჭავჭავაძე 1984წ: 608-612). ილია არ ასახელებს კონკრეტულ მაგალითებს, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ევროპულ ერ-სახელმწიფოებს გულისხმობს, რომლებიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. მისთვის იდეალი ქართველი ერის მსგავსი მიმართულებით განვითარებაა.

ამ მხრივ, ასევე, ყურადღებას იქცევს ილიას წერილი “საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო”.

ვაჟა-ფშაველა “წერილში რედაქციის მიმართ”, რომელიც ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალებას უკავშირდება, უდიდეს მნიშვნელობა ანიჭებს ბაქრაძის მოღვაწეობას ქართველი ერისათვის;

“ჰგლოვობს ყველა, ვისაც ესმის, რა არის ერი, ერის ისტორია, ეროვნული თვითცნობა... მიზომით მეც ნება უკანასკნელი სალამი მივცე პატიოსანს მოხუცს, გულწრფელს ქართველს, დაულალავს მუშაკს, რომელმაც მკერდხავსიანს საქართველოს წარსულს მოჰფინა ნათელი, რომელმან აღზარდა ჩვენში ეროვნული თავის ცნობა, თავის ვინაობის შეგნება, გაგვიღვიძა იმედი მომავლისა და ჩვენს ფრთებშეკვეცილს ეროვნულს გრძნობას ფრთები შეასხა, განამტკიცა ჩვენს გულში იმედი” (ვაჟა-ფშაველა 1986: 635-636).

წარსულის წარმოჩენა, ისტორიის აღდგენა და მის საფუძველზე აწმყოსა და მომავლის განსაზღვრა მოდერნულ ეპოქაში წარმოქმნილი ნაციონალიზმებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ზემოთგანხილული მოსაზრებები ქართული ნაციონალიზმის მოდერნულ ფენომენად განსაზღვრის მართებულობის სასარგებლო კიდევ ერთ არგუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

იმდროინდელ საქართველოში საზოგადოების ინტელექტუალური

ნაწილის მხრიდან ინტენსიური ღონისძიებები ტარდებოდა მწარმოებელთა და ვაჭართა კლასის ფორმირების მიმართულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა. მან 1874-75 წლები საფრანგეთში გაატარა. იგი ტყიბულის ქვანახშირის ფინანსირების გზებს ეძებდა. აკაკი ბაქრაძის აზრით, ევროპამ ნიკო ნიკოლაძე ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ კერძო საკუთრების არსებობის პირობებში, როცა ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა გამორიცხებულია, კოლონია (რა თქმა უნდა, თუ ამ კოლონიაში ჭკვიანი და საქმიანი ადამიანები ცხოვრობენ) შეიძლება იყოს მეტროპოლიაზე მდიდარიც, კულტურულიც და, თუ გნებავთ, თავისუფალიც კი. ამის მკაფიო მაგალითი აშშ ისტორია იყო. რუსეთის ისტორიაშიც იყო ნიმუში – ფინეთი და პოლონეთი. ერთიცა და მეორეც ბევრად განვითარებული და წინწასული ქვეყანა იყო, ვიდრე თავად რუსეთი. ფინეთიცა და პოლონეთიც იმპერიის საზღვარში მხოლოდ რუსეთის უზარმაზარ სამხედრო ძალას ეჭირა.

ნიკო ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა ტყიბულის ქვანახშირის მწარმოებელთა ამხანაგობა. იგი თავადაც აწარმოებდა ქვანახშირს. იგი ასევე თავკაცობდა ჭიათურის მანგანუმის საქმეს, მოაგვარა გადაზიდვასთან დაკავშირებული პრობლემები და ჭიათურა-შორაპნის სარკინიგზო ტოტიც გაიყვანა.

საყურადღებოა მისი შეხედულება ვაჭრობის შესახებ. ნიკოლაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართული საზოგადოების ვაჭრობისადმი დამოკიდებულების გამო. ქართველებს ვაჭრობა სათაკილო საქმედ მიაჩნიათ და დროა შეიგნონ, რომ “საზიზღარი და სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმობა და მუქთა პურის ჭამაა”. თუ საქართველოს უნდა განვითარებული და წარმატებული ქვეყანა იყოს, ვაჭრობა აუცილებლად უნდა დაფასდეს. შრომაზე, აღებ-მიცემობაზე მცდარი შეხედულება თაობიდან თაობას გადაეცამა, რაც უსაქმურობას და ეკონომიკურ უძლურებას განაპირობებს (ბაქრაძე 1989: 248). ნიკოლაძე საქართველოს განვითარებისთვის უმთავრეს როლს ეკონომიკას და ვაჭრობას ანიჭებდა, სწორედ ეს განასხვავებდა

მას “პირველი დასის” წარმომადგენელთაგან, რომლებიც ილია ჭავჭავაძის გარშემო იყვნენ გაერთიანებული.

ნათელია, რომ საკვლევ პერიოდში, “თერგდალეულები” ცდილობენ იმ ძირითადი თეორიული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რომელიც აუცილებელია ერთიანი ნაციონალური იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისთვის. რთულია იმის თქმა, თუ რამდენად იქნა მიღწეული მიზანი, თუმცა, ისტორიული ფაქტები (რომელთა ნაწილი ზემოთ განვიხილეთ) გვეუბნებიან, რომ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

§ 4. ქართული ნაციონალიზმის ევროპულთან მიმართების პრობლემა

ნაციონალიზმის ფენომენის სრულყოფილად გააზრებისთვის აუცილებელია მისი შედარებითი ანალიზი. კვლევითი პროექტის ფორმატიდან და დროითი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ქართული ნაციონალიზმის სრულფასოვანი შედარება იმ პერიოდში აღმოცენებულ დასავლურ თუ არადასავლურ სახესხვაობებთან. მიუხედავად ამისა, შევეცდებით იმავე ეპოქაში ევროპაში მიმდინარე ტენდენციებთან ზოგადი პარალელების გავლებას. რათა სრულყოფილად აღვიქვათ ქართული ნაციონალიზმის არსი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვინტერესებს თერგდალეულთა შეხედულებების და ქართული ნაციონალური პროექტის იდეური წყაროები, თუ რა საფუძვლებს ემყარებოდა ეროვნული პროგრამა და არა ის, თუ რამდენად გაითავისა ქართულმა საზოგადოებამ ლიდერების მიერ შემოთავაზებული პროექტი. ეს ცალკე კვლევის თემაა და მასზე ყურადღებას ამ ეტაპზე არ გავამახვილებთ. ქვემოთ განხილული ემპირიული მასალაც აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება.

როგორც აღინიშნა, 1861 წელს ილია ჭავჭავაძემ “ცისკრის” აპრილის ნომერში გამოაქვეყნა წერილი “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვის “შემლილის” თარგმანზედა”. ილიას ამ კრიტიკული ხასიათის სტატიის გამოქვეყნებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა “ცისკრის” შემდეგ ნომერებში დაბეჭდილი პუბლიკაციების სახით, რომელსაც ჭავჭავაძემ პასუხი გასცა 1861 წლის მაისში გამოქვეყნებულ წერილში “პასუხი”. აპრილის სტატიაში ილია აღნიშნავდა, რომ კაზლოვის პოეზია მდარე ხარისხისაა და მისი ქართულად თარგმნა არ არის მიზანშეწონილი. პოეტი მდარე ხარისხის ერთ-ერთ მიზეზად კაზლოვის “კარამზინის სხოლის” (კარამზინის სკოლის) წარმომადგენლობას მიიჩნევდა. მოვუსმინოთ, რას ამბობს ილია კარამზინის შესახებ უკვე მაისში გამოქვეყნებულ წერილში “პასუხი”:

“როცა ცრუკლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იზადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმომადგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილლერი; როცა გამოჩნდა გეტე თავის “ვერტერით”, ბერნარდენ დე-სენ-პიერი თავის “პოლ და ვირგინით”, ჟან-ჟაკ რუსო თავის “ელოიზით”, მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუკლასიკურ მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს “ვერტერი”, ვერც “ელოიზა” ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც “პოლ და ვირგინია” ბერნარდენ დე-სენ-პიერისა: ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მამულთა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა, რომლის წარმომადგენელი რუსეთში შეიქმნა კარამზინი. როგორც პოეტიო, კარამზინი უნიჭო იყოვო, ამბობენ რუსები, და მიმართულებითაც სენტიმენტალურის სკოლისა იყო. ამ თვისებების პატრონი არ იქნება თავის დღეში სახელოვანი მწერალი, ეგ დამტკიცებულია ეხლანდელ მიხედვით. რომ სენტიმენტალური მიმართულება არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის ჩვენთვისაც, ამას თქმა აღარ უნდა. მაშასადამე, კარამზინი მაგ მხრით ჩვენთვისაც და რუსებისთვისაც უარგისია; მეც ეგა ვსთქვი ჩემს აპრილის სტატიაში” (ჭავჭავაძე 1981: 58-59).

ფრაგმენტი ილიას წერილიდან აშკარად გვიჩვენებს ავტორის სიმპათიას ახალი ევროპული მიმართულებისადმი, რომელიც თავისთავად მოდერნული ფენომენია და ევროპული ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაზას წარმოადგენს. ილია ასევე მიუთითებს დაპირისპირებაზე, რომელიც ახალ რომანტიკულ და ძველ “ცრუკლასიკურ” მიმართულებებს შორის არსებობდა ევროპაში. ჩვენი აზრით, შესაძლებელია გარკვეული მსგავსების დანახვა ამ დაპირისპირებასა და იმ მოვლენას შორის, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში “თაობათა შორის ბრძოლის” სახელით არის ცნობილი.

საყურადღებოა ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები ნაციონალიზმის

შესახებ, რომლებიც, თანამედროვე ტერმინებით რომ ვისაუბროთ, მკვეთრად პრიმორდიალისტურია. ნიკოლაძის შეხედულებით, ნაციონალიზმი იგივეა, რაც თავდაცვის ინსტინქტი და დამახასიათებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, ისევე როგორც სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, შიმშილი, ძილი და სხვ. ნაციონალიზმის აღმოფხვრა შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია წავშალოთ თმის, თვალების, კანის ფერი, ა.შ. საუკეთესო ნაციონალისტებს არ შეუძლიათ, ნამდვილი ბედნიერება არ შეუქმნან ყველა თანამემამულეს, გერმანიაშიც, ინგლისშიც, თვით მარქსის დროსაც კი, საუკეთესო ნაციონალისტები ცდილობდნენ თავიანთ სამშობლოში ცხოვრების სოციალური პირობების გაუმჯობესებას (ბაქრაძე 1989: 234).

უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. პრიმორდიალური მიდგომა ნაციონალიზმის ეპოქაში მოღვაწე ევროპელი ნაციონალისტებისთვის იყო დამახასიათებელი. ენტონი დ. სმითს განხილული აქვს 1789 წლის დასაწყისში აბატ სიიესის მიერ გამოქვეყნებული პამფლეტი, რომელშიც აბატი თავადაზნაურობისა და კლერიკალების წინააღმდეგ ილაშქრებდა:

“ნაცია ყველაფერზე უწინარესია და ყველაფრის საწყისია. მისი ნება ყოველთვის კანონიერია, რადგან ის თავადაა კანონი... დედამიწაზე არსებული ნაციები, პიროვნებების მსგავსად, ყოველგვარი სოციალური კავშირებისაგან თავისუფალნი, ანუ სხვაგვარად, ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა ჩასახულიყვნენ. მათი ნების განხორციელება ყოველგვარი სამოქალაქო ფორმისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელია. არსებობენ რა მხოლოდ ბუნებრივ წესრიგში, მათი ნება სრული ეფექტისათვის მხოლოდ ნების ბუნებრივ მახასიათებლებს საჭიროებს. როგორც ნაციას სურს, ის საკმარისია იმისათვის, რაც სურს. ყველა ფორმა მისაღებია, და მისი ნება ყოველთვის უზენაესი კანონია”. *ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ* საქმის არსი უფრო მკაფიოდ გადმოსცა: “არსებითად, ნაცია ყოველგვარი სუვერენობის წყაროა: არც ერთ ადამიანს, არც ერთ პიროვნებას არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე

ძალაუფლება, რომელიც ცალსახად მისგან არ მომინარეობს” (სმითი 2004: 74).

XIX საუკუნის დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ მთავარ ლოზუნგს “ღრმა ძილიდან გამოღვიძების” ლოზუნგი წარმოადგენდა, რომელსაც ნაციონალისტები ქადაგებდნენ. ამის გამოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები: “ოჰ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაგღვიძება?!” (ჭავჭავაძე 1959: 11), რომ აღარაფერი ვთქვათ ლოზუნგზე “ძმობა, ერთობა, თავისუფლება”, რომელსაც ასევე ვხვდებით ჭავჭავაძის პოეზიაში, კერძოდ, პოემაში “აჩრდილი”.

უპრიანია აქვე გავიხსენოთ ილია მიერ 1860 წელს დაწერილი ლექსი – “მესმის, მესმის”, რომელიც იტალიელი ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლას მიეძღვნა. ყურადღებას იქცევს ფრაზა: “ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში” (ჭავჭავაძე 1984: 66).

ქართული რომანტიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებისადმი მიძღვნილ თავში ვისაუბრეთ ილია ჭავჭავაძის ლექსზე “ქართველის დედას”, კერძოდ, იმ ფრაგმენტზე, სადაც წარსულზე დარდის შეწყვეტასა და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვაზეა საუბარი. ევროპულ სივრცეში ჩამოყალიბებული ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულება სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის შესახებ კარგად ესადაგება ამ ფრაზას. ავტორი, მართლაც, სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციისაკენ სვლას ქადაგებს.

ამავე კუთხით, საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები, რომლის მიხედვით, ისტორია დიდი გაკვეთილია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხალხმა წარსულით უნდა იცხოვროს. ეს შეუძლებელი და დამღუპველია. ცხოვრება მხოლოდ მომავალზე ფიქრით, მომავლისთვის შრომით არის შესაძლებელი. მომავალზე ზრუნავს ის, ვინც აწმყოს შეცვლასა და გაუმჯობესებაზე ფიქრობს. ნ. ნიკოლაძე მოუწოდებს საზოგადოების ლიდერებს, ხალხსაც ჩაუნერგონ ის იმედი და მომავლის რწმენა, რომელიც მათ აქვთ. მისი სიტყვით, ბედნიერებას იმსახურებს ის ხალხი, ვინც მომავალზე ფიქრობს, ხოლო

ის, ვინც მხოლოდ წარსულით ცხოვრობს, სამარეს ითხრის.

სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციისაკენ სვლის აუცილებლობა ნათლად ჩანს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. საინტერესოა აკაკი ბაქრაძის მოსაზრება ვაჟას პოეზიაში ტერმინ “მეომრის” არსთან დაკავშირებით. ბაქრაძის აზრით, *მეომარი* ვაჟას ლექსიკაში არ ნიშნავს მხოლოდ იარაღით მებრძოლს, მას სხვა შინაარსიც აქვს. მეომარია იგი, ვინც ახლის შესაქმნელად იბრძვის, ვინც დამყარებულ სინამდვილეს ანგრევს (ბაქრაძე 1990: 184-185). მიუხედავად ხორციელი დამარცხებისა და ტრაგიკულობისა, ჯოყოლაც, ალუდაც, მინდიაც მკითხველს იმედიტა და რწმენით ავსებენ. მათი სულიერი გამარჯვება იმის მაუწყებელია, რომ დგება მომენტი, როცა პიროვნების ამბოხება, თუნდაც მარცხით დამთავრებული, იწყებს საზოგადოების გარდაქმნას, მის ამაღლებას. ჯოყოლას, ალუდას, მინდიას მოვლინების მერე საზოგადოება აუცილებლად იცვლება, თუმცა ეს გარეგნულად შეიძლება არც შეიმჩნეოდეს. ხდება შინაგანი განწმენდა.

წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია ცნობილი გერმანელი სოციოლოგისა და ისტორიკოსის მაქს ვებერის მოსაზრებები, რომლებიც გადმოცემულია ნაშრომში “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება”. იგი, სხვა ავტორების მსგავსად, განასხვავებს “ტრადიციულ” და “მოდერნისტულ” საზოგადოებებს. ნაშრომში განხილულია დასავლურ საზოგადოებათა თავისებურებები. ვებერმა წარმოაჩინა ურღვევი კავშირი რელიგიურსა და მატერიალურს შორის, რელიგიური დოქტრინების მიმართება შრომით ეთიკასთან. ადამიანი საერო ცხოვრებაში სრულად ახდენს თვითრეალიზაციას (ყურადღება, ძირითადად, პროტესტანტულ სამყაროზეა გამახვილებული).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართული ლიტერატურული ნიმუშები, ამ თვალსაზრისით, საყურადღებო მაგალითებს იძლევა. ილია ჭავჭავაძის პოემაში “განდეგილი” სწორედ განდეგილობა და ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფაა დაგმობილი. ავტორი საზოგადოებას საერო ცხოვრებაში თვითრეალიზაციისაკენ

მოუწოდებს (ჭავჭავაძე 1959: 40).

ყურადღებას იქცევს ილიას ცნობილი ლექსი “პოეტი”. ლექსში სულიერი და მატერიალური ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. ავტორი საკუთარ საერო საქმიანობას არათუ უპირისპირებს რელიგიას, არამედ პირიქით, საზოგადოებრივ აქტიურობას და ნაციონალიზმის გაღვივებაზე ზრუნვას “ღმერთთან კავშირით” ხსნის:

“მისთვის არ ვმდერ, რომ ვიმდერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი – ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა”

(ჭავჭავაძე 1959: 24).

ასევე საინტერესოა აკაკი წერეთლის პოემა “თორნიკე ერისთავი”, სადაც, კათალიკოსსა და თორნიკეს შორის საუბრისას, მსგავსი სახის მოწოდება ჟღერს:

“ნუთუ შენ მართლა რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელთაგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?”

(წერეთელი 1980: 320)

ან:

“საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიური კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული”.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მოწოდება კათალიკოსის ბაგეთაგან წარმოითქმის. იგი ბერად აღკვეცილ ადამიანს აქტიური საერო საქმიანობისაკენ მოუწოდებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული დოდო ჭუმბურიძეს: მისი აზრით, XIX საუკუნე იყო ის “ახალი დრო”, რომელიც დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით, ახალი ღირებულებებისა და სულიერი ფასეულობების დამკვიდრებით. რწმენისათვის თავგანწირვის იდეას, რაც ძველ დროში ასე დამახასიათებელი იყო ქართველისათვის, ახალ სინამდვილეში ჩაენაცვლა სამშობლოსათვის თავდადების იდეა. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ ზოგადად, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ფონზე, შესუსტდა თეისტური აზროვნება და ამან ქართველ ინტელიგენციაშიც იჩინა თავი. მეორეც, ქართველი ხალხისათვის ძირითადი გახდა სამშობლოს დაბრუნებისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და კოლონიური უღლის გადაგდებისათვის ბრძოლა. სამშობლო – ღმერთი სინონიმებად იქცა. სიტყვები საყოველთაოდ ცნობილი ლექსიდან ამის დასტურია: “ჩემი ხატია სამშობლო” (ჭუმბურიძე 2002: 82-83).

პატრიოტიზმი, როგორც რელიგიური ნაირსახეობა, ტრადიციულ-ხალხური რწმენა-წარმოდგენებისგან მომდინარეობს, რომელიც კონკრეტული პიროვნებების მიერ იმ მოძღვრებად გარდაიქმნება, რამაც ხალხთა ახალი ერთობა – ერი, ნაცია უნდა შეაკავშიროს, მის ამგვარ მთლიანობას ერთად ყოფნის საზრისი მისცეს და საერთო მიზნები დაუსახოს. ასეთი “სტილიზაციის” შემდეგ იგი ისევ ხალხს უბრუნდება და თაყვანისცემისა და მორჩილების ახალი უზენაესი იდეალის – სამშობლოს ირგვლივ აერთიანებს. “სამშობლო” ამ რელიგიურ ნაირსახეობაში იმ ადგილს იკავებს, რომელიც მონოთეისტურ რელიგიებში ღმერთს უკავია. იგია ის ხატი, რომელსაც ყველა სხვა ხატი და სიწმინდე უნდა დაექვემდებაროს და რომელიც ამ სარწმუნოების სახეს და ხასიათს განსაზღვრავს (მაისურაძე 2009: 90)

საერო ცხოვრებისადმი და შრომისადმი საკრალური

დამოკიდებულება დამახასიათებელია ვაჟას პოეზიისათვის. ამ ფაქტს აკაკი ბაქრაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ადამიანის ვაჟასეულ კონცეფციაში შრომას გამორჩეული ადგილი უჭირავს. შრომა საამაყო და ღვთის საამო საქმეა. ამ კუთხით, საყურადღებოა ვაჟას ლექსი “გლეხის სიმღერა”:

“ღმერთმა დამბადა მუშადა,
იმან მიკურთხა მარჯვენა,
უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო
და გამოვკვებო ქვეყანა”

(ვაჟა-ფშაველა 1992, ტომი I: 54).

შრომა ამკვიდრებს ადამიანის სულში ჰარმონიას, სიმშვიდეს, იმედს. იგი უზენაესთან კავშირის გზაც არის, “რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე”. ადამიანის მუშა მარჯვენა და უფლის წყალობა აგვირგვინებს შრომას (ბაქრაძე 1990: 185). ასევე საინტერესოა ლექსი “ჯეჯილი”:

“გლეხის მარჯვენის ნაღვაწო
და გლეხის ოფლით მორწყულო,
ჯეჯილო ნაჭარმაგევო,
უფლის წყალობით მოსულო”

(ვაჟა-ფშაველა 1992 ,ტომი I: 70).

როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, ვაჟას შემოქმედებაში შრომა უშუალოდ უკავშირდება სამშობლოს სიყვარულს. ვაჟასთვის სამშობლოს სიყვარული სიტყვით არ შეიძლება. “დაგვეხმო ყურთა სმენანი: სისხლის დაღვრასთან სწორად გვჩანს ქალაღდს ნათითხნი მელანი” (ვაჟა-ფშაველა 1992, ტომი I: 202). სამშობლოს სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ მის საკეთილდღეოდ შრომით. შრომის საკრალურობასთან და საერო ცხოვრებაში თვითრეალიზაციასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა ვაჟას ლექსები: “გუთნისდედის

სიმღერა”, “საახალწლო”.

ენტონი დ. სმითი მიუთითებს ნაციონალიზმის საყოველთაო გავლენაზე, რომელიც აქვს მას სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანზე. “ყოველივე ეს ცხადყოფს მის უნარს აღანთოს ხალხი, გამოძახილი ჰქონდეს მათში და ისინი იმგვარად გარემოიცვას, როგორც ეს ადრე მხოლოდ რელიგიას შეეძლო. ეს მიუთითებს ნაციონალიზმის ენასა და იდეოლოგიაში სიმბოლური ელემენტების როლის, ნაციისა და მის მიმართ განხორციელებული ქმედებების შესახებ დისკურსის მორალური, რიტუალური და ემოციური ასპექტებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებლობას” (სმითი 2004: 23).

ადრეულ ქართულ ნაციონალიზმთან მიმართებაში, საყოველთაო ვაჟა-ფშაველას წერილი “პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი”. შეიძლება ითქვას, რომ ეს სტატია მკვეთრად “ნაციონალისტურია”, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ოდნავადაც არ გმობს კოსმოპოლიტიზმს. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა ვაჟას მოსაზრებების ნაციონალიზმის ჭრილში განხილვა. იგი არ იზიარებს თვალსაზრისს, რომ პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი არის პატრიოტი. ადამიანი, რომელიც საკუთარ ერს ემსახურება, მის კითხვასა და განვითარებაში წვლილის შეტანას ცდილობს, ხელს უწყობს კაცობრიობის განვითარებას, რადგან ერის წიაღში შობილი საუკეთესო ადამიანები კაცობრიობას დიდ სამსახურს უწევენ. როგორც ერის განვითარებისთვის არიან მნიშვნელოვანი ცალკეული პიროვნებები, ასევე კონკრეტულ ერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ კაცობრიობისთვის. “ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურობა უნდა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში” (ვაჟა ფშაველა 1986: 680).

ყოველი ღირსეული ადამიანი საკუთარ ქვეყანას უანგაროდ უნდა ემსახუროს. რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა და სასარგებლო გამოდგება საკუთარი ქვეყნისთვის, იმდენად

სასარგებლო იქნება იგი მთელი კაცობრიობისთვის. ვაჟა ცალკეული პიროვნებების მაგალითებსაც ასახელებს:

“ედისონი ამერიკელია, ამერიკაში მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამომძეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად” (ვაჟა ფშაველა 1986: 680).

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა და განადიდა იმდენად, რომ ისინი სხვა ერებმაც მიიღეს საკუთარ შვილებად. როგორც ვაჟა ამბობს, გენიოსებმა სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებები უფრო შესაფერისია ეროვნული ნიადაგისათვის. “ჰამლეტით”, “მეფე ლირით” ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დატკბება ისე, მით უფრო თარგმანით, როგორც ინგლისელი, რომელიც ორიგინალურ ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებებს. “ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება “ვეფხისტყაოსნით” და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდაც კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი?” გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, ხოლო მის ნაწარმოებს - არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, ისევე როგორც მეცნიერება.

როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. თუ ყველა ერთი განვითარდება ისე, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავკარგი, თუ მოისპობა დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა, მაშინ მოისპობა ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

“პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს

ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგალითად არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერის, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად. ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც ესაუბრება. ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განსხვავებული კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავის სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია”.

ვაჟა ბუნებრივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ადამიანს საკუთარი ერი სხვა ერებზე მეტად უყვარს. ის ერთ კონკრეტულ ადგილას იბადება და ეს თავისთავად ასეც უნდა იყოს. და ვინც ამბობს, რომ ყველა ერი ერთნაირად უყვარს, თვალთმაქცობს. პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის, ადამიანის კეთილგონიერების ნაყოფია, მას გულთან საქმე არა აქვს. ვაჟა დეტალურად განმარტავს, თუ რა არის კოსმოპოლიტიზმი. საჭიროდ მივიჩნევთ, მისი შეხედულება უცვლელად გადმოგვცეთ. კოსმოპოლიტიზმი “საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს. ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გპუღს

სხვა ერები და ნუ გზურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი. იგი, თავისავე შეუმჩნეველად, დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა კაცობრიობის განვითარებისა” (ვაჟა ფშაველა 1986: 679-683).

ნათელია, რომ ნაციონალიზმის ვაჟასეული გაგება შორს დგას რადიკალიზმისგან. იგი, ისევე როგორც “თერგდალეულთა” დიდი ნაწილი, არ იზიარებდა საკუთარი ერის უპირატესობის იდეოლოგიას და არ იყო დაკავებული ქართველთა განსაკუთრებულობის მტკიცებით. ეს ნიშანდობლივი ფაქტია, რადგან შემდგომში ქართულმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და მოგვიანებით განსხვავებული, რადიკალური ფორმით წარმოგვიდგა (ამ შემთხვევაში XX საუკუნის 80-90-იანი წლებს ვგულისხმობთ), სადაც ქართველთა გამორჩეულობის და განსაკუთრებულობის იდეას ძირითადი ადგილი ეკავა. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნაციონალიზმის დინამიკის კვლევის აუცილებლობას, რადგან მასზე დიდ გავლენას ახდეს გარემოს, პოლიტიკური სიტუაციის ცვლილება, გარე თუ შიდა ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნაციონალისტური იდეოლოგიის სხვადასხვა სახე (რელიგიური, სეკულარული, კონსერვატული, რადიკალური, იმპერიული, სეცესიური და ა.შ.) და თითოეული მათგანი ანალიზს მოითხოვს, ისინი მაინც ავლენენ საერთო საბაზისო ელემენტებს და ერთსა და იგივე ნიშანს: ეს არის განსაკუთრებული

სწრაფვა ნაციადყოფნისკენ. ერთ-ერთ ასეთ ელემენტს წამოადგენს ნაციონალიზმის ბაზისური მტკიცებულებანი, ესენია:

1. მსოფლიო იყოფა ნაციებად, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ხასიათი, ისტორია და ბედისწერა აქვს;
2. ძალაუფლების ერთადერთ წყაროს ნაცია წარმოადგენს;
3. ნაციისადმი ლოიალობა ყველა სხვა ლოიალობაზე უპირატესია;
4. იმისათვის, რომ თავისუფალი იყოს, ყოველი ინდივიდი ნაციას უნდა ეკუთვნოდეს;
5. ყოველი ნაციისათვის აუცილებელია სრული თვითგამოხატვა და ავტონომიურობა;
6. გლობალური მშვიდობა და სამართლიანობა ავტონომიური ნაციებისაგან შედგენილ მსოფლიოს საჭიროებს (სმითი 2004: 47).

ამას შეიძლება ნაციონალიზმის “ბირთვი-დოქტრინა” ვუწოდოთ. იგი სამყაროს ნაციონალისტური ხედვის ბაზისურ ჩარჩოს წარმოადგენს და “დამფუძნებელ მამათა” – რუსოს, ჰერდერის, ციმერმანის, ბურკეს, ჯეფერსონის, ფიხტეს და მაზინის – და მათ მიმდევართა შეხედულებების მთავარი ელემენტების ნაკრებს წარმოადგენს. ბირთვი-დოქტრინა ლოგიკურ საფუძველს უქმნის და იმპულსს ანიჭებს სხვადასხვა სახის ნაციონალისტურ ქმედებებს და ნაციის იდეის გამოსახვისთვის საჭირო სიმბოლოებსა და ინსტიტუციებს. იგი მოიცავს არა მარტო პოლიტიკის, არამედ საზოგადოებისა და კულტურის სფეროებსაც. მასში ჩართულია როგორც ცალკეული ნაციების კულტურული პარტიკულარიზმი, ასევე “ნაციათა მსოფლიოს” უნივერსალური ხედვა.

უნდა ითქვას, რომ ვაჟა თითქმის სრულად “იზიარებს” ნაციონალიზმის საბაზისო მტკიცებულებებს. ნაციონალიზმის პირველ საბაზისო მტკიცებულებას, რომლის მიხედვით, მსოფლიო იყოფა ნაციებად და თითოეულ მათგანს საკუთარი ისტორია, ხასიათი და ბედისწერა აქვს, სრულად ეთანხმება ნიკო ნიკოლაძეც, რომლის სიტყვით, ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ სასარგებლო იყოს, ან მარტო მავნებელი. ყოველი

ძალა, როგორც ყოველი საგანი, ზოგჯერ სასარგებლოა კაცისათვის და ზოგჯერ - მავნებელი. მრავალფეროვან სამყაროში, სადაც ნაირნაირი რასები, ხალხები, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემები, ურთიერთდამოკიდებულებანი, ინტერესები, ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებანი, წარსული ტრადიციები, გეოგრაფიული გარემო, ტემპერამენტი, თვისება, ბუნება არსებობს, ყოვლად შეუძლებელია რაიმე ერთი მოძღვრება, რაგინდ ჭკვიანური არ უნდა იყოს იგი, ყველას თანაბრად გამოადგეს. როგორც ჭკვიანი ადამიანი ირჩევს ტანსაცმელს, რომელიც მოერგება და მოუხდება, საკუთარი აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. მისთვის საჭირო იდეოლოგია ერმა თვითონვე უნდა შექმნას, ან, თუ რომელიმე უკვე ჩამოყალიბებული მოძღვრების გადმოტანა სურს, მისთვის შესაფერისი უნდა აარჩიოს.

“ყველა ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს, შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაკვა დაახურო, ქალამნის მაგიერ – წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება... და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს..., მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაახდენ და ქვეყანას ავნებ...” (ნიკოლაძე 1997: 112).

ნაციონალიზმის პირველ საბაზისო მტკიცებულებასთან ასევე დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძის მიერ “ქვათა ღაღადში” გამოთქმული აზრი. ილია ყველა გონიერ ადამიანს საკუთარი ნაციის პატივისცემისკენ მოუწოდებს, მისი ავად ხსენება დაუშვებელია. “ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრყევეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა” (ჭავჭავაძე 1984: 716).

განხილულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია

ვივარაუდოთ, რომ ადრეული ქართული ნაციონალური პროექტი მოიცავს ევროპული ნაციონალისტური იდეოლოგიის ძირითად ტენდენციებს, რომელიც თითქმის იმავე პერიოდში ვითარდებოდა. “თერგდალეულები” (განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე) ეხმაურებოდნენ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას იმ ეპოქის ევროპაში, კარგად იცნობდნენ დასავლური საზოგადოებრივი აზრის განვითარების ძირითად მიმართულებებს და ცდილობდნენ, შეექმნათნიადაგისაქართველოსსაზოგადოების იმავე მიმართულებით სვლისათვის.

დასკვნა

XIX საუკუნე არადასავლურ (ან ნაკლებადდასავლურ) ნაზოგადოებებში ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ხანაა. ეს პერიოდი სამეცნიერო ლიტერატურაში “ნაციონალიზმის ეპოქის” სახელით მოიხსენიება.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ჰარი ტრიანდისი ნაციონალიზმის ერთ-ერთ წყაროდ სახელმწიფოებრივ სივრცეში კულტურულ არაინტეგრირებულობას მიიჩნევს. ამის მაგალითად მას ბასკური ნაციონალიზმი მოჰყავს. ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქართული ნაციონალიზმის ერთ-ერთი წყარო იმპერიულ სივრცეში კულტურული არაინტეგრირებულობა გახლდათ. ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები სწორედ ამ ეპოქაში უნდა ვეძებოთ. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია მათი მოძიებისა და სისტემატიზაციისათვის საინტერესო ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს თეორია დასავლურ სამეცნიერო წრეებში ჩამოყალიბდა და მისი გამოყენება ქართული სინამდვილის გასააზრებლად ჯერ არ მომხდარა. თუმცა თანამედროვე ქართულ სამეცნიერო წრეებში შეიმჩნევა ამ საკითხებით დაინტერესება. ზაზა შათირიშვილის აზრით, “ნაციონალური კულტურა საქართველოში “თერგდალეულებიდან” იწყება”, მისი ძირითადი სუბიექტი კი ქართველი ერია. “სწორედ ამ კუთხით უნდა წავიკითხოთ ილიას ცნობილი გამონათქვამი, რომლის თანახმადაც, “ქართლის ცხოვრება” – მეფეთა ისტორიაა და რომ ხალხი აქ არსად ჩანს” (შათირიშვილი 2005: 192). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ზურაბ დავითაშვილი, რომელიც თვლის, რომ ქართული ნაციონალიზმის ისტორია XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან იწყება და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის და სხვა თერგდალეულების სახელებთანაა დაკავშირებული (დავითაშვილი 2003: 388). აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებს მარიამ ჩხარტიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ქართული მოდერნული ნაცია XIX საუკუნეში წარმოიშვა, რაც მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მათ შორის, ეკონომიკური და პოლიტიკური

ჰომოგენიზაციით, რუსული იმპერიალისტური ზეწოლით, ევროპაში ნაციების წარმოშობის პროცესით, ახალი ტიპის მედია საშუალებების – ბეჭდური მედიის განვითარებით და ა.შ. სწორედ ამ დროს ტერმინი *ქართველი* იძენს კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობის წევრის აღმნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობას. ჩხარტიშვილი ილია ჭავჭავაძეს ქართული ნაციონალიზმის არქიტექტორს და “ნაციის დამფუძნებელ მამას უწოდებს”, რომელიც ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ეს სიტყვა გამოყენებული არ ყოფილიყო მხოლოდ რეგიონალური იდენტობის აზრით, ანუ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – ქართლის – მაცხოვრებლის მნიშვნელობით, არამედ ქონდა ზოგადი ეთნონაციონალური გაგება. ამავე დროს, XIX საუკუნეში შუა საუკუნეებში კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე წარმოქმნილ ტერმინს “ნათესავი” ჩაენაცვლა სიტყვა “ერი”. ამ უკანასკნელს დღეს ევროპული ნაციის შესატყვისად იყენებენ საქართველოში, რაც, არსებითად, ილია ჭავჭავაძიდან მომდინარეობს. ცნობილია, რომ მან ე. რენანის ცნობილი ნაშრომის სათაური “რა არის ნაცია?” ქართულად თარგმნა როგორც “რა არის ერი?” (ჩხარტიშვილი 2009: 36-37).

და მაინც, საკითხი საფუძვლიანად გამოკვლეული აქამდე არ ყოფილა. მოდერნისტული თეორიის ავტორები დეტალურად განიხილავენ არადასავლურ საზოგადოებებს, თუმცა მათ თითქმის არაფერი აქვთ ნათქვამი საქართველოს შესახებ, რომელიც კარგი საილუსტრაციო მასალაა აღნიშნული თეორიისათვის. ამას, ალბათ, ობიექტური მიზეზები აქვს. იმ პერიოდში როდესაც ნაციონალიზმის თეორიული მიმდინარეობები ყალიბდებოდა, საქართველოს შესახებ დამაკმაყოფილებელი ინფორმაციის მიღება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ნაციონალიზმის შესწავლა უადრესად აქტუალური გახდა, აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება აუცილებელია.

წარმოდგენილ კვლევას, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. ჩვენი მხოლოდ ზოგიერთი

ბუნდოვანი საკითხის უკეთ გააზრება ვცადეთ, ამასთან, ყურადღება გავამახვილეთ მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემებზე.

ინგლისელი მეცნიერი ჯონ ბროილი⁴ თვლის, რომ ნაციონალიზმის ყოველი შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. თუმცა, ეს არათუ გამოირიცხავს ნაციონალიზმის გარკვეული ტიპოლოგიზაციის შესაძლებლობას, არამედ პირიქით - აუცილებელია ნაციონალიზმის კონკრეტული შემთხვევების დაჯგუფება გარკვეული საერთო ნიშნების მიხედვით და შემდეგ მათი ცალ-ცალკე შესწავლა. რასაკვირველია, ქართული ნაციონალიზმიც ინდივიდუალური ხასიათისაა, თუმცა, ცალკეული ნიშნების მიხედვით, იგი ევროპულ ნაციონალიზმთან მკაფიო მსგავსებას ამჟღავნებს და ამ კუთხით მისი კვლევა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ქართული ნაციონალიზმის ტიპოლოგიური რაობის დადგენისათვის.

ნაშრომში განხილული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, საკვლევი პერიოდის ქართული სინამდვილის საინტერესო სურათი იკვეთება. ვფიქრობთ, მუშაობის გაგრძელება და საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის ჩვენთვის საინტერესო კუთხით შესწავლა ღირებულ შედეგს მოიტანს და დასკვნების ნათლად ჩამოყალიბების შესაძლებლობას მოგვცემს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის კვლევისათვის საჭირო მასალა დიდი რაოდენობით არსებობს. საჭიროა მისი სისტემატიზაცია და ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიების ჭრილში განხილვა. ჩვენი აზრით, ქართულ ნაციონალიზმს საფუძველი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეყრება. ამ პერიოდის საქართველოს ისტორია და ქართველ მოღვაწეთა ნააზრევი, ჩვენთვის საინტერესო კუთხით, თითქმის შეუსწავლელია, რაც კვლევის აუცილებლობას განაპირობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული ნაციონალიზმის არსის ასახსნელად, ყველაზე უკეთ, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის გამოყენება შეიძლება, თუმცა კვლევის პროცესში შესაძლებელია თეორიის

⁴ ზოგან მისი გვარი მოხსენიებულია *ბრილის* ფორმით.

რეკონსტრუირება ან სხვა თეორიასთან სინთეზირება, მიღებული შედეგების უკეთ გააზრების მიზნით.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ, ყურადღება გაგვემახვილებინა “თერგდალეულთა” მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტის ძირითად ასპექტებზე, ამ პროექტს კულტურულ საფუძვლებსა და მისი პრაქტიკული განხორციელების მცდელობებზე. ვფიქრობთ, რომ მიზანი მეტ-ნაკლებად მიღწეულია და მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნა ადრეული ქართული ნაციონალიზმის არსზე, თუმცა, ასევე აშკარაა შემდგომი კვლევის აუცილებლობა.

კვლევის გაგრძელების და უფრო ფართოდ გაშლის შემთხვევაში, მისი სავარაუდო შედეგი იქნება ქართული ნაციონალიზმის ტიპოლოგიური რაობის გარკვევა. საქართველოს ისტორიის კონკრეტული პერიოდის ანალიზისათვის გამოყენებული იქნება თანამედროვე თეორიული მიდგომები, რაც ფაქტობრივი მასალის გააზრების საშუალებას მოგვცემს. შესაბამისად, შესაძლებელია კვლევამ მეთოდოლოგიის კუთხითაც მოიტანოს ღირებული შედეგი. ასევე გააზრებული იქნება ქართული კულტურის ცალკეული ასპექტები, რადგან ჩვენი ინტერესის საგანს ქართული ნაციონალიზმის კულტურული საფუძვლები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, კვლევის შედეგი გარკვეულ ღირებულებას ქართული კულტურის ტიპოლოგიური რაობის დადგენისთვისაც წარმოადგენდეს.

Summary

Nationalism Studies is the topical direction of the contemporary humanities and social sciences. Correspondingly, a clear-cut understanding of its origin and development is rather essential and interesting. An interest in the problems of nationalism has significantly increased lately. The opinion holding that the epoch of nationalism is gradually becoming a thing of the past and finds no place in the era of globalization has proved to be groundless. Beginning from the 80s of the 20th century, nationalism has shown its real worth. Proceeding from the above, this problem should be fundamentally studied. Modern forms of nationalism precondition to a great extent the social or political status of the contemporary world. In this respect, much is to be studied and reconsidered in a different sense in Georgia. Investigation in the context of nationalism of the well-known and analyzed events within history, literary criticism or other fields of science by using novel methodological approaches might lead us to interesting results, especially in terms of the empirical material contextualization.

A comprehensive study of the problem may be carried out within any one discipline. It, by its essence, belongs to the number of interdisciplinary problems and is very wide and complex to be studied within a specific field. The complex nature of the phenomenon of nationalism conditions and requires a plentitude of diverse scientific disciplines for its study. Sociology, history, philology, linguistics, psychology, geography – this is an incomplete list of the subjects/fields which application would be advisable for a fundamental study of nationalism. The well-known English scholar Anthony D. Smith among the disciplines necessary for studying of nationalism also names political sciences, international relations, anthropology. These disciplines provide us with proper tools and a conceptual framework to find out ‘who we are’, ‘when we originated’, ‘how we were growing’ and ‘where we are going’. We should treat nationalism as a multi-sided global phenomenon and recognize the necessity of studying each of its sides in order to comprehend it.

From late nineteenth century to the present, the study of nationalism

has been marked by deep ambivalence and intractable ambiguity. On the one side, nationalism has been associated with militarism, war, irrationalism, chauvinism, intolerance, homogenization, forced assimilation, xenophobia, ethnocentrism, ethnic cleansing, even genocide. On the other side, nationhood and nationalism have been linked to democracy, self-determination, political legitimacy, social integration, solidarity, dignity, identity, citizenship etc. As Rogers Brubaker says, how people have evaluated nationalism has depended on what they have understood it to be. This conceptual ambiguity has engendered innumerable attempts at classification. The most well-known distinctions are voluntaristic and organic, political and cultural, liberal and illiberal etc. Among prevalent distinctions in the scientific circles, the one with the greatest resonance today is civic and ethnic understanding of nationhood and nationalism. This has been used to suggest that there are, fundamentally, only two kinds of nationalism: civic nationalism, characterized as liberal, voluntarist, inclusive and ethnic nationalism glossed as illiberal, particularist and exclusive.

Comprehensive investigation of the past in the context of nationalism studies is essential for future development of our country. Georgia is multiethnic country, thus national policy is in the tight relations with state-building interests.

In the last century, under conditions of the Soviet ideology, the conduct of such studies was practically impossible which, it may be said, was conditioned by objective reasons. As the historian Mariam Chkhartishvili notes, today, the use of Marxism is no longer a fatal necessity for Georgian historians. If desired, they can look for an alternative to this methodology. Notwithstanding the collapse of Marxism (more exactly of its Soviet variant), the current western trends are practically unused, and the Georgian studies of historic nature still lack the theoretical basis, or, if we refer again to M. Chkhartishvili's views, a large part of Georgian researchers involuntarily remains in captivity of Marxism. The scholar, I think, quite justifiably speaks of the methodological problems: "despite the availability of many researches and conclusions of a specific nature, they, as a rule, lack the proper contex-

tualization; the general sociological relations and dimensions of the obtained facts are not fixed and there is no methodological conception, no theoretical framework of a historic and cultural reconstruction. For this reason, the Georgian history facts fail to be reflected in the history of mankind.” The researcher cites as a graphic example of the above the book ‘Nationalism: Theory, Ideology, History’ by Anthony D. Smith. We can also refer to the fundamental works of Benedict Anderson, Ernest Gellner and of other authors concerning nationalism where, in spite of the voluminous factual material, no mention of Georgia is made.

This work presents an attempt to investigate nationalism in one of the most important periods in the history of Georgia, which is based on popular theoretical paradigms in the western scientific circles. As it has been mentioned, at the present stage of science development, an up to date analysis of the interesting to us period in Georgian history deserves particular interests. In relation to the national movement of the 19th century, the Modernist Theory of nationalism seems to be one of the proper means in achieving this purpose.

Possibly, the opinions established in the work are excessively determined by a specific theoretical construction, although a researcher interested in the given matter needs a clear-cut theoretical basis in order to be able to orient in a vast empirical material. It is to be said here that the research presents one of the types of a specific case study accepted in the scientific community, in particular, a theoretical paradigm-based study.

A cultural non-integration into the state domain is deemed to be one of the sources of nationalism. An example of this is Basque nationalism. I think that one of sources of Georgian nationalism of the period interesting to us is its cultural non-integration into the imperial domain. Cultural bases of Georgian nationalism should be traced right in that epoch. The Modernist Theory of nationalism represents an interesting tool in terms of their (cultural bases) retrieval and systematization. This theory was established in western academic circles and never has been used to comprehend and assess the Georgian reality, although, a certain interest in the issues in the modern

Georgian academic circles is also observable. Articles by Zaza Shatirishvili can be cited as an example. According to him, “The national culture in Georgia takes its origin from the ‘Tergdaleulis’ (the young Georgian intellectuals who had drunk from the River Terek (Tergi), i.e. crossed the Terek and gone for their education to Russia)”, its main subject being the Georgian nation. It is exactly how the well-known statement by Ilia Chavchavadze should be treated, according to which, “Kartlis Tskhverba’ is a history of kings and not of the people/nation”. Approximately the like opinions are expressed by Zurab Davitashvili, who thinks that the history of Georgian nationalism begins from the 60s-70s of the 19th century and is primarily associated with Ilia Chavchavadze and the names of other ‘Tergdaleulis’. Opinions of the above authors are also shared by Mariam Chkhartishvili. She believes that the modern Georgian nation was established in the 19th century, which was conditioned by numerous factors, including the economic and political homogenization, the Russian imperialistic pressure, the process of formation of nations in Europe, the development of new communication means – printing media, etc. Nationalism had also formed in non-western (or less western) societies. This period is known in the scientific literature as the “nationalism epoch”. The scientific literary sources also mention the facts of certain “attacks” of the Armenian nationalism on the Armenian Church being at the height of its fame for centuries. The concept “Armenian faith” is substituted to a certain extent with the concept “Armenian nation”.

And still, the matter has not been fundamentally studied up to this day. Despite the fact that the authors of the Modernist Theory discuss in detail non-western societies, they say almost nothing about Georgia, which is a rather good illustration for that theory. This has, presumably, its objective reasons. In the period, when the theoretical trends of nationalism were being formed, the obtaining of worthy information about Georgia was practically impossible. In the modern epoch, when nationalism studies have become very topical, the said shortcoming needs to be removed.

The presented study, as mentioned in the beginning, does not have pretensions of perfection. In our opinion, it will make possible to better under-

stand some vague matters. We have attempted to focus on the problems of the methodological nature in relation to the studies of historical nature in general, rather than only in connection with the specific historical epoch presented here.

Each case of nationalism is strictly individual, although it does not exclude the possibility of its certain typology. Just the reverse, it is necessary that specific cases of nationalism be grouped according to a definite common trait and then be individually studied. Of course, Georgian nationalism has an individual character, although, judging by separate traits, it has much in common with European nationalism, and its investigation from this standpoint would be rather founded and justified, first of all for establishing the typological nature of Georgian nationalism. These factors do not, of course, give ground to draw such a daring conclusion as is the civilization belonging of Georgian culture, although they enable to conclude on individual aspects of the culture.

An interesting picture of the Georgian reality during the research period is painted on the basis of the facts considered in the work. I think that the continuation of the work and the investigation of the said period of Georgian history from the interesting to us standpoint will bring forth a worthy outcome and make and give us a possibility of a clear-cut drawing of worthy conclusions. It should be mentioned that the material to study the problem is abundant. It, however, needs to be systematized and reviewed in the context of modern theories. We believe that Georgian nationalism laid its foundation in the 60s of the 19th century. Georgian history of that period and the thinking of the then Georgian public figures are practically unstudied, which in itself preconditions the necessity of such a study.

It may be concluded that the most suitable tool to explain the essence of Georgian nationalism of the 60s of the 19th century would be the use of the Modernist Theory of nationalism, although, in the course of the study, there is the possibility for the theory to be restructured or synthesized with another theory to ensure more objectivity.

In case the study is continued and extended, its probable outcome will

be the establishment of its typological essence. The said outcome should be accomplished on the basis of an analysis of the specific period of Georgian history. Up-to-date theoretical approaches will be used during the analysis, enabling to treat the facts from a different standpoint. Accordingly, the study might yield worthy results in terms of the methodology as well. Also certain aspects of the Georgian culture will be analyzed, as the cultural bases of the Georgian nationalism constitute the subject of our interest. Proceeding from the above, the study results may also present a definite value in determining the typological nature of Georgian culture.

ბიბლიოგრაფია

- ანდერსონი, ბ. *წარმოსახვითი საზოგადოებანი*. თბილისი, 2003.
- ბარამიძე, ა. *ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან*. თბილისი, 1979.
- ბაქრაძე, ა. *ილია ჭავჭავაძე*. თბილისი, 2006.
- ბაქრაძე, ა. *ნიკო ნიკოლაძე*. თბილისი, 1989.
- ბაქრაძე, ა. “ვაჟას მრწამსი”. *რწმენა*. თბილისი, 1990.
- ბენდიანიშვილი, ალ. *საქართველოს ისტორია 1801-1921*. თბილისი, 1999.
- ბერკი, პ. *ისტორია და სოციალური თეორია*. თბილისი, 2002.
- ბერძენიშვილი, ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები*. წიგნი I. თბილისი, 1964
- გაფრინდაშვილი, მ. *ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ სოციალიასტურ მსოფლმხედველობაში*. თბილისი, 1987.
- გელნერი, ე. *ერები და ნაციონალიზმი*. თბილისი, 2003.
- დავითაშვილი, ზ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. თბილისი, 2003.
- ვებერი, მ. *რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში*. თბილისი, 2004.
- სმითი, ე. დ. *ნაციონალური იდენტობა*. თბილისი, 2008.
- სმითი, ე. დ. *ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია*. თბილისი, 2004.
- კიკვიძე, ა. *საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ.* თბილისი, 1977.
- ლორთქიფანიძე, გ. რედ. *კულტუროლოგია, ნაწ I*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

მაისურაძე, გ. “პატრიოტიზმი – “ჭეშმარიტება”, რომელიც ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას”. ცხელი შოკოლადი №49, თბილისი, მაისი 2009.

ნაციონალიზმი, ძირითადი ცნებები. შემდ. მაცაბერიძე, დ. ჩხაიძე, ი. ხინჩაგაშვილი, შ. თბილისი, 2008.

ნიკოლაძე, ნ. “ერობა, მისი დანიშნულება და წესდება”. ქართული მწერლობა. ტომი მეთოთხმეტე. თბილისი, 1997.

ნიკოლაძე, ნ. “ახალი ახალგაზრდობა”. ქართული მწერლობა. ტომი მეთოთხმეტე. თბილისი, 1997.

ნიკოლაძე, ნ. “მამულის სიყვარული და მსახურება”. ქართული მწერლობა. ტომი მეთოთხმეტე. თბილისი, 1997.

ნიკოლაძე, ნ. “ჩემ პოლიტიკაზე”. ქართული მწერლობა. ტომი მეთოთხმეტე. თბილისი, 1997.

პიოტროვსკა, ა. “ფოლკლორი, როგორც ეროვნული იდენტოფიკაციის წყარო მუსიკაში”. www.polyphony.ge/uploads/.../piotrovskia_identifikacia.pdf

რატიანი, პ. *თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან*. თბილისი, 1962.

სურგულაძე, ა. *ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან*. თბილისი, 1980.

ვაჟა-ფშაველა. ”ენა”. *თხზულებანი*. თბილისი, 1986.

ვაჟა-ფშაველა. ”გლეხის სიმღერა”. *ლექსები*, ტომი I. თბილისი, 1992.

ვაჟა-ფშაველა. ”მცირე შენიშვნა” (პასუხად ბ-ნ პ. მირიანაშვილისა)”. *თხზულებანი*. თბილისი, 1986.

ვაჟა-ფშაველა. ”ქალთა შესახებ” (პასუხი ”სახალხო გაზეთის”

ანკეტისა)”. თხზულებანი. თბილისი, 1986.

ვაჟა-ფშაველა. ”წერილი რედაქციის მიმართ”. თხზულებანი. თბილისი, 1986

ვაჟა-ფშაველა. ”ჯეჯილი”. *ლექსები*, ტომი I. თბილისი, 1992

ვაჟა-ფშაველა. ”1795 წლის სახსოვრად”. *ლექსები*, ტომი I. თბილისი, 1992.

ვაჟა-ფშაველა. ”კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი”. *თხზულებანი*. თბილისი, 1986.

შათირიშვილი, ზ. ”Una Sancta და ნაციონალიზმი”. კრებულში *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*. თბილისი, 2005.

ჩხარტიშვილი, მ. *ქართული ეთნიკური რელიგიური მოქცევების ეპოქაში*. თბილისი, 2009.

ჩხარტიშვილი, მ. ”ქართული იდენტობის მთავარი მარკერი”. კრებულში *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*. თბილისი, 2005.

ჯანელიძე, ო. *საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია*. თბილისი, 2009.

ჯიბლაძე, გ. *ილია ჭავჭავაძე*, თბილისი, 1978.

ჯონსი, ფ. ს. სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917. თბილისი, 2007.

წერეთელი, ა. *თხზულებანი*. თბილისი, 1980.

ჭავჭავაძე, ი. *ლექსები პოემები მოთხრობები*. თბილისი, 1959.

ჭავჭავაძე, ი. “მგზავრის წერილები”. *ქართული პროზა*. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “დედათა საქმე”. *თხზულებანი*. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “ერი და ისტორია (დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო

საქართველოს ისტორიაზე”. *თხზულებანი*. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “აი, ისტორია”. *თხზულებანი*. თბილისი, 1984

ჭავჭავაძე, ი. “ისევ განათლების საკითხებზე”. *თხზულებანი*.
თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “ვისს ნათესა ვმკით” (მიმოხილვა 1879 წლისა)”.
თხზულებანი. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო”.
თხზულებანი. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “ქვათა ღაღადი”. *თხზულებანი*. თბილისი, 1984

ჭავჭავაძე, ი. “შინაური მიმოხილვა 1881 წელი, მარტი”.
თხზულებანი. თბილისი 1984.

ჭავჭავაძე, ი. “შინაური მიმოხილვა (1879 წელი, თებერვალი)”.
თხზულებანი. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “წერილები ქართულ ლიტერატურაზე”.
თხზულებანი. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “სიტყვა ილია ჭავჭავაძისა გლეხობისადმი
მიმართული სოფელ წინამძღვრიანთ-კარში სამეურნეო
სასწავლებლის დაარსების დროს”. *თხზულებანი*. თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “საპოლიტიკო მიმოხილვა”. *თხზულებანი*.
თბილისი, 1984.

ჭავჭავაძე, ი. “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას
ძე ერისთავის კაზლოვიდგან “შემლილის” თარგმანზედა”.
თხზულებანი. ტომი V, კრიტიკა. თბილისი 1984.

ჭავჭავაძე, ი. “პასუხი”. *თხზულებანი* ტომი V, კრიტიკა.
თბილისი 1984.

ჭუმბურიძე, დ. “დამოუკიდებლობის იდეა და ქართული

ინტელიგენცია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში”. *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი*. თბილისი, 2002.

Hroch, M. “National Romanticism”. *Discourses of Collective Identity in Central and Southeast Europe (1770-1945). Volume Two: National Romanticism – The formation of National Movements*. CEU PRESS. Budapest, New York, 2007.

Карагезов, Р. ”Коллективная память и ”политика памяти” в странах центрального кавказа”. *Центральная азия и кавказ*. №6 (42), 2005.

Miller, A. *The Romanov Empire and Nationalism*. CEU PRESS. 2008.

Sabatier, P.A. *Theories of Policy Process*. 1998.

Smith, A. D. *The Ethnic Origins of Nations*. Second Edition. Oxford and Cambridge (Mass). Blackwell, 1993.

Suny, R. G. *The Making of the Georgian Nation*. Stanford, 1988.

Triandis, H. *Culture and Social behavior*. McGraw-Hill: Inc, 1994.

Yin Robrt K. *Case Study*. sage publications. Inc, 2003.

